

მეცნიერებად ხმაურიანი მარტოობა

ბიუროდ პრაგმატიკა



ბორის პრაბალი
მეტისმეტად ხმაურიანი
მარტოობა

თბილისი
გადამიზნა

„მხოლოდ მზეს აქვს უფლება, პქონდეს ლაქები“.
იოპან ვოლფგანგ გოეთე

ოცდათხუთმეტი წელია, მაკულატურაზე ვმუშაობ, ეს ჩემი Love story-ია. ოცდათხუთმეტი წელია, ვწეს ქალალდის ფურცლებსა და წიგნებს, ოცდათხუთმეტი წელია, სტამბის სალებავით ვარ მოთხერილი, იმ სამეცნიერო ლექსიკონებს დავემსგავსე, რომლებიც წნებში გავატარე, ოცდაათიოდე ცენტრი იქნებოდა, ცოცხალი და მკვდარი წყლით სავსე დოქი ვარ, საკმარისია, ოდნავ დავიხარო და თვით სიბრძნე გადმომდინდება, ჩემდა უნებურად ვარ განათლებული და ისიც კი არ ვიცი, რომელი აზრებია ჩემი, ჩემში დაბადებული და რომელი – ამოკითხული. ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში საკუთარ თავსა და ჩემ ირგვლივ სამყაროს შევეზარდე, იმიტომ რომ, როცა ვკითხულობ, კი არ ვკითხულობ, არამედ ყოველ ლამაზ წინადადებას ნისკარტში ვიქცევ და კამფეტივით ვწუნნი, დიდხანს ვაგემოვნებ, თითქოს ლიქიორს ვსვამო, ვიდრე ალკოჰოლივით არ შეინოვება ჩემში ამოკითხული ახალი აზრი და ეს იქამდე გრძელდება, სანამ ნაკითხული მხოლოდ ჭვინსა და გულს კი არა, ძარღვების გავლით უმცირეს კაპილარებსაც კი არ მიაღწევს. მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში საშუალოდ ოც ცენტრი მაკულატურას ვატარებ წნებში, მაგრამ ამ ჩემი დალოცვილი საქმიანობისთვის საჭირო ძალ-ლონის გამოსაძებნად მუშაობის ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში იმდე-

ნი ლუდი დავლიე, რომ დალეული „ლეუაკით“¹ ორმოცდაათმეტრიან აუზს ან საალდგომო კობრების² გასაყიდ უთვალავ კასრს ავავსებდი. ერთი სიტყვით, ჩემდა უნებურად დავბრძენდი და იმ დასკვნამდე მივ-დივარ, რომ ჩემი ტვინი სხვა არაფერია, თუ არა პიდრავლიკური წნე-ხით დაწნეხილი აზრები, იდეების დასტა, კონკიას კაკალია ჩემი თმა-დამწვარი თავი და ვიცი, რომ დღევანდელზე უფრო ლამაზი იყო ის ხანა, როცა მთელი აზრები ადამიანების მეხსიერებაში იყო ჩანერილი. მაშინ ვინმეს წიგნების განადგურება რომ მოენდომებინა, წნეხში ადა-მიანის თავების გატარება მოუწევდა, მაგრამ არც ეს უშველიდა საქ-მეს, რადგან ჭეშმარიტების შემცველი აზრები გარედან მოდის, ჩვენ გვერდით არსებობს ისე, როგორც ჯამში ჩაყრილი ატრია არსებობს, ამიტომ არის, რომ მთელი მსოფლიოს კონიაშები³ ტყუილად წვავენ წიგნებს და თუ წიგნებში რამე ჭეშმარიტება წერია, მათი წვისას მხო-ლოდ ჩუმი სიცილი ისმის, რადგან რიგიანი წიგნი სადღაც სხვაგან და გარეთ იყურება. ერთხელ შეკრების, გამრავლებისა და ფესვის ამო-ლების მცოდნე მოწყობილობა ვიყიდე, დაახლოებით საფულის ზომის იყო და როცა გამბედაობა მოვიკრიბე და სახრახნისით უკანა კედელი ავატეხე, სიხარულით შევკრთი, რადგან კალეულატორში მხოლოდ ერთი პატარა ბარათი დამხვდა, რომელიც სიდიდით საფოსტო მარკას არ აღემატებოდა და წიგნის ათიოდე ფურცელზე სქელიც არ იქნებო-და და იქ მეტი არაფერი იყო, გარდა პაერისა, მათემატიკური ვარია-ციებით დამუხტული პაერისა. როდესაც კარგ წიგნში ვიყურები და თან დაბეჭდილი სიტყვებისგან ვთავისუფლდები, სხვა არაფერი რჩე-ბა, გარდა არამატერიალური აზრებისა, რომლებიც პაერში დაფრინა-ვენ, პაერს ეყრდნობიან, პაერით იკვებებიან და პაერს უბრუნდებიან,

¹ ლეუაკი – ჩეხური სახელწოდება ლაგერის ტიპის ლუდისათვის.

² ჩეხური ტრადიციის მიხედვით საშობაო სუფრა ნარმოუდგენელია შემწვარი კობ-რის გარეშე, ამიტომ წინასაშობაო დღეებში ყველგან წყლით სავსე კასრებში გაშ-ვებული ცოცხალი კობრები იყიდება.

³ კონიაში (Konias) – XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ჩეხი იეზუიტი ფანატიკოსი, ავტორი ასაკრძალი წიგნების ცნობილი ჩამონათვალისა სახელწოდებით „მწვალებ-ლობის გამოაშეარავების გასაღები“.

რადგან ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ხომ ჰაერია, თან არსებობს, თან არა, როგორც წმინდა ზიარებისას სისხლი. ოცდათხუთმეტი წელია, ქალალდა და ძველ წიგნებს გროვებად უკავ და ვცხოვრობ ქვეყანაში, რომელშიც ბოლო თხუთმეტმა თაობამ წერა-კითხვა იცის, ვცხოვრობ ყოფილ სამეფოში, რომელსაც ჩვევად და დაუოკებელ სწრაფვად ექცა სხვადასხვა აზრებისა და ამბების დიდი მოთმინებით ტვინში ჩანსება, რასაც აღუნერელი სიხარული და კიდევ უფრო დიდი მწუხარება მოაქვს, ვცხოვრობ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მზად არიან, ერთ შეკვრა დაწნებილ აზრებს სიცოცხლე შესწირონ. ახლა კი ეს ყველაფერი ჩემ შიგნით მეორდება, ოცდათხუთმეტი წელია, წნების წითელ და მწვანე ლილაკებს ვაჭერ თითს და მთელი ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ტოლჩებით ვსვამ ლუდს და არა დასათრობად – ლოთების ჯოჯოხეთივით მეშინია, არამედ იმის-თვის ვსვამ, რომ უკეთ შევალნიო წაკითხულის გულში, იმიტომ რომ იმას, რასაც ვკითხულობ, არც გასართობად ვკითხულობ, არც დროის გასაყვანად და ცხადია, არც დასაძინებლად. მე, რომელიც ვცხოვრობ ქვეყანაში, სადაც ბოლო თხუთმეტმა თაობამ წერა-კითხვა იცის, იმისთვის ვკითხულობ, რომ კითხვისგან აღარასდროს დამეძინოს, რომ კითხვისგან ციებ-ცხელება დამემართოს, რადგან ჰეგელის იმ აზრს ვიზიარებ, რომ დახვენილი ადამიანი ოდნავ არისტოკრატია და დამნაშავე – ოდნავ მკვლელი. მნერალი რომ ვიყო, ადამიანის უდიდე-სი ბეღნიერებისა და უდიდესი უბედურების შესახებ წიგნს დავწერდი. წიგნებითა და წიგნებიდან ვისწავლე, რომ ზეცა სულაც არ არის ჰუ-მანური და რომ ადამიანი, რომელიც ასე ფიქრობს, არც თვითონ არის ჰუმანური, იმიტომ კი არა, რომ არ უნდა, არა, იმიტომ, რომ ეს საღ აზრს ეწინააღმდეგება. ჩემს ხელებსა და ჩემს წნებში იშვიათი წიგნები იღუპება და არ შემიძლია ამ ვითარებასა და მოვლენების ამ დინებას შევენინააღმდეგო. სხვა არაფერი ვარ, თუ არა ფაქიზი ყასა-ბი. წიგნებისგან არის, რომ მაჯადოებს და სიხარულს მანიქებს ყვე-ლაფრის გაცამტვერება, რომ ლრუბლებიდან დაშვებული თქემი და მნგრეველთა ბრიგადები მიყვარს, საათობით ვდგავარ და ვუყურებ, პიროტექნიკოსები, თითქოს უშველებელ საბურავს ბერავენო, რო-

გორ შეთანხმებულად აფეთქებენ საცხოვრებელ კორპუსებს ან სულაც მთელ ქუჩებს, ვერ დავმტკბარვარ იმ პირველი წამით, რომელიც ჰაერში იტაცებს ყოველ აგურს, ბლოქს თუ ფიცარს, რათა შემდეგ წამს ეს ყველაფერი ძირს დაეშვას ჩუმად, როგორც გახდილი სამოსი, როგორც საოკეანო ხომალდი, რომელსაც საქვაბები აუფეთქდა და ფსკერისკენ მიექანება. შემდეგ კი ვდგავარ მტვრის კორიანტელითა და ნგრევის მუსიკით გარშემორტყმული და ჩემს სამუშაოზე ვფიქ-რობ, ნათურის შუქით განათებულ წნებზე ღრმა სარდაფში, სადაც ეზოში მოსიარულე ადამიანის ნაბიჯების ხმა მესმის დროდადრო, ჭერში გაჭრილი ხვრელიდან კი, თითქოს ციდანო, თავზე სიუხვის რქას მაცლიან, ეზოს შუაში გაკეთებული ნახერეტიდან ყუთების, ტომრებისა და ურნების შიგთავსი მეყრება: ძველი ქალალდი, დამჭკნარი ბალახბულახი საყვავილეებიდან, ქალალდი უნივერმალებიდან, ყავლგასული პლაკატები, სამგზავრო ბილეთები, ნაყინის ქალალდები, კედლების ლებვისას დალაქავებული საფენები, სველი და სისხლიანი ქალალდის გროვები ხორცის მაღაზიებიდან, მუყაოს წვეტიანი ზოლები ფოტოატელიებიდან, სანაგვე კალათების შიგთავსი კაბინეტებიდან, საბეჭდი მანქანის ლენტის კოჭები, დამჭკნარი თაიგულები გარდასული დღეობებიდან და დაბადების დღეებიდან, ხანდახან გაზეთში გახვეული კაფელის ფილაც ჩამოვარდება ხოლმე სარდაფში, ასე ქალალდის წონას ზრდიან, გვერდზე გადადებული და შემდეგ დავიწყებული მუყაოს საჭრელი დანები და მაკრატლები, ჩაქუჩები და ლურსმნის ამოსალები გაზები, ყაბის დანა ან ყავის ჭიქა ჩამხმარი ნალექით, ზოგჯერ დამჭკნარი საქორნილო თაიგული და ახალთახალი ხელოვნური გვირგვინი გასვენებიდან. მე კი უკვე ოცდათხუთმეტი წელია, ამ ყველაფერს ჩემს პიდრავლიურ წნებში ვატარებ და შეკვრებად ვწნებ, რომლებიც კვირაში სამჯერ სატვირთო მანქანით გააქვთ, სადგურში სატვირთო ვაგონებში ცლიან და კიდევ უფრო შორს, ქალალდის ფაბრიკაში მიაქვთ, რათა იქ მუშებმა გადაჭრან შეკვრებს შემორტყმული მავთულები და ჩემი ნამუშევარი ტუტეებსა და მუავებში ჩაყარონ, რომლებშიც ის ფოლადის სამართებლებიც კი გაისანება, რომლებზეც წამდაუნუმ ვიჭრი ხოლმე ხელებს. როგორც

ქარხნების გადამუშავებული წყლით დაბინძურებულ მდინარეში გაიბრნების ხოლმე თევზი, ისე გადაყრილი ქალალდის ამ დინებაშიც გაიღვებს იშვიათი წიგნის ყდა, ასეთ დროს ჯერ გაბადრული გვერდზე ვიყურები, შემდეგ ხელში ავიტაცებ აღმოჩენას და წინსაფარზე ვიწმენდ, ვფურცლავ და თან ტექსტს ვყნოსავ, ბოლოს, ჰომეროსის წინასწარმეტყველივით, თვალში მოხვედრილ პირველივე წინადადებას ვკითხულობ და მხოლოდ ამის შემდეგ ვდებ წიგნს სხვა ძვირფასი მონაპოვრების გვერდით ყუთში, რომელშიც წმინდანების სურათები მაქვს ჩაფენილი. ეს სურათები ლოცვანთან ერთად, ალბათ, შეცდომით ჩამომიყარეს სარდაფში. აი აქ იწყება ჩემი მესა და ჩემი რიტუალი: თითოეული ასეთი წიგნი არა მხოლოდ უნდა წავიკითხო, არამედ წაკითხვის შემდეგ მაკულატურის თითოეულ შეკვრას ჩავაყოლო, იმიტომ რომ ყოველი შეკვრა უნდა მოვრთო, ჩემი პიროვნება და ჩემი ხელწერა უნდა დავამჩნიო. ვცდილობ, ყოველი შეკვრა განსაკუთრებული იყოს, ეს ნამდვილ ჯოჯოხეთად მექცა, ყოველდღე დადგენილზე ორი საათით მეტხანს ვრჩები სარდაფში და ერთი საათით ადრე მოვდივარ, ხანდახან შაბათობითაც მიწევს მუშაობა, რათა ძველი ქალალდის ეს დაუსრულებელი მთები წნებში გავატარო. ერთი თვის წინ მოიტანეს და სარდაფში ჩამომიყარეს ექვსი ცენტნერი განთქმული მხატვრების რეპროდუქციებისა, ექვსი ცენტნერი ნესტით გაულენთილი რემბრანტისა, ჰალსისა, მონესი, მანესი, კლიმტისა, სეზანისა და ევროპული ფერწერის სხვა გრანდებისა, ჰოდა, აქედან მოყოლებული ყოველ შეკვრას გვერდებიდან რეპროდუქციებით ვამშვენებ და სალამოს, როცა დაწესებილი მაკულატურა უკვე ლიფტის წინ მაქვს ჩამნერივებული, ვერ ვძლები შეკვრების გვერდებზე აღბეჭდილი სილამზით. აი „ღამის მზირნი“, „სასკია“, აი „საუზმე მდელოზე“, ეს „ჩამორჩიობილის სახლია“, აი იქ კი „გერნიკა“. ერთადერთი ვარ, ვინც იცის, რომ ყოველი შეკვრის სილრმეში განისვენებს გადაფურცლული „ფაუსტი“ ან „დონ კარლოსი“, აი იქ, გულისამრევ სისხლიან შესაფუთ ქალალდში, „ჰიპერიონია“, ცემენტის ტომრების შეკვრაში კი – „ასე იტყოდა ზარატუსტრა“. ამქვეყნად მხოლოდ მე ვიცი, რომელ შეკვრაში დევს, როგორც საფლავში, გოეთე, რომელში – შილერი ან ჰელ-

დერლინი და რომელში – ნიცქე. ამგვარად, გარკვეული აზრით, ხელოვანი ვარ და იმავდროულად მაყურებელიც და ამიტომაა, რომ ყოველდღე ასე საბრალოდ გამოვიყურები, გათანგული, გალიზიანებული და დაზაფრული ვარ და იმისთვის, რომ შევამცირო და შევიმსუბუქო ეს თვითგვემა, ლუდის კათხებს ერთიმეორის მიყოლებით ვცლი და ლუდხანა „ჰუსენსკისაკენ“ მიმავალს საკმარისად მაქვს დრო მედიტაციისათვის და იმაზე საოცნებოდ, როგორი იქნება მაკულატურის შემდეგი შეკვრა. მხოლოდ იმიტომ ვსვამ ამდენ ლუდს, რომ უკეთ დავინახო მომავალი, რადგან მაკულატურის ყოველ შეკვრაში იძვიათ რელიკვიას, ბავშვის ლია კუბოს ვასაფლავებ, რომელსაც დამჭენარ ყვავილებს, ბრჭყვიალა ვერცხლის ქალალდა და ანგელოზის კულულებს⁴ ვუდებ, რათა მყუდრო ბუდე მოვუწყო იმ წიგნებს, რომლებიც ისეთივე საკვირველი გზით მოხვდნენ ჩემთან, როგორითაც მე აღმოვჩნდი ამ სარდაფები. ამიტომ არის, რომ ყოველთვის ასე მიჭიანურდება სამუშაო, ამიტომ არის, რომ ეზოში დაყრილი მაკულატურის მთები სახურავამდე აკოკოლავებულა ისევე, როგორც ეზოში გაჭრილი ხვრელიდან ჩამოყრილი ქალალდის მთა სწვდება სარდაფის ჭერს. ამიტომ არის, რომ ჩემი უფროსი დახვავებულ ქალალდში გზას კაუჭიანი ჯოხით იკვლევს ხოლმე და გაცოფებული ჩამომძახის ზევიდან: „პანტა, სად ხარ? გაფიცებ, მორჩი წიგნებში ყურებას და საქმეს მიხედე! უკვე ეზოც გადავსებულია, შენ კი ოცნებობ და სისულელეებს აკეთებ!“. მე კი ამ დროს მაკულატურის მთის ძირში ვიკუნტები, როგორც ადამი იკუნტებოდა ბუჩქებში, თითებით წიგნს ვებლაუჭები და შეშინებულ თვალებს ვაპყრობ სამყაროს, რომელიც ასე განსხვავდება იმ სამყაროსაგან, რომელშიც ეს-ეს არის ვიმყოფებოდი, იმიტომ რომ, როცა კითხვით ვარ გართული, სადღაც სხვაგან ვხვდები, ტექსტში ვიმყოფები. თვითონვე მიკვირს ამის და დანაშაულის შეგრძნებით უნდა ვალიარო, რომ მართლაც ოცნებებში ვიყავი, ულამაზეს სამყაროში, ჭეშმარიტების გულში. დღეში ათვერ ვეითხულობ, როგორ მოხდა, რომ ასე დავშორდი საკუთარ თავს? ასე გაუცხოებული და რეა-

⁴ „ანგელოზის კულულებს“ ლითონის ბურბუშელას ეძახიან.

ლობას დაშორებული ვბრუნდები ხოლმე სამსახურიდან, ჩუმად და ლრმად ჩაფიქრებული, ნიგნების ბურუსით გარემოცული გვერდს ვუვლი ტრამვაის, მანქანებს, ფეხით მოსიარულეებს. ოცნებით გართულს დღეს ალმოჩენილი ნიგნები პორტფელით შინ მიმაქვს, მწვანეზე ისე გადავდივარ, ვერც კი ვხვდები, არც ლამპიონებს ვეჯახები და არც გამვლელებს, მივაბიჯებ და ლუდითა და ჭუჭყით ვყარვარ და მიუხედავად ამისა, ვილიმები, რადგან პორტფელში მიწყვია ნიგნები, რომლებისგანაც მოველი, რომ დღეს საღამოს საკუთარი თავის შესახებ რამე ახალს შევიტყობ, იმას, რაც ჯერ არ ვიცი. მივაბიჯებ ხმაურიან ქუჩებში ისე, რომ ნითელზე არასდროს გადავდივარ, ვიცი, როგორ ვიარო ქვეცნობიერად არაცნობიერ მდგომარეობაში და ნახევრად მძინარემ, გაუცნობიერებელ შთაგონებაში მყოფმა. წნებიდან დღეს გამოსული თითოეული შეკვრა მიღეულ ექოსავით ჩუმად ასრულებს ჩემში უღერას, მე კი ცხოველი შეგრძნება მაქვს იმისა, რომ თვითონაც დაწნეხილი ნიგნების შეკვრა ვარ, რომ ჩემშიც ანთია მცირე საკონტროლო ალი „კარმას“ გაზის მაცივრისა. ამ უქრობ მცირე ნათებას ყოველდღიურად ვამატებ იმ აზრების ზეთს, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ რომ ამოვიკითხე ნიგნებიდან, რომლებიც ახლა პორტფელში მიწყვია და შინ მიმაქვს. შინ ისე ვბრუნდები, როგორც ალმოდებული სახლი, როგორც ალმოდებული საღორე, მაცოცხლებელი ნათელი ხომ ცეცხლიდან მოდის, ცეცხლი კი – ხის სიკვდილიდან, ლრმად ნაცარში კი ღვარძლიანი მწუხარებალა რჩება და მე ოცდათხუთმეტი წელია, ჰიდრავლიკურ წნებში ძველ ქალალდს ვწნებ, პენსიამდე ხუთი წელი დამრჩა და ეს ჩემი მანქანაც სამუდამოდ ჩემთან დარჩება, არ მივატოვებ, სკეციალურ საბანკო ნიგნაკზე ფულს ვზოგავ და პენსიაზე ორივენი ერთად გავალთ, იმიტომ რომ მე ამ მანქანას გამოვისყიდი, სახლში წავიღებ, სადმე მივუჩენ ადგილს, ვთქვათ, ბიძაჩემის ბალში ხეებს შორის და იმ ბალში დღეში მხოლოდ ერთ შეკვრას გავაკეთებ, მაგრამ ეს დიდებული შეკვრა იქნება, მაკულატურის შეკვრა კი არა, ქანდაკება იქნება, არტეფაქტი, ამ შეკვრას ჩავატან მთელ ჩემს ახალგაზრდულ ილუზიებს, ყველაფერს, რაც ვიცი, ყველაფერს, რაც ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში აქ მუ-

შაობისას ვისნავლე, პენსიაზე გასვლის შემდეგ კი წამიერ განწყობასა და შთაგონებას მივეცემი, სახლში წამოღებული წიგნებისგან დღეში თითო შეკვრას გავაკეთებ, სამ ტონაზე მეტი მაქვს შინ, ისეთი შეკვრები იქნება, რომლებისაც არ შემრცხვება, ყოველი შეკვრა ოცნებითა და მედიტაციით იქნება შობილი, მეტიც, როცა წნებში ქალალდასა და ძველ წიგნებს ჩავაწყობ, წიგნების ჩალაგებისას, რაც სილამაზის ქმნის დასაწყისი იქნება, წნევის მიწოდებამდე კონფეტისა და ბზინებს ჩავაყოლებ ხოლმე, ყოველდღე – თითო დაწესებილი შეკვრა, ერთი წლის განმავლობაში კი, ჯამში, შეკვრების მთელი გამოფენა გაჩნდება ბალში, გამოფენა, სადაც ყოველ მომსვლელს შეეძლება – ცხადია, ჩემი მეთვალყურეობით – თავისი საკუთარი შეკვრა შექმნას და როცა მწვანე ლილაკის ბრძანებით წნები ამოძრავდება და უზარმაზარი ძალით დაწესებს ქალალდს, მორთულს წიგნებით, თაიგულებითა და მთელი იმ ნაგვით, რასაც თან მოიტანენ, ფაქიზი სულის მქონე მაყურებელს შესაძლოა ისეთი შეგრძნება დაეუფლოს, რომ პირადად მას ატარებენ ჩემს წნებში. უკვე შინ ვარ, ბინდია, ტაბურეტზე ვზივარ, თავი მივარდება და ბოლოს სველი ტუჩებით მუხლებს ვეხები, ამ მდგომარეობაში თუ ჩამეძინება ხოლმე. ზოგჯერ შუალამემდე ტონეტის⁵ სკამივით მოლუნულს მძინავს, როცა ვიღვიძებ, ვწევ თავს და ვხედავ, რომ შარვლის ტოტი მუხლთან ნერწყვით მაქვს დასველებული, აი ასე ვიკუნტები ხოლმე, როგორც კატის კნუტი ზამთარში, როგორც სარწუველა სავარძლის ფეხი, იმიტომ რომ შემიძლია თავს უფლება მივცე, ვიყო მიტოვებული, თუმცა მიტოვებული არასდროს არ ვარ, უბრალოდ მარტო ვარ, რათა მოვახერხო მოძალებული აზრების სიმარტოვეში ცხოვრება, იმიტომ რომ, ცოტა არ იყოს, უსასრულოსა და მუდმივის მქადაგებელი ვარ, მუდმივსა და უსასრულოს კი მოსწონთ ისეთი ადამიანები, როგორიც მე ვარ.

⁵ მიხაელ ტონეტი (Michael Thonet 1796-1871) – წარმოშობით გერმანელი, ავეჯის ხელოსანი და დიზაინერი. ავსტრიაში დაპატენტა ხის ლუნებისა და მოლუნული ხისგან ავეჯის ანუმანის ორგინალური ტექნოლოგია, როთაც მსოფლიოში გაითქვა სახელი.

ოცდათხუთმეტი წელია, წნებში ვატარებ ქალალდს და ამ ხნის განმავლობაში მაკულატურის შემგროვებლებმა სარდაფში იმდენი მშვენიერი წიგნი ჩამომიგდეს, სამი საკუჭნაო რომ მქონდეს, სამივე სავსე მექნებოდა. მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, ჩემს ჰიდრავლიკურ წნებთან ვიღაცამ კალათით წიგნები ჩამოყარა და როდესაც დავწყნარდი და ერთ-ერთი ჩამოგდებული მზეთუნახავი გადავფურცლე, პრუსის სამეფო ბიბლიოთეკის ბეჭედი დავინახე, და როცა მეორე დღეს ჭერიდან ტყავისყდიანმა წიგნებმა იწყო ცვენა და ოქროს წარწერები და წიგნის ოქროთი დაფენილი გვერდები აბრჭყვიალდა, გარეთ გავვარდი და იქვე მდგომ თრ ბიჭს გამოვტყუე, რომ სადღაც წოვეე სტრაშეცის მახლობლად ფარდული დგას და იქ თივაში იმდენი ლამაზყდიანი წიგნი ყრია, რომ თვალს ვერ მოსწყვეტ. ჟოდა, მივედი სამხედრო ბიბლიოთეკართან და ერთად გავემართეთ სტრაშეცისენ და იქაურ მინდვრებში ერთი კი არა, პრუსის სამეფო ბიბლიოთეკის ბეჭდიანი წიგნებით გატენილი სამი ფარდული ვიპოვეთ, ამ სანახაობით ტკბობას რომ მოვრჩით, მოველაპარაკეთ, ვისაც საჭიროა და სამი კვირის განმავლობაში სამხედრო მანქანებს შეუსვენებლად გადაპქონდათ ეს წიგნები საგარეო საქმეთა სამინისტროში, რათა ვითარების მიწყნარების შემდეგ ბიბლიოთეკა თავის თავ-

შაობისას ვისნავლე, პენსიაზე გასვლის შემდეგ კი წამიერ განწყობასა და შთაგონებას მივეცემი, სახლში წამოღებული წიგნებისგან დღეში თითო შეკვრას გავაკეთებ, სამ ტონაზე მეტი მაქვს შინ, ისეთი შეკვრები იქნება, რომლებისაც არ შემრცხვება, ყოველი შეკვრა ოცნებითა და მედიტაციით იქნება შობილი, მეტიც, როცა წნებში ქალალდასა და ძველ წიგნებს ჩავაწყობ, წიგნების ჩალაგებისას, რაც სილამაზის ქმნის დასაწყისი იქნება, წნევის მიწოდებამდე კონფეტისა და ბზინებს ჩავაყოლებ ხოლმე, ყოველდღე – თითო დაწნებილი შეკვრა, ერთი წლის განმავლობაში კი, ჯამში, შეკვრების მთელი გამოფენა გაჩნდება ბალში, გამოფენა, სადაც ყოველ მომსვლელს შეეძლება – ცხადია, ჩემი მეთვალყურეობით – თავისი საკუთარი შეკვრა შექმნას და როცა მწვანე ლილაკის ბრძანებით წნები ამოძრავდება და უზარმაზარი ძალით დაწნებს ქალალდს, მორთულს წიგნებით, თაიგულებითა და მთელი იმ ნაგვით, რასაც თან მოიტანენ, ფაქიზი სულის მქონე მაყურებელს შესაძლოა ისეთი შეგრძნება დაეუფლოს, რომ პირადად მას ატარებენ ჩემს წნებში. უკვე შინ ვარ, ბინდია, ტაბურეტზე ვზივარ, თავი მივარდება და ბოლოს სველი ტუჩებით მუხლებს ვეხები, ამ მდგომარეობაში თუ ჩამეძინება ხოლმე. ზოგჯერ შუალამემდე ტონეტის⁵ სკამივით მოლუნულს მძინავს, როცა ვიღვიძებ, ვწევ თავს და ვხედავ, რომ შარვლის ტოტი მუხლთან ნერწყვით მაქვს დასველებული, აი ასე ვიკუნტები ხოლმე, როგორც კატის კნუტი ზამთარში, როგორც სარწუველა სავარძლის ფეხი, იმიტომ რომ შემიძლია თავს უფლება მივცე, ვიყო მიტოვებული, თუმცა მიტოვებული არასდროს არ ვარ, უბრალოდ მარტო ვარ, რათა მოვახერხო მოძალებული აზრების სიმარტოვები ცხოვრება, იმიტომ რომ, ცოტა არ იყოს, უსასრულოსა და მუდმივის მქადაგებელი ვარ, მუდმივსა და უსასრულოს კი მოსწონთ ისეთი ადამიანები, როგორიც მე ვარ.

⁵ მიხაელ ტონეტი (Michael Thonet 1796-1871) – წარმოშობით გერმანელი, ავეჯის ხელოსანი და დიზაინერი. ავსტრიაში დაპატენტა ხის ლუნებისა და მოლუნული ხისგან ავეჯის ანუმანის ორგინალური ტექნოლოგია, როთაც მსოფლიოში გაითქვა სახელი.

ოცდათხუთმეტი წელია, წნებში ვატარებ ქალალდს და ამ ხნის განმავლობაში მაკულატურის შემგროვებლებმა სარდაფში იმდენი მშვენიერი წიგნი ჩამომიგდეს, სამი საკუჭნაო რომ მქონდეს, სამივე სავსე მექნებოდა. მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, ჩემს ჰიდრავლიკურ წნებთან ვიღაცამ კალათით წიგნები ჩამოყარა და როდესაც დავწყნარდი და ერთ-ერთი ჩამოგდებული მზეთუნახავი გადავფურცლე, პრუსის სამეფო ბიბლიოთეკის ბეჭედი დავინახე, და როცა მეორე დღეს ჭერიდან ტყავისყდიანმა წიგნებმა იწყო ცვენა და ოქროს წარწერები და წიგნის ოქროთი დაფენილი გვერდები აბრჭყვიალდა, გარეთ გავვარდი და იქვე მდგომ თრ ბიჭს გამოვტყუე, რომ სადღაც ნოვეე სტრაშეცის მახლობლად ფარდული დგას და იქ თივაში იმდენი ლამაზყდიანი წიგნი ყრია, რომ თვალს ვერ მოსწყვეტ. ჟოდა, მივედი სამხედრო ბიბლიოთეკართან და ერთად გავემართეთ სტრაშეცისკენ და იქაურ მინდვრებში ერთი კი არა, პრუსის სამეფო ბიბლიოთეკის ბეჭდიანი წიგნებით გატენილი სამი ფარდული ვიპოვეთ, ამ სანახაობით ტკბობას რომ მოვრჩით, მოველაპარაკეთ, ვისაც საჭიროა და სამი კვირის განმავლობაში სამხედრო მანქანებს შეუსვენებლად გადაპქონდათ ეს წიგნები საგარეო საქმეთა სამინისტროში, რათა ვითარების მიწყნარების შემდეგ ბიბლიოთეკა თავის თავ-

დაპირველ ადგილსამყოფელს დაბრუნებოდა, მაგრამ ვილაცამ გასცა წიგნების ეს თითქოსდა საიმედო სამალავი და პრუსიის სამეფო ბიბლიოთეკა სამხედრო ალაფად გამოაცხადეს, და ასე და ამგვარად, ტყავისყდიანი წიგნები, რომლებსაც ოქროს წარწერები და ოქროთი დაფერილი გვერდები ჰქონდა, სატვირთო მანქანებმა სადგურში გადაიტანეს და იქ ღია სატვირთო ვაგონებში ჩატვირთეს, და წვიმდა, მთელი კვირა წევიმდა, და როცა ბოლო სატვირთო მანქანამ წიგნების ბოლო პარტია მოიტანა, მატარებელი კოეისპირულ წვიმაში გაემგზავრა და ღია ვაგონებიდან ჭვარტლთან და სტამბის შავ საღებავთან შერეული ოქროს წყალი მოედინებოდა, მე კი, დანახულისგან გაოგნებული, მოაჯირს ვეუყუდებოდი, როდესაც უკანასკნელი ვაგონი გაუჩინარდა წვიმაში, სახეზე ცრემლები და წვიმის წვეთები ერთმანეთში მერეოდა, სადგურიდან რომ წამოვედი და ფორმაში გამოწყობილი პოლიციელი დავინახე, ხელები გადავაჯვარედინე და სრულიად გულწრფელად შევთხოვე, ჩემთვის ხელბორკილები, რკინები, ანუ იგივე „უღარუნები“, როგორც ლიბენში ამბობენ, დაედო და წავეყვანე, რადგან დანაშაული ჩავიდინე, რადგან ვაღიარებ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და როდესაც პოლიციელმა წამიყვანა, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ კომისარიატში უბრალოდ კი არ დამცირეს, დაპატიმრებითაც დამემუქრნენ. რამდენიმე წლის შემდეგ თანდათან შევეჩვიე, სასახლეებიდან და არისტოკრატების სახლებიდან მთელი ბიბლიოთეკები გამომქონდა, სულ ტყავისა და ტარსიკონის ზღაპრული ყდებით, ვაგონს ვაგონზე ვავსებდი ასეთი წიგნებით და როცა ოცდაათი ვაგონი ივსებოდა, ყუთებით დატვირთული მატარებელი შვეიცარიის ან ავსტრიისკენ მიემართებოდა, ერთი კილოგრამი ამ ზღაპრული წიგნებისა ტუზექსის⁶ ერთ კრონად იყიდებოდა, არავინ დაფიქრებულა ამაზე და არავის

⁶ ტუზექსი (Τισεχ – Τισεποι Εξηρι) – მაღაზიების ქსელი, სადაც სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში ე. ნ. ბონებზე იყიდებოდა ის დასავლური ნაწარმი, რომელიც სხვაგან არ იძოვებოდა. ერთი ბონის ოფიციალური ფასი ერთი კრონი იყო, თუმცა მხრილოდ შავ ბაზარზე შეიძლებოდა ყიდვა ხუთ კრონად. ბონს ზოგჯერ ტუზექსის კრონს ეძახდნენ.

უტირია ამის გამო, არც მე არ ჩამომვარდნია ცრემლი, უბრალოდ ვიდექი და ლიმილით გავყურებდი მიმავალი მატარებლების ბოლო ვაგონებს, რომლებსაც ლამაზი წიგნები შვეიცარიასა და ავსტრიაში მიჰქონდათ, ერთი კილოგრამი – ტუზექსის ერთ კრონად. იმ დროისათვის უკვე ნაპოვნი მქონდა საკუთარ თავში ძალა, რომელიც ამ უბედურების გულგრილად საყურებლად იყო საჭირო, რომელიც ამ განცდის ჩასახშობად იყო საჭირო, აი მაშინ მივხვდი, რა ლამაზია უბედურებისა და გაპარტახების ყურება, ვტვირთავდი ვაგონებს და სადგურიდან ახალ-ახალი მატარებლები მიემართებოდა დასავლეთისაკენ, ერთი კილო – ტუზექსის ერთ კრონად, მივჩერებოდი უკანასკნელი ვაგონის კაუჭზე ჩამოკიდებული ფარნის წითელ ნათებას, ლეონარდო და ვინჩივით მოაჯირს მიყრდნობილი ვიდექი, ისიც ბოძს მიყრდნობილი იდგა და თვალს ადევნებდა, როგორ აქციეს ფრანგმა ჯარისკაცებმა მისი მხედრის ქანდაკება სამიზნედ და როგორ იფშვნებოდა ყოველ გასროლასთან ერთად ცხენისა და მხედრის ფიგურები და ლეონარდოც, როგორც ახლა მე, იდგა და აკვირდებოდა საშინელებას, რომლის მონმედაც იქცა, რადგან უკვე მაშინ ესმოდა, რომ ზეცა სულაც არ არის ჰუმანური და არც მოაზროვნე ადამიანია ჰუმანური. სწორედ ამ დროს შემატყობინეს, რომ დედაჩემი კვდებოდა. სახლში ველოსიპედით დავბრუნდი და რაკი საშინლად მწყუროდა, სარდაფუში ჩავედი და მინის ცივი იატაკიდან მუავემანვნიანი ჯაზი ავილე, ჯამი ორივე ხელით დავიჭირე და ხარბად დავეწაფე, ვსვამდი და ვსვამდი და უცებ ვხედავ, რომ ჩემ თვალნინ მანვნის ზედაპირზე თვალების წყვილი მიცურავს, მაგრამ ისე მწყუროდა, რომ არ გავჩერებულვარ და ის ორი თვალი ჩემს თვალებს ისე სახი-ფათოდ მოუახლოვდა, როგორც ლამის წყვდიადში მანათობელი ლოკომოტივის ფარები გვირაბს, შემდეგ კი თვალები გაქრა და პირი რაღაც ცოცხალი არსებით ამევსო, ჩავავლე ფეხში და პირიდან მოუართხალე ბაყაყი გამოვაძვრინე, სახლის ბაღში გავუშვი და მშვიდედ გავაგრძელე მანვნის სმა, ლეონარდო და ვინჩივით მშვიდად. როცა დედა მოკვდა, სადღაც გულის სილრმეში ვტიროდი, მაგრამ ერთი ცრემლიც კი არ გადმომიგდია. კრემატორიუმიდან გამოსულ-

მა, საკვამურიდან ამოვარდნილი ბოლი დავინახე, ლამაზი იყო, დედა ცაში ადიოდა და მე, რომელიც მაკულატურის პუნქტის სარდაფში უკვე ათი წელი ვმუშაობდი, ჩავედი კრემატორიუმის სარდაფში და თავი წარვუდგინე, რომ მეც იმავეს ვაკეთებ, ოლონდ წიგნებთან და-კავშირებით, ვიდექი და ველოდებოდი და როცა ცერემონია დას-რულდა, დავინახე, რომ იმ დღეს ოთხ ადამიანს წვავდნენ და დედა-ჩემი მესამე ყუთში იყო; გაუნძრევლად ვიდექი და ვუყურებდი ადა-მიანის უკანასკნელ თავგადასავალს, ვუყურებდი, როგორ ამოილო კრემატორიუმის თანამშრომელმა დარჩენილი ძელები და როგორ ფქვავდა ხელის საფქვავით, დედაც იმავე ხელის საფქვავით დაფქვა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააწყო მისი ნეშტის უკანასკნელი ნარჩე-ნები თუნუქის ყუთში, მე კი უბრალოდ ვიდექი და ვუყურებდი ამ ყველაფერს, ზუსტად ისე, როგორც მშვენიერი წიგნებით დატვირ-თულ და შვეიცარიისა და ავსტრიისკენ მიმავალ მატარებლებს ვუ-ყურებდი, ერთი კილოგრამი – ტუზექსის ერთ კრონად. მხოლოდ სენდბერგის ლექსის ნაწყვეტები მახსენდებოდა, რომ ადამიანისგან ფოსფორის პატარა გროვა დარჩება, ასანთის ერთი კოლოფისთვის საკმარისი და იმდენი რკინა, რამდენიც ერთი ისეთი კაუჭის გამო-ჭედვას ეყოფა, რომელზეც ზრდასრული ადამიანი თავის ჩამოხრი-ბას შეძლებს. ერთ თვეში საბუთებს ხელი მოვაწერე და დედაჩემის ფერფლი ურნით გამომატანეს, მივუტანე დედა ბიძაჩემს და როდე-საც ურნით ხელში ბალში შევედი და რკინიგზის მეისრის ჯიხურში შევაბიჯე, ბიძამ დაიძახა: დაო ჩემო, აი როგორ მიბრუნდები! ხელი-დან ხელში გადავეცი ურნა, ბიძამ ჰაერში ანონა და განაცხადა, რომ რაღაც ეცოტავება თავისი დის რაოდენობა ურნაში, რადგან სიცოც-ხლები ის სამოცდათხუთმეტ კილოგრამს იწონიდა, შემდეგ ზუსტად ანონა, დაჯდა, გამოთვლა დაიწყო და დაასკვნა, რომ დედაჩემი ხუ-თი კილოგრამით მეტი უნდა ყოფილიყო იმ ურნაში, შემოდო ურნა კარადაზე და ზაფხულში, როცა თავგამურებს მინას უბარავდა, თა-ვისი და ახსენდებოდა, ანუ დედაჩემი, იხსენებდა, რომ დედას გაგი-უებით უყვარდა თავგამურა, ჰოდა, აილო ურნა, კონსერვის დანით გახსნა და ფერფლი ნათესებს მოაყარა, გაზრდილი თავგამურები კი

შემდეგ შევჭამეთ. როცა ჩემს პიდრავლიკურ ნნებში მშვენიერ წიგნებს ვატარებდი და ნნები ბოლო ფაზაზე გადადიოდა, ანუ ოცი ატ-მოსფეროს ძალით ნნებდა მათ, ადამიანის ძელების მსხვრევის ხმა მესმოდა, თითქოს ხელის საფქვავში იფშვნებოდა ნნებში ჩაყრილი კლასიკოსების თავის ქალები და ძელები, თითქოს თაღმუდის ფრაზას ვატარებდი ნნებში: „ჩვენ ზეთისხილს ვგავართ, მხოლოდ დანურვის შემდეგ გავცემთ იმ საუკეთესოს, რაც ჩვენში იმალება“. დანწეხილ წიგნებს ნნების კალათშივე ვერავ, ლონივრად ვუჭერ მავთულს, რომ შეკვრა ასე დაწესებილი დარჩეს და მხოლოდ ამის შემდეგ ვაჭერ თითს დამაბრუნებელ წითელ ლილაკს. წიგნები მავთულის განყენეტას ცდილობენ, მაგრამ ფოლადის ბოჭვა მათზე ძლიერია, ცხადად ვხედავ მოხეტიალე ძალოსანს დაჭიმული მკერდის კუნთებით, ერთი ჩასუნთქვაც, ოდნავ მეტი ჰაერი ფილტვებში და თითქოს ჯაჭვიც განყდება, მაგრამ არა, წიგნების შეკვრა ფოლადის მავთულის მტკიცე ხლართებშია მოქცეული, რომელშიც ყველაფერი ისე ჩუმდება, როგორც ურნაში და ბოლოს მორჩილ შეკვრას დანარჩენ შეკვრებს ვუდებ გვერდით, რომლებსაც ისე ვაწყობ, რომ რეპ-როდუქციებიანი გვერდებით ჩემკენ იყურებოდნენ. ამ კვირაში რემბრანდტ ვან რეინის რეპროდუქციებს მივადექი, ას პორტრეტს შესივებულსახიანი მოხუცებული ხელოვანისა, რომელიც ხელოვნებითა და ლოთობით მარადისობის ზღურბლს მიუახლოვდა და დაინახა, როგორ მოძრაობს კარის სახელური და ვიღაც უცნობი მეორე მხრიდან აღებს ამ უკანასკნელ კარს. ჩემი სახეც დაძველებული ფენოვანი ცომივით გამოიყურება, დახეთქილ სველ კედელს ემსგავსება, ზეც გამიჩნდა მოსულელო ლიმილი და სამყაროს, მსოფლიო მოვლენებსა და კაცობრიობის საქმიანობას სხვა მხრიდან ვუყურებ. მოკლედ, დღეს ყოველი შეკვრა მოხუცი ბატონის რემბრანდტ ვან რეინის პორტრეტებით არის დამშვენებული, მე კი ნნებში დაძველებულ ქალალდსა და გადაძლილ წიგნებს ვაწყობ, დღეს ჰირველად შევამჩნიე, რომ მაკულატურასთან ერთად ნნებში თურმე თაგვებსაც ვყრი, თაგვების მთელ ოჯახებს; როცა ნნებში ჯერ კიდევ თვალაუხელელ წრუნუნებს ვყრი, დედა თაგვიც თან მიჰყვება მათ და თავს დას-

ტრიალებს იმის მაგივრად, რომ გაიქცეს და ამდენად, მაკულატური-სა და კლასიკური ლიტერატურის ბედს იზიარებს. ვერავინ დაიჯე-რებს, რამდენი თაგვია მსგავს სარდაფებში, შესაძლოა, ორასი ან სულაც ხუთასი და ამ პატარა ცხოველებს, რომლებსაც ჩემთან მე-გობრობა სურთ და რომელთა უმეტესობაც ნახევრად ბრმა დაიბადა, მთელ ამ თაგვებს ჩემთან ის აქვთ საერთო, რომ ისინიც ნაბეჭდი სიტყვით საზრდოობენ, ყველაზე უფრო ტარსიკონის ყდაგადაკრუ-ლი გოეთე და შილერი მოსწონთ. ერთი სიტყვით, მთელ ჩემს სარ-დაფში პატარა თვალები ხამხამებენ და წიგნების ხვრის ხმა ისმის და როცა თაგვები ისვენებენ, კატის კნუტებივით ცელქები არიან, დაძ-ვრებიან წნების ბუნერის ნაპირებზე, მთავარ ლილვზე და როცა ბუნერის კედელი მწვანე ლილაკის ბრძანებით ადგილიდან იძვრის და იქ ჩაყრილ ქალალდს თავის თაგვებიანად აწვება, როცა თაგვების წრიპინი სუსტდება, მხოლოდ მაშინ სერიოზულდებიან დანარჩენები, უკანა თათებზე დგებიან, ცდილობენ, წონასწორობა დაიცვან და თან უსმენენ ხმებს, აინტერესებთ, რა წრიპინი მისდით ყურამდე, მაგრამ იმის გამო, რომ ჩაივლის თუ არა აწმყო, ყველაფერი მყისიერად ავინყდებათ, ისინი თავის თამაშს უბრუნდებიან და წიგნების ხვრა-საც აგრძელებენ, რაც უფრო ძველია წიგნი, მით უფრო ეგემრიელე-ბათ მისი ქალალდი, როგორც კარგად გამოყვანილი და მომწიფებუ-ლი ყველი ან როგორც კარგად დავარგებული ღვინო. ისე დავუახ-ლოვდი ამ თაგვებს, რომ, როდესაც საღამოობით დასაწნეს ქალალდს შლანგით ვრწყავ და გულმოდგინედ ვალბობ, თაგვები ისე სველდე-ბიან, გეგონება, მთელი სარდაფი წამით წყლით აივსოო, ან რამდენ-ჯერ მოუსროლია გვერდზე წყლის ჭავლს ეს თაგვები, და მიუხედა-ვად ამისა, მაინც კარგ ხასიათზე არიან და მეტიც, ელიან კიდეც, ბანაობის დრო როდის მოვა, იმიტომ რომ მერე შეუძლიათ საათო-ბით ილოკონ ბენვი და ქალალდის სამალავებში ჩათბნენ. ხანდახან კონტროლს ვკარგავ საკუთარ აზრებზე, ლრმად ჩაფიქრებული ლუდხანისკენ მივაბიჯებ, ლუდის ჩამოსასხმელ დახლთან მოკალა-თებული ვოკნებობ და როდესაც ფიქრებში გართული ფულის ამო-სალებად ვიხსნი პალტოს, იქიდან თაგვი ამოხტება ხოლმე და ზედ

დახლზე, ლუდის ონჯანების ქვეშ გადაირბენს, ზოგჯერ შარვლის ტოტებიდან ორი თაგვი გამოძვრება ხოლმე ერთად და ოფიციანტი ქალები სკამებზე ხტებიან, თითებით ყურებს იცობენ და შეშლილებივით ჭერს აჰყვირიან. მე კი ამ დროს ვიღიმები და გაყინული ხელის ჩაქნევით გარეთ გავდივარ იმაზე ფიქრით გართული, როგორი იქნება მაკულატურის შემდეგი შეკვრა. უკვე ოცდათხუთმეტი წელია, ვნენ მაკულატურის შეკვრებს იმ დღის მოლოდინში, როცა პენსიაზე გავალთ ორივენი, ანუ მე და ჩემი ნები, ყოველ წელს, ყოველ თვეს და ყოველი თვის ყოველ დღეს თითებზე ვითვლი. საღამოობით წიგნები შინ, ჰოლეშოვიცეში⁷, მიმაქვს პორტფელით, მესამე სართულზე მდებარე ბინა მხოლოდ წიგნებით მაქვს გავსებული, არც სარდაფი მყოფნის და არც ფარდული, სამზარეულოც სავსეა ისევე, როგორც საკუთხაო და ტუალეტი, მხოლოდ ფანჯრისა და გაზის ქურისკენ მიდის წიგნებისგან თავისუფალი ბილიკები, ტუალეტში ზუსტად იმდენი ადგილი მაქვს დატოვებული, რამდენიც უნიტაზზე დასაჯდომადაა საჭირო, მეტრი და ორმოცდაათის სიმაღლეზე კოჭებზე ფიცრები მაქვს გადებული, რომლებზეც ჭერამდეა ახორებული წიგნები, მთელი ხუთი ცენტნერი, საკმარისია, დაჯდომისას სიფრთხილე არ გამოვიჩინო ან მოუხერხებლად წამოვდგე, რომ მთავარ კოჭს გამოვედები და ნახევარი ტონა წიგნები თავზე გადმომეყრება და შარვალჩახდილს იქვე გამაბრტყელებს. ერთი სიტყვით, ერთ წიგნსაც ვერ დავამატებ ტუალეტში, ამიტომ ოთახში ერთმანეთთან მიდგმული საწოლების თავზე კოჭები გავდე, ზედ ფიცრები დავაგე და ერთგვარი ბალდახინი გამოვიდა, საწოლის ცა, ამ ბალდახინზე დაწყობილი წიგნები ჭერს ებჯინება. ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში შინ ორი ტონა წიგნი მოვზიდე და როცა ვიძინებ, ორი ტონა წიგნი ოცცენტნერიან კოშმარად ანევს ჩემს სიზმრებს. ხანდახან, როცა მევეთრად ვტრიალდები ლოგინში, ძილში დავიყვირებ ან შევკრთები ხოლმე, აკანჯალებული ვუსმენ, როგორ ჩამოცურდა წიგნების დასტა, საკმარისია მუხლის მსუბუქი შეხება, ერთი დაყვირება

⁷ ჰოლეშოვიცე (Holeshovice) – პრაღის ერთ-ერთი უბანი.

და ციდან ზვავივით თავზე ჩამომეცლება იშვიათი წიგნებით სავსე სიუხვის რქა, ზედ დამეყრება და ტილივით გამჭყლეტს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ეს ჩემი წიგნები ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ, დღეში ხომ ასობით უდანაშაულო თაგვს ვატარებ წნებში და წიგნებიც, ეტყობა, სამართლიან ჯილდოს მიმზადებენ, რადგან ყოველი ჩადენილი უსამართლობა უკან გიბრუნდება კაცს. ოდნავ ნასვამი, ბალდახინზე შემოწყობილი კილომეტრობით ნაწერების ქვეშ ზურგზე გართხმული ვწევარ და ნარსულის ზოგიერთი ძლიერ არასასიამოვნო მოვლენის გახსენებისაც კი მეშინა. ზოგჯერ ჩვენი მეტყევე მახსენდება, რომელმაც მეტყევის სახლის სახურავში დაგებული ხაფანგით კვერნა დაიჭირა და იმის მაგივრად, რომ შეჭმული ქათმებისათვის სამართლიანად მოეკლა, ლურსმანი აილო და პატარა ცხოველს თავში ისე ჩააჭედა, რომ კვერნა კარგა ხანს არ მოკვდა და მთელი ეს დრო ჭყივილით დარბოდა ეზოში. ზოგჯერ ამ მოვლენიდან ერთი წლის შემდეგ მომხდარი ამბავიც მახსენდება, კერძოდ კი – მოსარევ მანქანასთან მუშაობისას თავში დენის დარტყმამ როგორ მოკლა იმ მეტყევის შვილი, გუშინ კი ყოვლად მოულოდნელად ბალდახინთან იმ მონადირის ფიგურა გამომეცხადა, რომელმაც ეზოში დაგორგლილი ზლარბი შენიშნა, ჰოდა, პატარა სარი წააწვეტა და ტყვია-წამლის დაზოგვის მიზნით ეს სარი ზლარბს მუცელში გაუყარა, და ასე კლავდა მის ეზოში გამოჩენილ ყოველ ზლარბს, სანამ ლვიძლის კიბოთი არ ჩავარდა ლოგინად და მთელი სამი თვის განმავლობაში არ კვდებოდა, ინვა მოკუნტული, მუცელში სიმსივნით და გონებაში შიშით, სანამ არ მოკვდა... ახლა, როდესაც მესმის, როგორ მიმზადებენ შურისძიებას წიგნები, ასეთი აზრები მაშინებს და სულიერ სიმშეიდეს მაკარგვინებს, იმდენად, რომ ფანჯარასთან დადგმულ ტაბურეტზე მჯდომარეს მძინავს და თავზარდაცემული ვარ იმ აზრით, რომ ერთხელაც წიგნები ჯერ ლოგინში გამაბრტყელებენ, შემდეგ იატაკს ჩაამტვრევენ და მეორე სართულზე აღმოჩნდებიან, მერე პირველზე და ბოლოს სარდაფში, ლიფტის მსგავსად. ვამჩნევ, ჩემს ბედ-ილბალში ყველაფერი როგორ გადახლართულა ერთმანეთში, სარდაფის ჭერში გაჭრილი ხვრელიდან ყოველდღიუ-

რად არა მარტო წიგნები მეყრება, არამედ ბოთლები, სამელნეები და ასაკინძი მონცობილობები, ზუსტად ისე, როგორც ყოველ საღამოს ბალდახინზე შემოწყობილი წიგნები მემუქრებიან, რომ ჩამოზვავდებიან და გამჭყლეტენ, უკეთეს შემთხვევაში მძიმედ დამასახირებენ. აი ასე ვცხოვრობ, დამოკლეს მახვილი, რომელიც ჩემი ხელით ჩამოვკიდე ტუალეტისა და საძინებლის ჭერზე, მაიძულებს, რომ სახლშიც, ისევე როგორც სამსახურში, სულ ლუდის დოქი მეჭიროს ხელში, როგორც ხსნა მშვენიერი უბედურებისგან. კვირაში ერთხელ ბიძაჩემთან მივდივარ მის უზარმაზარ ბალში ჩემი წნეხისთვის ადგილის მოსაძებნად – როცა ორივენი პენსიაზე გავალთ. იდეა, რომ ფული შევაგროვო და პენსიაზე გასვლის შემდეგ ჩემი პიდრავლიკური წნეხი შევისყიდო, ჩემი არ არის, არა, ეს ბიძაჩემს მოაფიქრდა, რომელიც ორმოცი წელი რკინიგზაზე მუშაობდა, სწევდა და უშვებდა სარკინიგზო შლაგბაუმს და შუქნიშნებს ანთებდა, ორმოცი წელი მუშაობდა რკინიგზელად და მთელი ამ დროის განმავლობაში, ისევე, როგორც მე, სხვა არაფერი უხაროდა ისე, როგორც სამსახურში წასვლა, ჰოდა, პენსიაზე რომ გავიდა, აღარ შეეძლო შლაგბაუმის გარეშე ცხოვრება, ამიტომ ჯართის შეგროვების პუნქტში რომელიღაც გაუქმებული საზღვრისპირა სადგურიდან მოხსნილი ძველი შლაგბაუმი იყიდა, ზუსტად ისეთი, როგორიც სამსახურში პენსიაზე გასული მეზანქანე იყო, აიღეს და ჯართში ერთი პატარა ჯიხური ჩადგა, ზუსტად ისეთი, სამსახურში რომ პენსია და შლაგბაუმიც მიადგა და რადგან მისი ერთი ძველი მეგობარი მასავით პენსიაზე გასული მეზანქანე იყო, აიღეს და ჯართში ერთი პატარა ლოკომოტივი იყიდეს, რომელიც მეტალურგიულ ქარხანაში ვაგონეტებს დაატარებდა, „ორენშტაინისა და კოპელის“ წარმოების იყო, იქვე შეიძინეს ლიანდაგები და სამი ვაგონეტი და მაღე ბალში ხეებს შორის ლიანდაგები ჩიგრაგნებოდა, შაბათ-კვირას კი ორთქლმავლის ქვაბს ახურებუნენ, „ორენშტაინისა და კოპელის“ წარმოების ორთქლმავალში ბავშეებს ისხამდნენ და ბალში დაატარებდნენ. საღამობით ლუდს სუმდნენ, მღეროდნენ, თვრებოდნენ და თვითონვე დასეირნობდნენ დაგონეტებით ან ყველანი ერთად ორთქლმავალზე იდგნენ. ასეთ

დროს მანქანა მდინარის ლმერთ ნილოსს ემსგავსებოდა, პანაწინა ფიგურებით დახუნძლულ წამონოლილი ლამაზი შიშველი ჭაბუკის ქანდაკებას... ჰოდა, შევუვლიდი ხოლმე ბიძაჩემს და ჩემი წნეხის შესაფერის ადგილს ვეძებდი და რომ ჩამოლამდებოდა, ორთქლმავალი, ამჯერად უკვე ანთებული ფარებით, ვაშლისა და მსხლის ბებერ ხეებს შორის მიიკვლევდა გზას, ბიძაჩემი კი მეისრის ჯიხურში იჯდა და ისრებს სწევდა, კარგად ვხედავდი მის აღფრთოვანებას, „ორენ-შტაინისა და კოპელის“ წარმოების მანქანასავით ასდიოდა ორთქლი, ზოგჯერ აქა-იქ ალუმინის დიდი ლუდის კათხა გაიბრნებინებდა ხოლმე, მე კი პენსიონერებისა და ბავშვების ყვირილითა და ურიაშულით გარშემორტყმული დავაბიჯებდი ბალში და არავის მოსვლია აზრად ეთხოვა, რომ მათ შევერთებოდი და არავის გახსენებია ეკითხა, ხომ არ გწყურიაო, ყველანი ისე იყვნენ გართული თამაშით, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა მათი სამუშაოს გაგრძელება, სამუშაოსი, რომელიც მთელი ცხოვრება უყვარდათ. დავსეირნობდი და როგორც კაენს, შუბლზე ჩემი ნიშანი მესვა. ერთ საათში იქიდან აორთქლება გადავწყვიტე, გზადაგზა თავს ვატრიალებდი ხოლმე, ხომ შეიძლებოდა ვინმეს დაეძახა ჩემთვის და უკან დავებრუნებინე, მაგრამ არავის არ გავხსენებივარ, ჭიშკარს რომ გავცდი, კიდევ ერთხელ შევტრიალდი და ლამპიონებისა და განათებული შლაგბაუმის სინათლეში პენსიონერებისა და ბავშვების მორბენალი სილუეტები დავინახე, ხან ორთქლმავლის სტვენა მესმოდა, ხან ვაგონეტების რიხინი ლიანდაგებზე, რომლებიც უსწორმასწორო ელიფსად დაეგოთ, ორკესტრიონის მუსიკას წააგავდა იქიდან მომავალი ხმები, იმდენად მშვენიერი მუსიკა იყო, რომ სიკვდილამდე სხვა არაფრის მოსმენა არ მოუნდებოდა ადამიანს. ბალიდან ჩემი დანახვა შეუძლებელი იყო და მიუხედავად ამისა, ჭიშკართან შეყოვნებულმა ვიცოდი, რომ ბიძაჩემი მხედავდა, რომ სულ მხედავდა, როცა ხეებს შორის დავხეტიალობდი, ხელი ისრის ბერკეტიდან აიღო, გამომხედა და თითები შეათამაშა, ჰაერს არხევდა თითების ოდნავი მოძრაობით და იმ უკუნეთიდან მეც დავუქნიე საპასუხოდ ხელი, თითქოს საწინააღმდეგო მიმართულებებით დაძრული მატარებლებიდან ვუქნევდით ერთმა-

ნეთს ხელს. პრაღის განაპირს რომ მივაღწიე, ძეხვი ვიყიდე და რო-
დესაც უკეთ შევექცეოდი, უეცრად შევერთი, რადგან ძეხვის პირთან
მიტანაც კი არ დამჭირვებია, ოდნავ დავნიე ნიკაპი და ძეხვი ჩემს
ცხელ ტუჩებს შეეხო, და როცა ხელი ჩამოვნიე, შეშინებულმა
დავინახე, რომ ძეხვის ბოლო თითქმის ფეხსაცმლამდე მწვდებოდა,
ხოლო როცა ორივე ხელით დავიჭირე, მივხვდი, რომ ძეხვი სრუ-
ლიად ჩვეულებრივი იყო, რომ ეს მე დავჩიავდი და დავპატარავდი
ბოლო ათი წლის განმავლობაში. დავბრუნდი თუ არა შინ, ოთახის
კარის ჩარჩო სამზარეულოს მხრიდან ასობით წიგნისგან გავათავი-
სუფლე და გამოვაჩინე კალმისტრით გაკეთებული ნიშნულები წარ-
ნერებითა და თარიღებით, თუ რამხელა ვიყავი ამა თუ იმ დღეს.
ავიღე წიგნი, დავდექი ჩარჩოსთან, თავზე დადებული წიგნი ჩარჩოს
მივაჭირე, ადგილზე შევბრუნდი, ახალი ნიშნული გავაკეთე და აღმო-
ვაჩინე, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც უკა-
ნასკნელად გავიზომე, ცხრა სანტიმეტრი მომიკლია. ავხედე წიგნე-
ბით გავსებულ ბალდახინს ჩემი სანოლის თავზე და დავასკვენი, ასე
იმიტომ მოვიკუზე, რომ მუდმივად, ასე ვთქვათ, ზურგით დავათრევ-
დი დიდი და პატარა წიგნების ორტონიან ზეცას.

ოცდათხუთმეტი წელი ვწნებდი ქალალდს და არჩევანის წინაშე რომ დავმდგარიყავი, სხვა არაფრის კეთებას არ ვისურვებდი გარდა იმისა, რასაც ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ვაკეთებდი. თუმცა ოთხ თვეში ერთხელ ეს ჩემი საქმიანობა საპირისპირო ნიშნით მიტრიალდებოდა ხოლმე, მოულოდნელად სარდაფი მახინჯად მეჩვენება, ყურებში გამაყრუებლად გრგვინავს შეფის შენიშვნები, ყვირილი და ჩხუბი, სარდაფი ჯოჯოხეთად მექცევა ხოლმე, სარდაფის იატაკიდან ეზომდე აკოკოლავებული სველი და დაობებული ძველი ქალალდი ლპობას ინყებს, მის ყროლთან შედარებით სასუქის სუნი სასიამოვნო სურნელია და ამ ლპობადი ფაფიდან, რომელიც ჩემი სარდაფის ფსკერზე იხრნება, ისე ამოდის ბუმტუკები, როგორც ცოლმილი ალები ტალახიან ჭაობში ჩამპალი კუნძიდან. ამ დროს სუფთა ჰაერზე გასვლა მჭირდებოდა, უნდა გავცლოდი ჰიდრავლიკურ წნებს, მაგრამ მაინც არ ვტოვებდი სარდაფს, ვეღარ ვიტანდი სუფთა ჰაერს, ვიხრჩობოდი გარეთ, ისე ვაცემინებდი და ვახველებდი, თითქოს კუბურ სიგარას ვაბოლებო. და როცა შეფი მიყვიროდა და ხელების ქნევით მემუქრებოდა, იქაურობას ვეცლებოდი და ალალბედზე სხვა რომელიმე მიწისქერშეთში თუ სარდაფში ჩავდიოდი. ყველაზე უფრო ცენტრალური გათბობის სარდაფის ბიჭებ-

თან შევლა მიყვარდა. სამუშაომ ჯაჭვით დაბმულ ძალლებს დაამსგავსა უნივერსიტეტში განათლებამიღებული ეს ხალხი, რომლებიც მუშაობასთან ერთად თავისი ეპოქის ისტორიას წერდნენ, სოციო-ლოგიურ კვლევებს ატარებდნენ. სწორედ მათ სარდაფიში შევიტყვე, როგორ განადგურდა მეოთხე წოდება, როგორ გადავიდნენ მდაბიო მუშები „ზედნაშენში“ და რატომ არის, რომ უნივერსიტეტში განათლებამიღებული ადამიანები მუშებად მუშაობენ. მაგრამ ყველაზე უფრო კანალიზაციის მუშებთან ვმეგობრობდი, მაგათან ორი აკადემიკოსი მუშაობდა და თან პრალის ქვეშ დატოტვილი საკანალიზაციო ქსელისა და კლოაჟების შესახებ ნიგნს წერდნენ, სწორედ მათგან შევიტყვე, რომ ფეკალიები, რომლებიც კვირაობით ჩაედინება პოდბაბიეს გამნმენდ სადგურში, სრულიად განსხვავებულია ორშაბათის ფეკალიებისაგან, რომ ყოველ სამუშაო დღეს თავისი მახასიათებლები აქვს, რომ შეიძლება ფეკალიების გამდინარეობის გრაფიკის შედგენა დღეების მიხედვით და რომ პრეზერვატივების რაოდენობის მიხედვით შესაძლებელია დავადგინოთ, პრალის რომელ უბანში აქვთ უფრო აქტიური სექსუალური ცხოვრება და რომელში – ნაკლებად, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე იმ მეცნიერულმა დაკვირვებამ მოახდინა, რომ ადამიანების მსგავსად, შავი და რუხი ვირთხებიც ნამდვილ ტოტალურ ომს ანარმობდნენ ერთმანეთთან, რომ ომი შავების სრული გამარჯვებით დასრულდა და რომ ისინი გამარჯვებისთანავე ორ ჯგუფად გაიყვნენ, ვირთხების ორ კლანად, ორ ორგანიზებულ საზოგადოებად და სწორედ ახლა პრალის მიწისქვეშეთში, ყველა კლოაჟასა და საკანალიზაციო არხში სამკუდრო-სასიცოცხლო ომი მიდის, სავირთხეთის უდიდესი ბრძოლა პოდბაბიეს გამნმენდ სადგურში მთელი პრალიდან ჩამავალი ნაგვისა და ფეკალიების სრულად დაპატრონებისათვის; ზუსტად უნივერსიტეტში განათლებამიღებული კანალიზაციის ამ მუშებისაგან შევიტოდი, რომ ომის დამთავრებისთანავე, დიალექტიკის კანონების თანახმად, გამარჯვებული ძალა ისევ ორ ბანაკად დაიშლება, როგორც მდგრება გაზები და ლითონები და იყოფა ყოველივე ცოცხალი ამაგნად, რათა ბრძოლით აამოძრაოს ცხოვრება და შემდეგ დაპი-

რისპირებულთა ერთიანობისაკენ სწრაფვამ სასწრაფოდ აღადგინოს წონასწორობა და რომ საბოლოო ჯამში სამყარო წამითაც კი არ ყოვნდება, და ვხედებოდი, რა ზუსტი იყო რემბოს ლექსი, რომ სულიერი ბრძოლა ისევე საზარელია, როგორც სხვა ნებისმიერი ბრძოლა, ვფიქრობდი ქრისტეს დაუნდობელ სიტყვებზე: მშვიდობის კი არა, მახვილის მომტანად მოვედი. და სარდაფებში, მიწისქვეშა არხებში, კლოაკებსა და პოდბაბიეს გამნენდ სადგურში სტუმრობის შემდეგ ყოველთვის ვმშვიდდებოდი და რადგან, ჩემდა უნებურად, განათლებული ვიყავი, მოწინებითა და აღფრთოვანებით მახსენდებოდა ჰეგელი, რომელიც მასწავლიდა, რომ ერთადერთი, რისაც შეიძლება ამქვეყნად შეგეშინდეს, გახევების მდგომარეობაა, რომ მხოლოდ მომაკვდავი ფორმების უძრაობაა შიშის მომგვრელი და რომ სიხარული შეიძლება მხოლოდ იმან მოგვანიჭოს, როცა არა მხოლოდ ცალკეული პიროვნება, არამედ მთელი საზოგადოება ახერხებს ბრძოლით გაახალგაზრდავებას, ახალი ფორმების ძიებით ახალი სიცოცხლის უფლების მოპოვებას. ჩემს სარდაფში რომ ვბრუნდებოდი და პრალის ქუჩებს მიუუყვებოდი, თვალები რენტგენივით მიხდებოდა და ვხედავდი, გამჭვირვალე ტროტუარების ქვეშ, არხებსა და კლოაკებში განთავსებული ვირთხების გენერალური შტაბები როგორ უკავშირდებოდნენ უსადენო გადამცემებით საბრძოლო დანაყოფებს და დახმარებას გზავნიდნენ ფრონტის დასუსტებულ მონაკვეთებზე, მივაბიჯებდი და ფეხქვეშ ვირთხების ბასრი კბილები ღრჭიალებდნენ, მივაბიჯებდი და სამყაროს მოწყობის მელანქოლიურობაზე ვფიქრობდი, კლოაკებში დავაბიჯებდი და ამავე დროს თვალცრემლიანი ზევით ვიყურებოდი, რათა უცებ ის დამენახა, რასაც აქამდე ვერ ვხედავდი და ვერ ვამჩნევდი: საცხოვრებელი სახლებისა და სახელმწიფო დაწესებულებების ფასადებს, რომლებსაც საწვიმარი მილების ბოლომდე ვაწვდენდი თვალს, ატყვიათ ის, რასაც ასე ესწრაფოდნენ ჰეგელი და გოეთე, ანუ საბერძნეთი ჩვენში, მშვენიერი ელინურობა, როგორც მიზანი და მაგალითი, ვხედავდი დორიულ კოლონადას, ტრიგლიფებსა და ბერძნულ ნიალსაწრეტ მილებს, ვხედავდი კარნიზებს და იონიურ კოლონადებს ვოლუტე-

ბით, აქანტისფოთლებიან კორინთულ სვეტებს, ვხედავდი ნართექ-სებს, კარიატიდებსა და ბერძნულ ბალუსტრადებს რიგითი საცხოვ-რებელი სახლების სახურავებზე, ახლა მათ ჩრდილში მივაბიჯებდი და უცებ აღმოვაჩინე, რომ საბერძნეთი პრაღის პერიფერიებშიც მოიპოვება, ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლების ფასადებზე, რომლებსაც პორტალები და ფანჯრები შიშველი ქალებისა და კაცე-ბის ფიგურებით, ყვავილებითა და უცხო მხარეებში გავრცელებული მცენარეების გვირგვინებით აქვთ მორთული. და აი ასე მივაბიჯებდი და უცებ გამახსენდა უნივერსიტეტში განათლებამიღებული მექა-ბის სიტყვები, რომ აღმოსავლეთ ევროპა პორუჩის კარიბჭესთან კი არ იწყება, არამედ იქ, სადაც ამპირის სტილში აგებული ძველი ავ-სტრიული სადგურები მთავრდება, სადღაც გალიციაში, იქ, სადამ-დეც ბერძნულმა ტიმპანმა მიაღწია და რომ პრაღა სავსეა ბერძნული სულით არა მარტო შენობების ფასადების გამო, არამედ მოსახლეო-ბის თავების გამოც, რადგან კლასიკურმა გიმნაზიებმა და ჰუმანიტა-რულმა უნივერსიტეტებმა მილიონობით ჩეხის თავი ამოავსეს ყოვე-ლივე ბერძნულითა და რომაულით. და მაშინ, როცა ჩეხეთის დედა-ქალაქის მიწისქვეშა არხებსა და კლოაკებში ვირთხების ორი კლანი ანადგურებს ერთმანეთს ერთი შეხედვით უაზრო ომში, პრაღის სარ-დაფებში გაძევებული ანგელოზები მუშაობენ, საუნივერსიტეტო გა-ნათლების მქონე ადამიანები, მათ წააგეს ომი, რომელიც არასდროს უწარმოებიათ და მიუხედავად ამისა, განაგრძობენ მუშაობას სამყა-როს უფრო ზუსტი სურათის დასადგენად. ამ ფიქრებით გართული დავბრუნდი სარდაფში და როცა დავინახე, როგორ ხტუნვა-ხტუნვი-თა და ცელქობით მეგებებოდნენ თაგვები, გამახსენდა, რომ ლიფ-ტის ქვეშ ჭაა, რომელიც საკანალიზაციო არხს უერთდება. რკინის „კიბით ლიფტის შახტის ფსკერზე ჩავაღნიე, გამბედაობა მოვიკრიბე და ლუეი გავხსენი, მუხლებზე დამდგარი ვუსმედი საკანალიზაციო ჩყლის ჩხრიალსა და ტყლაშუნს, მესმოდა უნიტაზის ჩარეცხვისას ჩამოჩხრიალებული წყლის ხმა, ვუსმენდი პირსაბანებიდან მელო-აფურად მორაკრაკე და აბაზანებიდან გაშვებული საპნიანი წყლის ჩამას, თითქოს ზღვის მინიატურული მარილიანი ტალღების მოქცე-

ვააო, მაგრამ სმენა რომ დავძაბე, წყლის ხმაურში კარგად გავიგონე მეომარი ვირთხების ყვირილი, კბილების ხორცში ჩასობის ხმა, კვნე- სა და ყიუინა, ნარმოუდგენელი სიშორიდან მოლწეული მებრძოლი ვირთხების შეჯახებებისა და სხეულების ერთმანეთზე მიხეთქების ხმები, მაგრამ ვიცოდი, რომ ნებისმიერ გარეუბანში კლოაკის შესას- ვლელისთვის რეინის ბადე რომ მომეხსნა ან ლუკი ამეხადა და შიგ ჩავსულიყავი, ყველგან, განურჩევლად ადგილისა, ვირთხების უკა- ნასკნელი ომი დამხვდებოდა, ვითომდა უკანასენელი ომი. ეს ომი ერთხელაც გამარჯვების ხმამაღალი ყიუინით დასრულდება, რომე- ლიც იქამდე გასტანს, სანამ არ მოიძებნება საბაბი ყველაფრის თა- ვიდან დასაწყებად. დავაფარე ლუკა სახურავი და მოგვიანებით, როცა უკვე ჩემი წნეხის წინ ვიდექი, ვგრძნობდი, რომ ახალი ცოდ- ნით ვიყავი გამდიდრებული, რომ ჩემ ქვევით მთელი პრალის არხებ- ში დაუნდობელი ომი მიმდინარეობს და რომ არც სავირთხეთის ზე- ცაა ჰუმანური და ამდენად, არც მე შემიძლია ვიყო ჰუმანური, მე, რომელიც ოცდათხუთმეტი წელია, ვწნებ მაკულატურას და რაღა- ცით ვირთხებს დავემსგავსე, ოცდათხუთმეტი წელია, სარდაფებში ვცხოვრობ და არ მიყვარს ბანაობა, მიუხედავად იმისა, რომ სააბა- ზანო იქვე შეფის კაბინეტის გვერდითაა. რომ ვიბანაო, მაშინვე ავად გავხდები, ჰიგიენასთან ფრთხილი და თავშეკავებული დამოკიდებუ- ლება მმართებს და რაკი უხელთათმანოდ ვმუშაობ, საღამოობით აუცილებლად ვიბან ხელებს, მაგრამ დღეში რამდენჯერმე რომ და- ვიბანო, ხელისგულები დამისკდება, თუმცა ხანდახან სილამაზის ბერძნული იდეალისკენ ლტოლვა მიჩნდება და ერთ ფეხს ვიბან ხოლმე, ზოგჯერ კისერსაც ვაყოლებ, ერთი კვირის შემდეგ კი მეორე ფეხსა და ერთ ილლიას, და როცა დიდი ქრისტიანული დღესასწაუ- ლები მოდის, მკერდსაც ვიბან და ფეხებსაც, მაგრამ ამისთვის წინას- წარ ვემზადები და წამალს ვსვამ, იმიტომ რომ ვიცი, თივის ციებ- ცხელება დამეწყება, თუნდაც თოვდეს. ახლა იმ ჩემს ჰიდრავლიკურ წნეხში ქაღალდს ვწნებ და ყოველი შეკვრის შუაგულში კლასიკური ფილოსოფოსის გადაშლილ წიგნს ვდებ, დილის პრალაში გასეირნე- ბამ ასე თუ ისე დამამშვიდა და იმან, რომ არა მხოლოდ მე, არამედ

ათასობით ჩემნაირი ადამიანი მუშაობს პრალის მიწისქვეშეთში, სარ-დაფებსა და გვირაბებში, რომლებსაც ცოცხალი, მაცოცხლებელი და სიცოცხლის მომნიჭებელი აზრები უტრიალებთ თავში, საერთოდ, ისე დამანყნარა, რომ დღეს უკეთ მემუშავება, ვიდრე გუშინ, მეტიც, მექანიკურად ვაკეთებ ყველაფერს და ფიქრებით შემიძლია დავუბრუნდე იმ შორეულ დროს, როცა ახალგაზრდა ვიყავი, როცა ყოველ შაბათს ვიუთოებდი შარვალს და ფეხსაცმლის ლანჩებსაც კი საცხით ვაპრიალებდი, იმიტომ რომ ახალგაზრდას უყვარს სისუფთავე და თავისი ხატება, რომელიც შეუძლია შეალამაზოს, და აი გავარვარებული ნახშირით სავსე უთოს ჰაერში ისე ვიქნევ, რომ ირგვლივ ნაჟერნკლები დაფრინავს, შემდეგ შარვალს ფიცარზე ვდებ, პირველ რიგში ნაკეცებს უკეთებ, მერე ნაკეცებს ერთმანეთს ვადებ და ისე ვაფენ საუთოებელზე, ვაფარებ სველ ნაჭერს, რომელსაც ნყალი მოკუმული ტუჩებით შოვასხურე წინასწარ, ერთი სიტყვით, საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები, განსაკუთრებული გულმოდგინებით მარჯვენა ტოტს ვაუთოებ, რომელიც ყოველთვის ოდნავ გახეხილი იყო, იმის გამო, რომ კეგლის თამაშის დროს ბურთის გაგორებისას დატკეპნილ მინას მარჯვენა მუხლს ვუხახუნებდი, და როცა ორთქლში გახვეულ ცხელ ნაჭერს ფრთხილად ვაცლიდი შარვალს, თქ, როგორ ვლელავდი: ვაითუ ნაკეცი ცუდად გამოვიდა? მხოლოდ ამის შემდეგ ვიცვამდი შარვალს და ისევე, როგორც ყოველ შაბათ დღეს, გავდიოდი სოფლის მოედანზე და სანამ ლუდხანა „დოლნის“ წინ დაყრილ მორებს მივუახლოვდებოდი, აუცილებლად ვტრიალდებოდი. აი ახლაც, ვტრიალდები და როგორც ყოველთვის, ვხედავ, როგორ იხედება დედაჩემი სახლიდან, ხომ უნდა დარწმუნდეს, რომ ებილაფერი რიგზეა და ტანსაცმელიც მიხდება. უკვე საღამოა, ცეკ-ცების დროც მოვიდა და ისიც, ვისაც ასე სულმოუთქმელად ველო-ფი, აქაა, ანუ მანჩინჯა, თმაში ჩანწული ბაფთები და ლენტები ფრია-შოთ მოსდევს, მუსიკა უკრავს, მე კი მხოლოდ და მხოლოდ მანჩინ-ჯის ეეცეკვები, ვცეკვავთ და სამყარო კარუსელივით ტრიალებს ჩვენ თეველივ, თან თვალის კუთხით მოცეკვავებს შორის თავისუფალ აყვილს ვეძებ, რათა მანჩინჯასთან ერთად შევვარდე იქ პოლკის

რიტმში, ვხედავ, ჩვენ ირგვლივ როგორ იტალიურიან მოფრიალე ბაფთები და ლენტები, ცეკვის ქარბორბალა ისე ათამაშებს და იტაცებს მათ, რომ თითქმის ჰორიზონტალურად დაფრიალებენ და როცა ცეკვა ნელდება, ბაფთებიც თანდათან ეშვებიან, მაგრამ მე ვაგრძელებ ცეკვას, წრეები გამოგვყავს მოედანზე და ვხედავ, ჰაერი როგორ იტაცებს ბაფთებსა და ლენტებს, ბაფთები ზოგჯერ ჩემს ხელს ეხება, რომელშიც თეთრ ნაქარგ ცხვირსახოცს ჩაბლაუჭებული მანჩინჯას ჰატარა ხელი მიდევს, მაშინ გამოვუტყდი პირველად, რომ მიყვარს, მან კი ჩამჩრეულა, რომ ჯერ კიდევ სკოლიდან ვუყვარვარ და მომეხუტა, და მოულოდნელად ისე ახლოს აღმოვჩნდით ერთმანეთთან, როგორც არასდროს, შემდეგ კი მთხოვა, რომ თეთრი ცეკვისას მისი პირველი პარტნიორი ვყოფილიყავი, მე კი სიხარულით წამოვიყვირე: „აბა რა!“ და დაიწყო თუ არა თეთრი ცეკვა, მანჩინჯა გაფითრდა და მთხოვა, სულ ერთი წუთით გასვლა მჭირდებაო, და როცა დაბრუნდა, ცივი ხელები ჰქონდა და ჩვენ, ვითომც არაფერი მომხდარაო, ისე გავაგრძელეთ ცეკვა, სწრაფად ვატრიალებდი, რომ ყველას დაენახა, რა კარგად ვცეკვავთ, როგორ გვიხდება ცეკვა და რა შესაშური წყვილი ვართ, და როცა პოლკა თავბრუდამხვევი გახდა, მანჩინჯას ბაფთები და ლენტები აფრიალდა, ისე იტალიური ნენ, როგორც მისი ჩალისფერი კულულები და ამ დროს შევამჩნიე, რომ მოცეკვავები ჩერდებიან, ზიზღით განზე იწევენ ჩვენგან, რომ მხოლოდ მე და მანჩინჯა ვაგრძელებთ ცეკვას და დანარჩენებმა წრე შეკრეს ჩვენ ირგვლივ, არა აღფრთოვანებული მაყურებლების წრე, არამედ ცენტრიდანული ძალით გატყორცნილი ხალხის წრე, ამის მიზეზს ვერც მე მივხვდი და ვერც მანჩინჯა, სანამ დედამისი არ მოგვვარდა, არ ჩაავლო მანჩინჯას ხელი და შეშინებული გამომეტყველებით „დოლნის“ საცეკვაო დარბაზს არ გაეცალნენ, რათა აღარასდროს გამოჩენილიყვნენ და აღარასდროს მენახა მანჩინჯა, ყოველ შემთხვევაში, მთელი ორი ნლის განმავლობაში და ამ დღის შემდეგ მანჩინჯას „ჩასერილ მანჩას“ ეძახდა ყველა, რადგან თეთრმა ცეკვამ და იმან, რომ სიყვარულში გამოვუტყდი, საშინლად ააღელვა, ჰოდა, ლუდხანის სოფლური ტუალეტისაკენ გაიქცა, სადაც ფეკა-

ლიების პირამიდა თითქმის იატაკის ხვრელს სწვდებოდა, ჰოდა, ის თავისი ბაფთები და ლენტები უნებურად სოფლის საპირფარეშოში ჩააწო და ბნელი ეზოს გავლით განათებულ დარბაზში შემობრუნდა, რათა ცენტრიდანულ ძალას ბაფთებიდან და ლენტებიდან ყველაფერი მოცეკვეებისათვის მიეშეფებინა, დაესვარა ყველა, ვისაც კი მოფრიალე ბაფთები სწვდებოდა... ძველ ქალალდს ვწნებ, მწვანე ღილაკი წნების კედელს ნინ სწევს, წითელი უკან აბრუნებს, აი ასე ასრულებს ჩემი მანქანა სამყაროს უმთავრეს მოძრაობას, ისე, როგორც გარმონის საბერველი ან წრენირი, რომელიც, სადაც უნდა დაიწყოს, აუცილებლად საწყის წერტილს დაუბრუნდება. მანჩინკას, რომელმაც ვერ შეინარჩუნა თავისი პოპულარულობა, სირცხვილში ცხოვრება მოუხდა, რაშიც არავითარი დანაშაული არ მიუძლვოდა, რადგან, რაც მას ჟაერმართა, სავსებით ადამიანური იყო, გოეთე ნამდვილად აპატიებდა ამას ულრიკა ფონ ლევეტცოვს, ცხადია, შელინგიც აპატიებდა თავის კაროლინას, ერთადერთი, ალბათ, ლაიბნიცს გაუჭირდებოდა ბაფთებისა და ლენტების ამ ამბის პატიება თავისი სამეფო წარმომავლობის საყვარლის სოფია შარლოტასათვის, ზუსტად ისე, როგორც მგრძნობიარე ჰელდერლინს გაუჭირდებოდა ქალბატონ გონტარდისთვის პატიება... როდესაც ხუთი წლის შემდეგ მანჩინკა მოვძებნე, რომელიც მთელ ოჯახთან ერთად სადღაც მორავისკენ გადაიხვენა, იმ ბაფთებისა და ლენტების გამო პატიება უთხოვე, რადგან თავს დამნაშავედ ვგრძნობდი ყველაფერში, რაც კი თდესმე მომხდარა, ყველაფერში, რაც გაზეთებში დაწერილა, ყველაფერში საკუთარ დანაშაულს ვხედავდი და მანჩინკამაც მაპატია და მე დასასვენებლად დავპატიუე, ლატარეაში ხუთი ათასი კრონი მოუიგე და რაკი ფული არ მიყვარდა, მინდოდა, ეს ფული სასწრაფოდ გამეტანებინა ქარისთვის, რათა შემდეგ შემნახველი სალაროს წიგნაჟე არ მეზრუნა. ასე და ამგვარად, მე და მანჩინკა მთებისკენ გაფეშურეთ, ოქროს მწვერვალისკენ⁸, სადაც სასტუმრო „რენერში“ დაცბინავდით, რაც შეიძლება სწრაფად რომ მომეშორებინა თავიდან

⁸ მექოს მწვერვალი - ჩეხეთის ჩრდილოეთით, კუკონშის მთებში ერთ-ერთი მწვერვალი.

საზრუნავი და უფულოდ დავრჩენილიყავი, ძვირიანი სასტუმრო ავირჩიე, ყველა კაცი შერით მიყურებდა, ერთმანეთს უჯიბრებოდნენ, რომელი წამართმევდა მანჩინჯას, ყველაზე უფრო მენარმე ინა შესტრფოდა მას, მე კი მეცხრე ცაზე ვიყავი, რადგან ფულს ვხარჯავდი და ნებისმიერ სურვილს ვისრულებდით მე და მანჩინჯა, რომელიც ყოველდღე თხილამურებით დასრიალებდა. თებერვლის ბოლო იყო, მზიანი ამინდები იდგა და მანჩინჯასაც მოეკიდა მზე და დანარჩენებივით მთის ბრჭყვიალა ფერდობებზე ლრმა დეკოლტითა და უსახელოებო მაისურით სრიალებდა, მის ირგვლივ მხოლოდ კაცები ირეოდნენ, მე კი ამ დროს ვიჯექი და კონიაკს ვწრუპავდი. შუადღისათვის ყველანი უკვე სასტუმროს ნინ ტერასაზე ისხდნენ და სავარძლებსა და შეზლონგებში მზის აბაზანებს იღებდნენ, ორმოცდაათი სავარძელი და შეზლონგი ერთ ხაზად იყო ჩამწკრივებული ოცდაათ პატარა მაგიდასთან, რომლებზეც ძალ-ლონის მომცემ ლიქიორებსა და აპერატივებს აწყობდნენ, მანჩინჯა კი ძალიან დიდხანს სრიალებდა და სადილის დაწყებამდე ერთი-ორი წუთით ადრე ბრუნდებოდა. ბოლო, არა, ბოლოსნინა, მეხუთე დღეს, როცა ხუთასი კრონილა მქონდა დარჩენილი, სასტუმროს დანარჩენ სტუმრებთან ერთად ტერასაზე ვზივარ, ვხედავ, როგორ გვიახლოვდება ოქროს მწვერვალის ფერდობის მხრიდან მანჩინჯა, გარუჯული და ლამაზი, ვზივარ პან მენარმე ინასთან ერთად და ვუჭახუნებთ ერთმანეთს ჭიქებს, იმის გამო, რომ ხუთ დღეში ოთხი ათასი დავხარჯე, მენარმე ინას მეც მენარმე ვეგონე და ამ დროს დავინახე, რომ მანჩინჯა ფიჭვებისა და ჯუჯა ნაძვების უკან გაუჩინარდა, სულ მალე ისევ გამოჩნდა და სწრაფად გამოემართა სასტუმროსკენ და როგორც ყოველთვის, თხილამურებზე შემდგარმა ჩაიარა სასტუმროს დამსვენებლების ნინ და რაჟი იმ დღეს მზე აცხუნებდა და განსაკუთრებით კარგი ამინდი იყო, ყველა შეზლონგი და სავარძელი დაკავებული აღმოჩნდა და სასტუმროდან დამატებითი შეზლონგებიც კი გამოიტანეს, ჩემი მანჩინჯა კი თხილამურებით მოსრიალებდა და როგორც ყოველთვის, თითქოს პოდიუმზეაო, ისე თავმომწონედ მოდიოდა მზეს მიფიცხებული დამსვენებლების ნინ, სიმართლეს ამბობდა პან მენარმე ინა,

რომ ჩაკოცნა მოგინდებოდა, ისეთი მშვენიერი იყო მანჩინკა, მაგრამ ჩაუარა თუ არა შანჩინკამ მზის პირველ თაყვანის მცუმლებს, დავინახე, რომ ქალები თვალს აყოლებენ, შემდეგ ხელებს იფარებენ სახეზე და იცინიან და რაც უფრო მიახლოვდებოდა, მით უკეთესად ვხედავდი, რომ მანჩინკას ზურგს უკან ქალები სიცილით იხოცებიან, კაცები შეზღუდულების საზურგებს ეხეთქებიან და სახეზე გაზეთებს იფარებენ, ან თვალებს ხუჭავენ, თითქოს გული წაუვიდათ ან თვალებშილულულები ირუჯებიან მზეზეო, და აი მეც მომიახლოვდა მანჩინკა, ჩამიარა და დავინახე, რომ ერთ თხილამურზე, ბათინკის უკან, უზარმაზარი განავალი უდევს, პრესპაპიეს ზომის, როგორც ეს თავის ერთ მშვენიერ ლექსში დაწერა იაროსლავ ვრხლიცემ და მაშინვე მივხვდი, რომ ეს ჩემი მანჩინკას ცხოვრების წიგნის მეორე თავია, რომ მანჩინკას ბედად უნერია, მუდამ შერცხვენილი იყოს და ვერ შეიცნოს საკუთარი პოპულარულობა. და როცა პან მენარმე ინამ შეხედა იმას, რაც ოქროს მწვერვალის ფერდობზე ჯუჯა ნაძვებს ამოფარებულმა თავისი თხილამურების უკანა ნაწილზე მოისაქმა მანჩინკამ, გული წაუვიდა, ნაშუადლევსაც კი მთლად პარალიზებული იყო, მანჩინკა კი თმის ძირებამდე განითლდა... ზეცა ჰუმანური არ არის და არც ის ადამიანი შეიძლება იყოს ჰუმანური, რომელსაც ეს ასე ჰგონია. შეკვრას შეკვრაზე ვწნებ და შეაში, ყველაზე უფრო ლამაზ ადგილზე, გადაშლილ წიგნებს ვდებ, ფიქრებით კი ისევ მანჩინკასთან ვარ. შამპანურის სმაში იმ საღამოს ბოლო გროშამდე ფავხარჯეთ ფული, მაგრამ კონიაკმაც კი ვერ უშველა ჩვენს უსაზღვრო სურვილს, რომ მანჩინკა იმ წამს, როცა თხილამურზე დადებული საკუთარი განავლით თავს იწონებდა საზოგადოების წინაშე, ჩარმოსახვად გადაქცეულიყო და საკუთარ თავს გაჰქიცეოდა. და ჩიუხედავად იმისა, რომ ღამის მთელი დარჩენილი წანილი ვეხვენებიდი, ეპატიებინა ჩემთვის მომხდარი, არ მაპატია და დილით თავაჩულმა და ამაყმა დატოვა სასტუმრო „რენერი“, რათა ასე ალესარუსებინა ლაო-ძის სიტყვები: ამქვეყნად მხოლოდ ის ადამიანია მიბაძილის ლირსი, რომელმაც შეიცნო თავისი სირცხვილი და შეინარჩუნა მაყისი სიდიადე... გადავშალე „კანონიკური წიგნი ზნეობის შესა-

ხებ", მოვძებნე საჭირო გვერდი და მღვდელივით, როგორც საკურ-თხეველზე, ისე დავდე გადაშლილი წიგნი წნების კალათის შუაგულ-ში, საცხობებიდან მოტანილ საზიზლარ ქალალდა და ცემენტის ტომრებს შორის. დავაჭირე თითო მწვანე ლილაკს, რომელმაც დაძრა ჭუჭყან არეული მთელი ეს მაკულატურა და თითებგადაჭდობილი დავდექი ისე, როგორც გულმხურვალე ლოცვისას დგანან ხოლმე და ვუყურებდი, წნების კედლებმა როგორ დაჭმუქნა „კანონიკური წიგნი ზნეობის შესახებ", რომლიდანაც შორეული ასოციაციის წყალობით ამოტივტივდა ჩემი ახალგაზრდობის გარკვეული მონაკვეთი და მზე-თუნახავი მანჩინქას პორტრეტი. ამ დროს, თითქოს ლრმა ქვეტექ-სტიარ, კლოაკებისა და არხების სილრმეებიდან მოისმოდა საკანალი-ზაციონ წყლის ჩხრიალი და იქ ვირთხების ორი კლანი სამკვდრო-სა-სიცოცხლოდ ებრძოდა ერთმანეთს. დღეს მშვენიერი დღე იყო.

ერთ მშვენიერ ნაშუადლევს ყასბებმა ხორცის მაღაზიის სატ-
ეირთო მანქანა მომაყენეს სისხლიანი ქალალდებითა და მუყაოთი
სავსე ყუთებით. ვერ ვიტანდი ამ სისხლიან ქალალდებს, იმიტომ
რომ მოტკებო სუნი ასდიოდა და ყასბის ნინსაფარივით მთლიანად
სისხლით ვითხერებოდი ხოლმე. თავდაცვის მიზნით პირველ შეკ-
ერას ერაზმ როტერდამელის გადაშლილი „ქება სისულელისა“ ჩავა-
ყოლე, მეორე შეკერას დიდი პიეტეტით – ფრიდრიხ შილერის „დონ
ჯარლოსი“ და მესამეში, რათა სიტყვაც სისხლიან ხორცად მექცია,
ფრიდრიხ ნიცხეს გადაშლილი „Ecce Homo“ ჩავდე. ხორცის ბუზე-
ბის ლრუბლით გარშემორტყმული ვმუშაობდი, ეს საზიზლარი ბუ-
ზები სასაკლაოდან გამოჰყვნენ ყასბებს და მათი გუნდი, რომელიც
გიური ბზუილით დასტრიალებდა იქაურობას, სეტყვასავით მირ-
ტყამდა სახეში. როცა ლუდის მეოთხე დოქი დავცალე, წნეხის
ჩვერდით მომხიბვლელი ახალგაზრდა გამომეცხადა და მყისვე მივ-
ხდი, რომ ის სხვა არავინაა, თუ არა ქრისტე, მერე კი მის გვერ-
დით სახედანაოჭებული მოხუცი გამოჩნდა და მაშინვე მივხვდი,
რომ ის სხვა ვერავინ იქნებოდა, თუ არა ლაო-ძი. აი ასე, იდგნენ
ორივენი ერთად და ათასობით ხორცის ბუზი და კობალტისფერი
ბუზი აქეთ-იქით გიურად დაფრინავდა, თან ფრთებითა და სხეუ-

ლებით ლითონისებრი ულერადობის მაღალ ხმას გამოსცემდა. ბუზები სარდაფის პაერში უზარმაზარ ცოცხალ სურათს ქარგავდნენ, შედგენილს განუწყვეტლივ მოძრავი წირებისა და ნაპერნკლებისგან, ზუსტად ისე, როგორც ჯექსონ პოლოე ასხამდა სალებავებს გიგანტური სურათების შესაქმნელად. სრულებითაც არ გამკვირვებია ამ ორი ფიგურის გამოჩენა, იმიტომ რომ არყის სმისაგან როგორც ბაბუას, ისე დიდ ბაბუას ასეთი ხილვები ჰქონდათ, ზღაპრების გმირები ეცხადებოდნენ, ბაბუას აქეთ-იქით ყიალში სირინოზები და წყლის სხვა ზღაპრული არსებები ხვდებოდნენ, დიდ ბაბუას კი იმათი არსებობის სჯეროდა, რომლებიც ლიტოველის ლუდსახარშის ეზოში ეცხადებოდნენ, ანუ ჯუჯების, ტროლებისა და ფერიების, მაგრამ მე, რაკი ჩემდა უნებურად განათლებული ვიყავი, როცა ჩემს ლოგინზე ოცტონიანი ცის ქვეშ ვიძინებდი, ბალდახინის ბოძებთან შელინგი და ჰეგელი მეცხადებოდნენ, რომლებიც ერთსა და იმავე წელს დაიბადნენ, ერთხელ ცხენზე ამხედრებული ერაზმ როტერდამელი წამომადგა თავს და ზღვისკენ მიმავალი გზა მკითხა. ასე რომ, სრულებითაც არ გამკვირვებია, როცა სარდაფის იმაცი გამომეცხადა, ორივე უდავოდ მიყვარდა და ერთმანეთის გვერდით რომ დავინახე, ცხოვრებაში პირველად მივხვდი, რა მნიშვნელოვანია მათი აზრების გასაგებად მათი ასაკის ცოდნა. სანამ ბუზები გადარეულებივით ცეკვავდნენ და ბზუოდნენ, სისხლით გაუდენთილ სამუშაო ბლუზაში ვიდექი და თითს ვაჭერდი მწვანე და წითელ ღილაკებს და ვხედავდი, რომ ქრისტე სულ მაღლა და მაღლა მიინევს, ლაო-ძი კი უკვე მწვერვალზე დგას, ვხედავდი მგზნებარე ახალგაზრდა კაცს, რომელსაც სამყაროს შეცვლა სურს, მოხუცი კი მორჩილად იყურება ირგვლივ და საწყისებთან მიბრუნებით საფუძველს უყრის თავის მარადისობას. ვხედავდი, რომ ქრისტე ლოცვით ქმნის რეალობას, რომელიც სასწაულისკენ მიიღოვის, ლაო-ძი კი ბუნების კანონების დიდ გზას მიუყვება და მხოლოდ ამ გზით აღნევს განსწავლულ უცოდინარობას. გასისხლიანებული ხელებით ვიღებდი და წნეხში ვყრიდი სველ განითლებულ ქაღალდს, სახე სისხლის შეფეხით მქონდა დაფარული და როკა

შნეანე ლილაკს ვაჭრდი თითს, წნეხის კედელი იძვროდა და საზიზლარ ქალალდთან ერთად იმ ბუზებსაც წნეხდა, რომლებიც ვერ სწყდებოდნენ ხორცის ნარჩენებს. ხორცის ბუზები, რომლებიც სისხლის სუნმა სრულიად გააგიუა, წყვილდებოდნენ და ერწყმოდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი გაორმაგებული ვნებით გამოჰყავდათ წყვეტილი პირუეტები ქალალდით სავსე წნეხის თავზე და გადარეული ქროლვით, ისე, როგორც ატომში დაქრიან ნეიტრონები და პროტონები, გაუვალ ნისლს ქმნიდნენ. ვსვამდი ლუდს დოქიდან და თვალს არ ვაშორებდი ახალგაზრდა იესოს, მგზნებარებით აღსავსეს, ახალგაზრდა კაცებისა და ლამაზი ქალების გარემოცვაში, ლაო-ძი კი, სრულიად მარტოხელა, ლირსეულ საფლავს ეძებდა განსასვენებლად. და როცა პროცესი ბოლო ფაზამდე მივიდა, სისხლი გადმოშეფდა და სისხლის წვეთებთან ერთად დაწნეხილი ბუზებიც ცვიოდნენ კალათიდან, და ვხედავდი კეთილსახიერ და შთაგონებულ იესოს, ინტერესდა კარგული და ლრმა მელანქოლიით შეპყრობილი ლაო-ძი კი გულგრილი გამომეტყველებით ეყრდნობოდა ჩემს წნეხს; ვხედავდი იესოს, რომელიც, რწმენით აღსავსე, ბრძანებას იძლეოდა და მთა დამჯერად იცვლიდა ადგილს, ლაო-ძი კი ჩემს სარდაფს უხილავი გონებისგან მოქსოვილ ბადეში ახვევდა; იესო ოპტიმისტურ სპირალად მეჩვენებოდა, ლაო-ძი კი – გამოუყალ წრენირად, იესო კონფლიქტური და დრამატული სიტუაციებით იყო აღსავსე, ლაო-ძი კი მორალური წინააღმდეგობების გადაუჭრელობაზე ფიქრობდა. და წითელ ლილაკზე თითის მიჭერის შემდეგ გასისხლიანებული წნეხის კედელი უკან ბრუნდებოდა და გათავისუფლებულ კალათში ორივე ხელით ვყრიდი სისხლიან ყუთებს, კოლოფებს, სისხლითა და ხორცის სუნით გაუდენთილ შესაფუთ ქალალდს და იმის ძალაც კი მეყო, რომ ფრიდრიხ ნიცეშეს წიგნში მომექებნა ადგილი, როგორ დადო ნიცემ რიხარდ ვაგნერთან „ვარსკელავური კავშირი“, რათა შემდეგ ეს წიგნი ისე ჩამენვის წნეხის კალათში, როგორც პატარა ბავშვს აწვენენ აბაზანაში, თან ორივე ხელით ვიგერიებდი მწვანე და ლურჯი ბუზების გუნდს, რომლებიც სახეზე ისე მეხეთქებოდნენ, როგორც ტირიფის ტოტე-

ბი ქარში. როცა მწვანე ლილაქს მივაჭირე თითი, დავინახე, რომ სარდაფის კიბეზე პატარ-პატარა ნაბიჯებით ორი ქვედატანი ჩა-მორბოდა, ბოშა ქალების ფირუზისფერ-მწვანე და ატლასისებრ-ნი-თელი ქვედატანები, რომლებიც ხილვასავით მოულოდნელად გამო-მეცხადებოდნენ ხოლმე მაშინ, როცა უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მოკვდნენ, რომ მათმა საყვარლებმა ყასბის დანით ყელი გა-მოსჭრეს, ბოშები, ძეველი ქალალდის შემგროვებლები, რომლებსაც ზურგზე მოკიდებული ფუთებით მოჰქონდათ ქალალდი, უფრო სწორად, მკერდზე შეკრული დიდი თავშლებით, როგორითაც ძვე-ლად ფიჩხს ეზიდებოდნენ ტყიდან; და როცა ეს ორი ბოშა ბარბა-ცით მიუყვებოდა ხალხმრავალ ქუჩებს, გამვლელებს თაღებსა და გვერდითა ქუჩებში უწევდათ თავის შეფარება და როცა ქალალდით დატვირთულები ჩვენს შემოსახვევში შემოდიოდნენ, ლამის მთელ გასასვლელს ხერგავდნენ. შემდეგ სასწორთან მოდიოდნენ, ზურ-გით ტრიალდებოდნენ და მაკულატურის გროვაზე ეცემოდნენ, მკერდზე კვანძებს იხსნიდნენ და იმ უზარმაზარი ტვირთისაგან თა-ვისუფლდებოდნენ, სასწორთან მიათრევდნენ მაკულატურიან ფუ-თებს, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ, შუბლს იწმენდდნენ და სას-წორის ისარს უყურებდნენ, რომელიც აჩვენებდა, რომ ოცდაათი, ორმოცი, ზოგჯერ კი ორმოცდაათი კილოგრამი მუყაოს ყუთები, დაწნეხილი ნახერსის ფიცრები და უნივერმალებიდან თუ მაღაზიე-ბიდან გადაყრილი შესაფუთი ქალალდი მოუტანიათ. თუ ეს ბოშა ქალები მძიმე სამუშაოსგან გათანგულები და გადაღლილები იყვნენ (თუმცა იმხელა ძალა და შემართება ჰქონდათ, რომ თავიანთი ფუ-თების თრევისას შორიდან ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ზურ-გზე ტრამვაი თუ მატარებლის ვაგონი აქვთ მოკიდებული) და ძა-ლა ელეოდათ, ჩამოირბენდნენ ხოლმე ჩემთან, ჩამოიხსნიდნენ ის თავის უზარმაზარ ტვირთს და მშრალი ქალალდის გროვაში ეხეო-ქებოდნენ, კაბებს ლამის ჭიპებამდე იწევდნენ, ამოაძვრენდნენ ხოლმე სადღაციდან სიგარეტსა და ასანთს და ასე ზურგზე ნამო-ნოლილები აბოლებდნენ, თან ისე ძლიერად ექაჩებოდნენ, გეგონე-ბოდა, სიგარეტიდან შოკოლადს ისრუტავენო. აი, ახლაც მისასალ.

მებლად ბუზების ღრუბლიდან რაღაც გავძახე მათ. წელამდე კა-ბაახდილი ფირუზისფერი ბოშა ზურგზე ინვა, ლამაზად მოუჩანდა შიშველი ფეხები, მოშიშვლებული ნაზი მუცელი, მუცლის ძირში კი თმა ცეცხლის ენებივით ექოჩრებოდა; ერთი ხელი გაქონილი შავი თმის ბოლოებამდე ჩაცურებული თავშლის ქვეშ ჰქონდა ამოდებული, მეორე ხელში კი სიგარეტი ეჭირა და ძლიერ ნაფაზებს ურტყამდა, აი ასეთ მიმნდობ პოზაში ისვენებდა ფირუზისფერი ბოშა, უზომო შრომით დალლილ-დაქანცული ატლასისებრ-წითელი ბოშა კი მიგდებული პირსახოცივით გამოიყურებოდა. იდაყვით პორტფელისკენ მივუთითე, პურსა და ძეხვს ვყიდულობდი ხოლმე, მაგრამ იმის გამო, რომ ლუდს დოქებით ვცლიდი, ნაყიდი საჭმელი, როგორც წესი, ხელუხლებლად მიმქონდა შინ, არ შემეძლო ჭამა, მაურიალებდა, აკანკალებულ-აცახცახებული ვიყავი და თანაც ლუდით გაჭყეპილი. ბოშები სარწეველა სავარძლებივით გამოგორდნენ ქალალდის გროვიდან და პირში სიგარეტგაჩრილებმა გაშვერილი ხელებით გზა გაიკვლიეს პორტფელისაკენ, ამოილეს ძეხვი, სამართლიანად გაინაწილეს ერთმანეთში, თეატრალური უესტით ჩააქრეს სიგარეტები, ნამწვები გულდასმით გასრისეს ქუსლებით, თითქოს გველებს უჭეჭყავენ თავებსო და დასხდნენ, ჯერ ძეხვი შეჭამეს და შერელა მიადგნენ პურს. სასიამოვნო საყურებელი იყო, როგორ შეექცეოდნენ პურს, ერთხელაც არ ჩაუკბეჩიათ, ნაჭრებს მხოლოდ ხელით იტეხდნენ. ჭამის პროცესში ძალიან დასერიოზულდნენ, ლუკმებს ხელით იდებდნენ პირში და თან თავებს აქნევდნენ და შხრებით ეხებოდნენ ერთმანეთს, ორი ცხენივით, რომლებსაც მისჯილი აქვთ, ერთად წიონ ურემი, სანამ ერთხელაც სასაკლაოზე არ წაიყვანენ. ქუჩაშიც შემხვედრია ეს ორი ბოშა, მაღაზიების საწყობებს ზურგზე მოკიდებული ფუთებით რომ ათვალიერებდნენ, ერთმანეთისთვის წელზე ჰქონდათ ხელი მოხვეული, სიგარეტს ეწერდნენ და პოლკის საცეკვაო ნაბიჯით დადიოდნენ. და სულაც იმ იყო ამ ბოშების ცხოვრება ადვილი, მაკულატურის შეგროვებით ირა მარტო საკუთარ თავსა და შვილებს ინახავდნენ, არამედ თა-მოაწერ მფარველ ბოშასაც, რომელიც საღამოობით გადასახადს არ-

თმევდა, გადასახადის სიღიდე კი მათი ფუთების პროპორციულად იზრდებოდა. ის ბოძა განსაკუთრებული ადამიანი იყო, ოქროს სათვალე ეკეთა, პატარა ულვაშები და შუაზე გაყოფილი თმა ამშვენებდა და ყოველთვის ფოტოაპარატი ჰქონდა მხარზე გადაკიდებული. ყოველდღე უღებდა ფოტოებს ამ ბოძა ქალებს, ამ ორ გულეთილ არსებას, რომლებიც ფოტოაპარატის ობიექტივის წინ რაც ძალა და ლონე ჰქონდათ იპრანჭებოდნენ, ბოძა კი ჯერ თმებს უსწორებდა და მხოლოდ ამის შემდეგ იხევდა უკან და იღებდა ფოტოს, მაგრამ არასდროს ედო აპარატში ფოტოფირი, რის გამოც ბოძის ქალებს ერთი საცოდავი ფოტოც კი არასოდეს მიუღიათ და მიუხედავად ამისა, ყოველდღე იღებდნენ ფოტოებს და თავიანთ სურათებს ისე ელოდნენ, როგორც ქრისტიანები სამოთხეში მოხვედრას. ერთხელ ეს ჩემი ბოძები იქ შემხვდნენ, სადაც ლიბენის ხიდი ჰოლეშოვიცედან ვლტავის მეორე მხარეს გადადის, აი ლუდხანა „შოლერის“ მოსახვევთან, სადაც ქუჩის მოძრაობას საზოგადოებრივი უსაფრთხოების ბოძა თანამშრომელი არეგულირებდა, თეთრი ხელთათმანები ეცვა, ზოლიანი ჯოხი ეჭირა და მოძრაობის მიმართულების საჩვენებლად ჰოლკის საცეკვაო ნაბიჯით ჭრიალდებოდა, რასაკ ისე ლამაზად და მოხდენილად აკეთებდა, რომ მეც გავჩერდი და უუყურებდი, რა სიამაყით ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას თავისი ნახევარსაათიანი ცვლის განმავლობაში, და ზუსტად ამ დროს მომხვდა თვალში ფირუზისფერი და ატლასისებრ-ნითელი ფერები: ქუჩის მეორე მხარეს, მოაჯირის იქით, ჩემი ორი ბოძა იდგა და ჩემსავით ვერ სწყვეტდა თვალს გზაჯვარედინის შუაში მდგომ მოძრაობის დამრეგულირებელს, და ამ ჩემი ორი ბოძის გვერდით რამდენიმე ბავშვი და უფროსი ბოძა იდგა, ალფროვანებულები იყვნენ და თვალები უბრნყინავდათ, ყველას ერთად სიაშა. ყე ენერა სახეზე იმის გამო, რომ ჩვეულებრივმა ბოძამ ასეთ სიმაღლეებს მიაღწია. როცა დრო მოვიდა და ბოძამ საზოგადოებრივი უსაფრთხოების სხვა თანამშრომელს გადასცა ზოლიანი ჯოხი, მაც ყურებელი ბოძების წრეში აღმოჩნდა, რომლებიც ულოცავდნენ და პატივისცემას გამოხატავდნენ, ის ჩემი ორი ბოძა მოულოდნელად

მუხლებზე დაეცა და დავინახე, როგორ შეეხო მინას ფირუზისფერი და ატლასისებრ-წითელი ქვედატანები, და როგორ უნმენდდნენ თავიანთი ქვედატანებით დამტვერილ ფეხსაცმელს მოძრაობის დამრეგულირებელს, რომელიც ამ დროს იღიმებოდა, ბოლოს კი ველარ დამალა სიხარული, სიცილი დაიწყო და ყველა იქ მყოფი ბოშა გადაკოცნა, ფირუზისფერი და ატლასისებრ-წითელი ქვედატანები კი ამ დროს ფეხსაცმელს უპრიალებდნენ.

მორჩნენ ჩემი ბოშები ჭამას, ტანსაცმლიდან მოკრეფილი ნამცე-ცები პირში ჩაიყარეს, შემდეგ ფირუზისფერი ბოშა ქალალდზე გა-დანვა, ქვედატანი ნელამდე აინია, უეშმაკოდ გამომხედა, მუცელი ამოზნიქა და სრულიად სერიოზულად მკითხა: „პა, ბიძაჩემო, ვი-ზამთ?“ სისხლში ამოსვრილი ხელები ვუჩვენე და ისეთი უესტი გავა-კეთე, თითქოს ფარდა ეშვებოდა და ვუთხარი: „ვერ ვიზამთ, მუხლი მტკივა“. ბოშამ მხრები აიჩეჩა, ფირუზისფერი ქვედატანი ჩამოინია, თან მზერას არ მაშორებდა და თვალებს არ ახამხამებდა, ისევე, რო-გორც ატლასისებრ-წითელი ბოშა, რომელიც იქვე კიბის საფეხურზე იჯდა. უკვე დასვენებულები ენერგიულად ნამოხტნენ, კუთხეში მიყ-რილ თავშლებს ნამოავლეს ხელი და კიბისენ გაიქცნენ, მაგრამ სა-შამ გაუჩინარდებოდნენ, დასაკეცი მეტრივით მოიხარნენ, თავები სადღაც მუხლებში ჰქონდა ჩაყოფილი, მყვირალა ალტით რაღაც გა-შომძახეს გამოსამშვიდობებლად და კიბეზე აქანდნენ, ეზოდან მათი შიშველი ფეხების ტყაპატყუპი მესმოდა, პოლკის ნაბიჯით სიარუ-ლის განუმეორებელი ხმა, ცხადია, იქით მიეჩეარებოდათ, საითაც იმ შეთმა ბოშამ გააგზავნა მაკულატურის მოსაგროვებლად, აი მხარზე უოტოპარატგადაკიდებულმა და სათვალიანმა ბოშამ, დავარცხნი-ლო ულვაშებით და შუაზე გაყოფილი თმით, რომელიც მათ მფარვე-ლობდა. მე კი მუშაობა გავაგრძელე, ჭერამდე აკოკოლავებულ ქა-ლდებს კაუჭი გამოვდე და სისხლით გაუდენთილი კოლოფები, ყუ-შებრი, დასველებული შესაფუთი ქალალდი წნეხისენ ჩამოზვავდა და საის შუაში გაჭრილი ხერელი განთავისუფლდა, საიდანაც, თითქოს შეურნითაა გაძლიერებულიო, ნებისმიერი ხმა და გაფაჩუნება მეს-ტუა ეზოდან; ამ დროს მაკულატურის რამდენიმე შემგროვებელი

მოუხახლოვდა ხვრელს, ქვემოდან ისე ავყურებდი, როგორც ეკლე-სიის პორტალზე შემოდგმულ ქანდაკებებს, ისე ღრმად იყო მიწის-ქვეშ ჩემი წნები, ჩემი საწნები მოწყობილობა, რომელიც კატაფალკს თუ ერის მამის კარლოს მეოთხის საფლავს წააგავდა. უცებ ნახ-ვრეტთან შეფი გამოცხადდა და როგორც ყოველთვის, ზევიდან მო-მავალი მისი ხმა ბრაზითა და ზიზლით იყო სავსე, დამყვიროდა და გაცხარებული ხელებს იქნევდა: „ჰანტა, ისევ ეს მარჩიელები! რა უნ-დოდა აქ ამ ორ კუდიანს?“ მე კი, როგორც ყოველთვის, შევშინდი, ცალ მუხლზე დავეცი, ხელით წნების კალათას ჩავეჭიდე და ზევით ვიყურებოდი და არაფრით არ მესმოდა, რატომ ვერ მიტანს ასე ძა-ლიან ეს ჩემი შეფი, რატომ აქვს ყოველთვის ყველაზე საძაგელი გრიმასა ჩემთვის შემონახული, თითქოს ჩემთან შესახვედრად სპე-ციალურად ემზადებაო, უსამართლოდ გაბრაზებულს, ჩემ გამო სახე ისე ჰქონდა მონგრეული, რომ ყოველთვის, ზუსტად ისე, როგორც ახლა, თავიდან ვაცნობიერებდი, რა საზიზლარი და აუტანელი თა-ნამშრომელი ვარ, რა თავსატკივარს ვუჩენ ჩემს დიდებულ უფ-როსს... ისე წამოვდექი იატაკიდან, როგორც შეშინებული ჯარისკა-ცები წამოხტნენ, როცა საფლავის ქვა უცნობმა ძალამ მოისროლა და საფლავიდან ქრისტე გამოვიდა, წამოვდექი, დამტვერილი მუხ-ლები დავითერთხე და გავაგრძელე მუშაობა, აღარ ვიყავი საკუთარ თავში ისე დარწმუნებული, როგორც მანამდე, ხორცის ბუზები კი გაორმაგებული ძალით დაფრინავდნენ და ბზუოდნენ, ალბათ, იმი-ტომ იყვნენ ასე გაგიუებულები, რომ თითქმის მთელი სისხლიანი ქალალდი დავწნეხე, ან იქნებ ორპირმა ქარმა გადარია, რომელიც მაკულატურის მთის ჩამოშლამ და ეზოში გამავალი ხვრელის განთა-ვისუფლებამ გამოიწვია; ჩემი სახის, ხელებისა და წნებში ჩაყრილი ქალალდის გარშემო გაუვალ ღრუბელს ქმნიდნენ, ისეთსავე გაუ-ვალს, როგორსაც უოლოს ბუჩქები, როგორსაც მაყვლის ტოტები, ასე რომ, როცა მათ ხელების ქნევით ვიგერიებდი, შეგრძნება მიჩ-ნდებოდა, თითქოს ფოლადის მავთულსა თუ მავთულების მთელ კო-ნას ვეომებოდი. აი ასე ვმუშაობდი სისხლიანი ოფლით დასველებუ-ლი, და მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც სარდაფში ბოშები

იყვნენ, წნების კალათასთან იესო და ლაო-ძი იდგნენ, და ახლა, როცა მარტოობამ და მიტოვებულობამ სამუშაო მანქანას მიმაჯაჭვეს და ხორცის ბუზებით გარშემორტყმული და განკუპლილი ვმუშაობ, მეჩვენება, რომ იესო ჩოგბურთის ჩემპიონი იყო, რომელმაც ეს-ეს არის უიმბლდონი მოიგო, ლაო-ძი კი ერთ გასაცოდავებულ ვაჭარს მაგონებდა, რომელიც მიუხედავად დიდალი მარაგისა, უქონელივით გამოიყურებოდა; ვხედავდი ქრისტეს ნიშნებისა და სიმბოლოების დასისხლიანებულ სხეულებს, უბრალო პერანგში გამოწყობილი ლაო-ძი კი ხის დაუმუშავებელ მორზე მიმითითებდა, იესო ფლეიბოი იყო, ლაო-ძი კი – ერთი ბერბიჭა ფუნქციადაკარგული ჯირკვლებით, ვხედავდი, როგორ სწევს იესო მბრძანებლური უესტით ხელს და მძლავრი მოძრაობით ანადგურებს მტერს, ლაო-ძი კი მორჩილად უშვებს ხელებს, მოტეხილი ფრთებივით, იესო რომანტიკოსად მეჩვენებოდა, ლაო-ძი კი – კლასიცისტად. იესო მოქცევა იყო, ლაო-ძი – მიქცევა, იესო გაზაფხული იყო, ლაო-ძი – ზამთარი, იესო – მოყვასის სიყვარული საქმით, ლაო-ძი – სიცარიელის მწვერვალი, იესო – *progressus ad futurum*, ლაო-ძი – *regressus ad originem*... და რიგრიგობით ვაჭერდი თითს წითელ და მწვანე ლილაკებს და რომელც იქნა, წნებში ჩავუძახე გულისამრევი სისხლიანი ქალალდის ბოლო გროვა, რომლითაც მთელი სარდაფი ამიღსეს ყასბებმა, თუმცა ამავდროულად იესო და ლაო-ძი მომიყვანეს. მაკულატურის ბოლო შეკვრას იმანუელ კანტის „ზნეობის მეტაფიზიკა“ ჩავაყოლე და ბუზები საბოლოოდ გადაირივნენ, თითქმის ყველანი სისხლიან ნარჩენებზე ჩამოსხდნენ და ისე ხარბად სწოვდნენ შემხმარ და ჯერ კი-დევ შეუმხმარ სისხლს, ვერც კი ამჩნევდნენ, რომ წნების გვერდითა ქედელი აწვებოდათ, რომ მალე გაჭყლეტდა და ლაბად აქცევდა. როცა დაწნებილი საზიზლრობის შეკვრას მავთული შემოვახვიე და შევიღე, რომ დანარჩენი თხუთმეტისოვის მიმედო გვერდით, თან შომზვებოდა დარჩენილი ბუზების გაცოფებული გუნდი, ყოველი შეკვრა ხორცის ბუზებით იყო მოფენილი, შეკვრებიდან გამოწურული სისხლის ყოველ წვეთიდან მწვანე ან ლითონისებურ-ლურჯი ბუზი ანათებდა, ყოველი შეკვრა ზაფხულის ცხელ ნაშუადლევს სოფ-

ლის საყასბოში კაუჭზე ჩამოეიდებულ ძროხის ბარკალს მაგონებდა, და როცა თავი ავნიე, დავინახე, რომ იქსო და ლაო-ძი უკვე ნასულიყვნენ, ისევე, როგორც ჩემი ბოშების ფირუზისფერი და ატლასი-სებრ-წითელი ქვედატანები გავიდნენ კირით შეღებილი კიბით, ლუდის დოქი კი დაცარიელებულიყო. ჰოდა, კიბეზე აფოფხება დავინყე, თავიდან ხელსაც ვიშველიებდი ასასვლელად, თავბრუ მეხვეოდა მეტისმეტად ხმაურიანი მარტობისგან, უკანა ქუჩას რომ მივალნიე, ჰაერმა მიშველა, გავიმართე და ლონივრად ჩავებლაუჭე ლუდის ცარიელ დოქს. კამჯამა ჰაერი ისე მწვავდა თვალებს, თითქოს მზის ყოველი სხივი მარილიანი ყოფილიყო. ერთ პატარა ქუჩას მივუყვებოდი, რომელიც სამების ეკლესის ეზოს ესაზღვრებოდა, მუშები ქვაფენილიან ქუჩას თხრიდნენ და ჩემი ბოშებიც აქვე იყვნენ, ფირუზისფერი და წითელი ქვედატანები ფიცარზე ისხდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ და სხვა ბოშებს ელაპარაკებოდნენ. მინის სამუშაოებს, როგორც წესი, ბოშები ასრულებდნენ, მათთვის ეს იძულებითი სამუშაო იყო და შემართებით მუშაობდნენ, რადგან დასახული მიზანი დალლილობას უმსუბუქებდათ. ყოველთვის სიამოვნებით ვუყურებ, წელს ზევით შიშვლები, როგორ ეჭიდებიან თოხებითა და წერაქვებით მაგარ მინასა და ქვაფენილს, სიამოვნებით ვუყურებ, წელამდე თხრილში რომ დგანან და ისე გამოიყურებიან, თითქოს საფლავს თხრიანო, მომწონს, უცებ რომ ბეზრდებათ მუშაობა, ცოლები და შვილები კი სულ იქვე, სამუშაო ადგილთან, ტრიალებენ, ამიტომ არაერთხელ მინახავს, კალთააკაპინებული ბოშა ქალი ბრჭყვიალა წერაქვით ორმოს როგორ ალრმავებს, ახალგაზრდა კაცს კი პატარა ბავშვი უზის მუხლებზე და ეთამაშება; რაღაც მოუხერხებლად კი ეფერება ბავშვს, მაგრამ ამ მოფერებით კაცს ძალა ეძლევა, არა კუნთების, არამედ სულიერ ძალას ვგულისხმობ. საშინლად მგრძნობიარე ხალხია ეს ბოშები, სამხრეთ ჩეხეთში გავრცელებულ ჩვილქრისტესთან მოთამაშე ლვითისმშობლის ქანდაკებებს მაგონებენ, ხანდახან კი ისე გამოგხედავენ, რომ სისხლი გეყინება ძარღვებში, ბოშებს რომელილაც უკვე დავიწყებული ცივილიზაციის ხალხის უზარმაზარი და ჭკვიანი თვალები აქვთ; გამიგონია, რომ როდესაც ჩვენ

ჯერ კიდევ ნაჯახებით დავრბოდით და თხებს ვმწყემსავდით, ბოშებს სახელმწიფო პქნდათ, რომელსაც თვითონ მართავდნენ და რომელმაც უკვე დაცემის ორი ეპოქა მოიტოვა უკან, ამას ვეუბნები ჩემს თავს და მახსენდება, როგორ მისხამდა გუშინ ლუდხანა „პუსენსკის“ ოფიციანტი ოთხჯერ ნახევარ ლიტრს დოქის ტუჩის ჩაყოლებით და რაც დოქმი არ ჩავიდა, კათხაში ჩაასხა, თუნუქის მაგიდაზე გამოაცურა და ხელში მომაჩეჩა, რადგან დოქიდან უკვე ქაფი გადმოდიოდა. მომაჩეჩა კათხა და ზურგი მაქცია, რადგან გუშინ, ფულს რომ ვიხდიდი, სახელოდან თაგვი გამომიძვრა. დავლიერ ლუდი და გავიფიქრე, ოფიციანტი, ალბათ, იმიტომ შეტრიალდა, რომ სისხლიანი ხელები მქონდა, სისხლი მქონდა ყველგან მიმხმარი და როცა ხელისგულებით სახე მოვისრისე – ყოველთვის ასე ვაკეთებ, ხელისგულებით მთელ სახეს ვისრეს ხოლმე – ვიგრძენი, რომ შუბლზე გამხმარი ხორცის ბუზები მქონდა მინებებული: ხელების ქნევით თავს რომ ვიცავდი ამ გაცოფებული ბუზებისგან, ეტყობა, მაშინ მივისრისე. აი ასეთ ფიქრებში გართული ვბრუნდებოდი გადათხრილი ქუჩის გავლით შინ, ფირუზისფერი და ატლასისებრ-წითელი ქვედატანები კი უკვე წმინდა სამების ეკლესიის კედელთან იდგნენ, მზეს ეჭიცხებოდნენ და ფოტოაპარატიანი ბოშა მათ ნიკაპებს უსწორებდა; გაუსწორა, უკან დაიხია, სამიზნებელში გაიხედა, შემდეგ კიდევ ერთხელ მიუახლოვდა, მათ მაჟიაჟით გაფერადებულ სახეებს ნეტარი ლიმილი მოსთხოვა, თვალთან მიიტანა სამიზნებელი, ხელით ნიშანი მისცა, ფოტოაპარატი ჩააჩხაკუნა და არარსებული ფირი ერთი კადრით წინ გადაახვია. ბოშა ქალები ტაშს უკრავდნენ და პატარა ბავშვებივით ხარობდნენ და მხოლოდ ის ადარდებდათ, ლამაზად გამოვიდნენ თუ არა ფოტოებზე. ქუდი თვალებზე ჩამოვიფხატე და ქუჩის მარჯვენა მხრიდან მარცხენაზე რომ გადავედი, წინ საშინლად დაბნეული პან ესთეტიკის პროფესორი დავინახე, სათვალის სქელი შუშები სანადირო თოფის ლულებივით, მინის ორ დიდ საფერფლესავით პქნდა ჩემქენ მოშვერილი; ცოტა ხანს ჯიბეს იჩხრეკდა, მერე, როგორც ყოველთვის, ათერონიანი ამოილო, ხელში ჩამიდო და მეოთხა: „ახალგაზრდა იქ არის?“. ვუთხარი, იქ არის-მეოთქი. შემდეგ

კი, როგორც ყოველთვის, ყურში ჩამჩურჩულა: „ლმობიერი იყავით
მაგ ახალგაზრდის მიმართ, კარგი?“. მეც დავუდასტურე, რომ ლმო-
ბიერი ვიქნებოდი. მერე თვალი გავაყოლე, როგორ ჩავიდა პროფე-
სორი ეზოს გავლით სპალენაას ქუჩამდე, მე კი სწრაფად ჩავიარე
ქუჩა, უკიდან ჩავედი ჩემს სარდაფში, ქუდი მოვიხადე და თავშიშ-
ველი ვუსმენდი, როგორ ნამოვიდა პროფესორი ეზოს გავლით სარ-
დაფისკენ, შემდეგ ჩუმად ჩამოუყვა კიბეს და როცა ერთმანეთს მზე-
რით შევხვდით, ამოისუნთქა და მკითხა: „სადაა ის ბებერი?“. ვუპა-
სუხე: „როგორც ყოველთვის, ლუდის დასალევადაა სადღაც“. პრო-
ფესორმა კი გააგრძელა შეკითხვების დასმა: „ისევ ისე გილრენთ?“.
მეც ვუპასუხე: „როგორც ყოველთვის, ეჭვიანობს, რომ მასზე ახალ-
გაზრდა ვარ“. ესთეტიკის პროფესორმა დაკუჭული ათერონიანი ჩამ-
ჩარა ხელში და თან აკანკალებული ხმით მითხრა: „აპა, ეს თქვენ,
რათა უკეთესად ეძებოთ, რამე ხომ არ გიპოვიათ?“. მეც მივედი
ყუთთან და ამოვილე „ეროვნული პოლიტიკისა“ და „ეროვნული
ფურცლების“ ძველი ნომრები, რომლებშიც, როგორც ყოველთვის,
თეატრალური ნარმოდგენების კრიტიკა იყო, მიროსლავ რუტენისა
და კარლ ენგელმიულერის დანერილი და მივაწოდე პროფესორს,
რომელიც ოდესლაც „თეატრალურ გაზეთში“ მუშაობდა და მართა-
ლია, უკვე ხუთი წლის გამოგდებული იყო გაზეთიდან, მაინც არ
უნელდებოდა ოცდაათიანი წლების თეატრალური რეცენზიების მი-
მართ ინტერესი. როცა გაზეთებით ტკბობა დაასრულა, პორტფელში
ჩაანყო, გამომემშვიდობა და როგორც ყოველთვის, კიდევ ერთი ათ-
ერონიანით გამახარა. შუა კიბიდან შემობრუნდა და მითხრა: „ყუ-
რადღებით გააგრძელეთ ძებნა... მთავარია, ახლა ის ბებერი არ შემ-
ხვდეს“ და ეზოში გავიდა. მე, ჩვეულებრივ, ქუდი ჩამოვიფხატე, უკ-
ნიდან ქუჩაში გადავირბინე, ეკლესიის ეზო გავიარე, წმინდა თადეო-
სის ქანდაკებასთან დავდექი და თვალებზე ქუდჩამოფხატული, შეჭ-
მუხნილი და გაევირვებული ვუყურებდი პროფესორს, რომელიც
კედელს მოუყვებოდა. დავინახე, როგორ შეხტა, როგორც ყოველ-
თვის, მოულოდნელობისგან, მაგრამ გონს რომ მოვიდა, მომიახლოე-
და, ჩვეულებრივ, ათერონიანი მომცა და საცოდავად მომმართა: „ნუ

ხართ იმ ახალგაზრდის მიმართ ასე გაბოროტებული, რატომ აითვალწენეთ? ლმობიერი იყავით, კარგი?", მე კი, როგორც ყოველთვის, თავი დავუქნიე. „თეატრალური გაზეთის“ ერიტიკისი დამშორდა, ვიცოდი, რომ პირდაპირ კარლოსის მოედნისკენ უნდა ნასულიყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეზოსკენ გადაუხვია, უფრო სწორად, სახლის კუთხის უკან გახტა, დავინახე, მასთან ერთად მისი პორტფელიც როგორ შეფრინდა სახლის იქით, ეტყობა, ძალიან ეჩქარებოდა ქალალდის ბებერ მწნეხავთან უსიამოვნო შეხვედრის დასრულება, რომელიც ახალგაზრდა თანამშრომელს ავი ძალლივით ექცეოდა. უცებ დავინახე, როგორ შემოდიოდა ჩვენს ეზოში უკანა სვლით სატვირთო მანქანა, სარდაფში ჩავბრუნდი და როცა პატარა ურიკით ლიფტთან ვიდექი, ვუყურებდი დაწნეხილი მაკულატურის იმ თხუთმეტ შეკვრას, რომლებიც დღეს გავაკეთე და გოგენის ნახატის „გამარჯობა, ბატონო გოგენ“ დასველებული რეპროდუქციებით მოვრთე. შეკვრები ბრჭყვიალებდნენ და ისეთ სილამაზეს აფრქვევ-დნენ, გული მწყდებოდა, რომ ასე ადრე მოვიდნენ მათ ნასალებად; სიამოვნებით ვუყურებდი ამ სურათებს, რომლებიც ნაწილობრივ ფარავდნენ ერთმანეთს, რაც თვალის მომჭრელ სილამაზეს ქმნიდა, სილამაზეს, რომელსაც დაქანცული ხორცის ბუზები ეხლებოდნენ... ამ დროს მძლოლის სახე გადმოიხარა ლიფტისკენ და მეც ერთიმეორის მიყოლებით ნავათრიე ურიკით შეკვრები, მართალია, გავძეხი „გამარჯობის“ ყურებით, მაგრამ მაინც მწყდებოდა გული, რომ უკვე ჩიჟქონდათ. არაფერია, ვეუბნებოდი საკუთარ თავს, აი გავალ პენსიაზე, შევისყიდი ამ წნებს და მთელ იმ შეკვრებს, რომლებსაც დავწნებ, ჩემთვის დავიტოვებ, არც კი გამოვფენ, ხომ შეიძლება, ჩემი ხელმოწერიანი შეკვრა ვიღაცამ იყიდოს, ვთქვათ, რომელიღაც უცხოელმა, და ჩემი ბედუკულმართობის გათვალისწინებით, იმისთვის, რომ ეს შეკვრები არავის ეყიდა, ათას მარკას დავადებდი ფასად, ჩიგრამ ჩემი ბედუკულმართობის ამბავი რომ ვიცი, მაინც მოიძებნებოდა ვინმე, ვინც ამ ათას მარკას გადამიხდიდა და თან ნაიღებდა სამყიდ შეკვრას და არც კი მეცოდინებოდა, სად წაიღეს, რომ მივსუზიყავი და კიდევ ერთხელ დავმტკბარიყავი მისი ყურებით... შექ-

ვრებს ერთიმეორის მიყოლებით უუშვებდი ეზოსკენ და მესმოდა, როგორ ილანძლებოდა მტვირთავი შეკვრების ირგვლივ მობზუილე და შეკვრებზე მისრესილი ხორცის ბუზების გამო, და აი უკანასკნელი შეკვრაც ავუშვი ზევით, რომელმაც მთელი ხორცის ბუზები თან გაიყოლა, ამ გადარეული ბუზების გარეშე კი სარდაფი მოწყენილად და მიტოვებულად გამოიყურებოდა, ისევე როგორც მე ვარ მიტოვებული და მოწყენილი. ოთხით გავფოფხდი სარდაფიდან; როცა ლუდის მეხუთე დოქსაც ვცლი, სარდაფის კიბეზე ისე მივფოფხავ, როგორც მისადგმელ კიბეზე, ანუ ოთხით, და დავინახე მტვირთავი, რომელსაც უკანასკნელი შეკვრა მიჰქონდა, შეკვრა ხელთათმანებიან მძლოლს მიაწოდა, რომელიც მუხლის მიშველებით ცდილობდა ამ უკანასკნელის დანარჩენებზე შემოდებას, ვხედავდი, რომ მტვირთავის სამუშაო ტანსაცმელსაც ამჩნევია შემხმარი სისხლი, სისხლიანი ბატიკა ჰქონდა ზურგზე, ბოლოს მძლოლმა ხელთათმანები წაიძრო და ზიზღით მოისროლა, მტვირთავიც გვერდით მიუჯდა და დაიძრნენ. ჩემი შეკვრები ეზოდან გადიოდნენ, მე კი მიხაროდა, რომ მანქანის საბარგულიდან შეკვრების წახნაგები ბრწყინვავდა, ყოველი მხრიდან „გამარჯობა, ბატონო გოგენ“ იყურებოდა, დატკბეს ამ წახატების ყურებით ყველა, ვინც ამ სატვირთოს ჩაუვლის, დატკბნენ ისინიც, ვისაც ეს მორთული სატვირთო ჩაუვლის; მაკულატურის შეკვრებთან ერთად ეზოდან ხორცის ბუზებიც გაქრნენ და ვხედავდი, რომ მზით გამომნვარ ქუჩაში ბუზები გამოცოცხლდნენ, სულ მთლად გაგიუდნენ, სატვირთო მანქანის ირგვლივ ლურჯი, მწვანე და ოქროსფერი გადარეული ბუზები დაფრინავდნენ, ცხადია, პოლიგონის წახატს „გამარჯობა, ბატონო გოგენ“ არც მატარებლის კონტეინერებში მიატოვებენ, რათა ბოლოს და ბოლოს ქალალდის ფაბრიკაში მუავებსა და ტუტეებში აღმოჩდნენ, რადგან გადარეულ ხორცის ბუზებს არასდროს გაუქრებათ წარმოდგენა, რომ მხოლოდ აყროლებულ და გახრნილ სისხლში შეუძლიათ იცხოვრონ. როკა უკვე სარდაფში დაბრუნებას ვაპირებდი, შეფი გამომეცხადა, უბედური სახით მუხლებზე დაიჩოქა და ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელებით მაფიცებდა და მეხვენებოდა: „პანტა, ლვთის გულისათვის,

გაფიცებ, აი ასე მუხლებზე დამდგარი გეხვეწები, გამოერქვიე, სანამ დროა, გეყოფა დოქებით ლუდის სმა, იმუშავე და ნუ მანვალებ, იმიტომ რომ ასე თუ გაგრძელდა, მომკლავ და ესაა...". შემეშინდა, დავიხარე, იდაყვში ნაზად მოვეიდე ხელი დაჩოქილ შეფს და ვთხოვე: „გონს მოდით, კეთილო ადამიანო, არ შეგფერით ასე დაჩოქება..." და წამოვაყენე, ვგრძნობდი, მთელი სხეულით როგორ კანკალებდა, ვეხვენებოდი, რომ კიდევ ერთხელ ეპატიებინა ჩემთვის, მიუხედავად იმისა, რომ არ მესმოდა, რა ჰქონდა ჩემთვის საპატიებელი, მაგრამ ასეთი ვარ, გამუდმებით ყველას პატიებას ვთხოვ, იმიტომ რომ ხანდახან საკუთარ თავსაც ვთხოვ პატიებას იმისთვის, რომ ისეთი ვარ, როგორიც ვარ, საკუთარი ბუნებისათვის... აი ასეთი გაუბედურებული დავბრუნდი სარდაფში, ყველაზე მეტად შეფის წინაშე დანაშაულის შეგრძნება მამდიმებდა და ქაღალდის გროვაში გაკეთებულ ღრმულში ჩავნექი, ფირუზისფერქვედატანიანი ბოჭის გაკეთებულ და ჯერ კიდევ თბილ ღრმულში, ვიწექი და ქუჩიდან მომავალ ხმებს ვუსმენდი, ლამაზ და კარგად გასაგებ მუსიკას, ვუსმენდი ხუთსართულიან მრავალბინიან სახლს, რომლის სარდაფშიც ჩემი მაკულატურის პუნქტი იყო, განუწყვეტლივ გამდინარე წყალი ჩხრიალებდა სადღაც, მესმოდა, როგორ ექაჩებიან ჯაჭვს ტუალეტის ჩასარეცხად და როცა მინისქვეშეთს ვუსმენდი, ჩუმად, მაგრამ სრულიად ცხადად მესმოდა, როგორ ჩხრიალებს სადღაც ქვევით არხებსა და კლოაკებში გამდინარე წყალი და ფეხალიები, და მაშინ, როცა ხორცის ბუზების ლეგიონები აქაურობას გაეცალნენ, ქვევიდან ბეჭონის გავლით მოისმოდა ვირთხების ყვირილი და გულის შემალონებელი წრიპინი იშის დასტურად, რომ დედაქალაქ პრალის მინისქვეშა არხებში ქალაქის ყველა კლოაკასა და არხზე გასაბატონებლად ვირთხების ორ კლანს შორის მიმდინარე ომი ისევ მძვინვარებდა. ზეცა სულაც არ არის პუმანური ისევე, როგორც სიცოცხლე ჩემ ზევით, ჩემ ქვევით ყავ ჩემში. გამარჯობა, ბატონო გოგენ!

ყველაფერი, რაც ამქვეყნად მინახავს, წინ მიდის და უკან ბრუნდება, როგორც ვთქვათ, საბერველი სამჭედლოში ან ჩემი წნები, რომელშიც წითელი და მწვანე ღილაკების ბრძანებით ყველაფერი თავის საპირისპიროდ იქცევა ხოლმე, და ზუსტად ეს არის იმის მიზეზი, რომ სამყაროში ყველაფერი შეუფერხებლად მიდის, მე კი უკვე ოცდათხუთმეტი წელია, ძველ ქალალდს ვწნებ და სულაც არ ანუყნდა ამ საქმეს, რომ ადამიანს არა მხოლოდ უნივერსიტეტი ან კლასიკური გიმნაზია, არამედ სასულიერო სემინარიაც ჰქონდეს დამთავრებული. ამ ჩემს საქმიანობაში წრენირი სპირალში გადადის ისევე, როგორც *progressus ad futurum* და *regressus ad originem* ერწყმის ერთმანეთს, რაც მთავარია, მე ამ ყველაფერს პირდაპირ ფიზიკურად განვიცდი, და რადგან ჩემდა უნებურად ვარ განათლებული, ბედნიერად უბედური ვარ და ახლა იმის წარმოდგენას ვცდილობ, რომ *progressus ad originem* და *regressus ad futurum* ერთი და იგივეა. აი ასე ვირთობ თავს, როგორც ზოგიერთი მოქალაქე ირთობს თავს ვახშის დროს „საღამოს პრალის“ კითხვით. გუშინ ბიძაჩემი დავასაფლავეთ, რომანტიკოსი, რომელმაც მომავლის გზა მიჩვენა, როცა ხაბრში სახლის ეზოში შლაგბაუმი ჩადგა, ეზოში ხეები, შორის ლიანდაგები გაიყვანა და მეგობრებთან ერთად „ორენშტაინი-
52

სა და კოპელის" ნარმოების ორთქლმავალი შეაკეთა; ორთქლმავალს სამი ვაგონეტი გამოაძეს და შაბათ-კუირას სალამომდე ბავშვებს დაასეირნებდნენ, სალამოს კი თვითონ დასეირნობდნენ და თან ლიტ-რიანი კათხებით ლუდს სვამდნენ. გუშინ ბიძაჩემი დავასაფლავეთ, მეისრის ჯიხურში რომ იჯდა, ზუსტად მაშინ დაემართა სისხლის ჩაქცევა. არდადეგების პერიოდი იყო, მისი მეგობრებიდან ვინ ტყეში იყო წასული და ვინ საბანაოდ, ამიტომ სტუმრადაც არავინ მისულა მასთან, ჰოდა, იულისის სიცხეში ჯიხურის იატაკზე თხუთმეტი დღე ეგდო მკვდარი და როცა მისმა მეგობარმა მემანქანებ აღმოაჩინა, ბიძაჩემს უკვე ბუზები ესეოდნენ, ჭიები ეხვეოდნენ და მისი სხეული ლინოლეუმზე კამამბერივით იყო დაღვენთებული. როცა დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები მოვიდნენ, მხოლოდ იმ ნაწილის წალება მოახერხეს, რაც ტანსაცმელში იყო ჩარჩენილი, მერე კი ჩემთან მოირბინეს, რათა სარდაფს მიჩვეულს, ჯერ ნიჩბით, შემდეგ კი ქაფ-ჩით ამეფხიკა ლინოლეუმზე მიმხმარი ნარჩენები, ერთი ბოთლი რომი მომცეს და მეც დამჯერად და ხმის ამოულებლად ვფხეკდი ყოველივე ხორციელს, რაც ბიძაჩემისგან დარჩა; ყველაზე ძნელი იატაკიდან მისი ულალი თმის აფხევა აღმოჩნდა, თმის ღერები ისე იყო ლინოლეუმში ჩაბეჭდილი, რომ ტრასაზე სატვირთო მანქანის გადავლილი ზღარბი მომავრნდა, სატეხის მოძველიებაც კი დამჭირდა და ყველაფერს რომ მოვრჩი, კუბოში ჩანვენილ ბიძაჩემს ტანსაცმელში ჩავუტენე ეს ყველაფერი და თავზე რკინიგზელის ქუდი დავახურე, რომელიც ჯიხურში ეკიდა, მერე იმანუელ კანტი მოვიტანე და იმ ადგილზე გადაშლილი ჩავჩარე თითებს შორის, რომელიც ყოველთვის აღმაფრთოვანებდა... „ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი და მით უფრო ძლიერი გაკვირვებით... ესენია ვარსკვლავიანი ცა ჩემ ზემოთ და მორალური კანონი ჩემში...“, მაგრამ ბოლოს გადავითიქ-რე და უფრო ლამაზ სიტყვებზე გადავშალე ნიგნი... ახალგაზრდა კანტის სიტყვებზე: „როდესაც ზაფხულის ლამით ვარსკვლავები ციმციმებენ და მთვარე სავსეა, მეტისმეტად მგრძნობიარე ვხდები და სამყაროსა და უსასრულობისადმი მეგობრული თანაგრძნობა და ამავე დროს მედიდურობა მავსებს...“. მერე კარადა გამოვალე და,

როგორც მოველოდი, იქ ბიძაჩემის კოლექცია დამხვდა, რომელსაც ხშირად მიჩვენებდა ხოლმე, მე კი ყოველთვის გულგრილი ვრჩებოდი, რადგან ლითონის ფერად-ფერად უბრალო ბრტყელ ნაგლეჯებს აგროვებდა, არაერთი კოლოფი ჰქონდა გავსებული, სამსახურში ხომ სულ იმით ერთობოდა, რომ ლიანდაგებზე რეინის, თუთიის, თითბრის, სპილენძისა და სხვა ფერადი ლითონების ნაჭრებს აწყობდა და მატარებლის გავლის შემდეგ ფანტასტიკური ფორმების მქონე გაბრტყელებული ლითონის ნაგლეჯები შინ მოჰქონდა, სალამოს ახარისხებდა მათ და ლითონის თითოეულ ფირფიტას საკუთარ სახელს აძლევდა იმის მიხედვით, თუ რა ასოციაციებს იწვევდა მასში. აზიური პეპლების საგამოფენო ვიტრინებსა და შოკოლადიანი ნუგის ფერადი შესაფუთი ქაღალდით გამოტენილ ცარიელ ბომბონიერებს მაგონებდა მისი კოლოფები. ერთიმეორის მიყოლებით ჩავცალე სავსე კოლოფები ბიძაჩემის კუბოში, იშვიათი სილამაზის ლითონის ფირფიტები დავაყარე და მხოლოდ ამის შემდეგ დაახურეს კუბოს სახურავი, მაღალი რანგის მოხელესავით ორდენებით, მედლებითა და ჯილდოებით დამშვენებული იწვა კუბოში, საზეიმოდ გამოიყურებოდა და ეს იმიტომ, რომ საიქიოსთვის ისეთი მონდომებით ვამზადებდი, თითქოს ჩემს საუკეთესო შეკვრას ვქმნიდი. მერე კი ჩემს სარდაფს დავუბრუნდი, კიბეზე ოთხით ჩავბობლდი, ისე, როგორც სხვენზე მიდგმულ კიბეზე ჩამოდიან ხოლმე, ვწრუპავდი ბოთლში დარჩენილ რომს, ვაყოლებდი ლუდს და თან ნესტით ბელტებად შედუღაბებულ დამპალ ქაღალდს წერაქვით ვაქუცმაცებდი. ქაღალდის გროვა ემენტალის ყველს მაგონებდა, რომლის ნასვრეტებშიც თაგვები ბინადრობდნენ. ვსვამდი ლუდს, აზბესტისმაგვარ მასად ქცეულ მაკულატურას ვაგლეჯდი ნაჭრებს და მთელ ამ საძაგლობას წერეში ვყრიდი ფინლით, თაგვების გაყვანილ გზებს ვანგრევდი, თაგვების მთელი ქაღაქი გავანადგურე, მათ ბუდეებს ერთიმეორის მიყოლებით ვიღებდი ფინლით და წნეხში ვისროდი, რადგან მაკულატურის პუნქტი ორი დღით დაიკეტა, სპეციალურად იმისთვის, რომ სარდაფის მაკულატურისაგან დაცლა და ინვენტარიზაციის ჩატარება მომესწრო. როცა ქაღალდის ამ გროვას ნყალს ყოველდღიურად ვასხუ-

რებდი, აზრადაც არ მომდიოდა, რომ ძირში ყველაფერი ერთმანეთში აიზილებოდა, რომ ყვავილები, წიგნები და შესაფუთი ქალალდი ერთ მთლიან მასად შედუღაბდებოდა და საკუთარი წონით ჩემ წესში გატარებულ ნებისმიერ შეკვრაზე უკეთ დაინნეხებოდა. ამ სამუშაოს შესასრულებლად ღვთისმეტყველი უნდა ვყოფილიყავი... ქალალდის გროვებისა და მთების ძირში, სადამდეც ნახევარი წლის წინანდელი უკანასკნელი ინვენტარიზაციის შემდეგ ერთხელაც ვერ ჩავალნიე, მაკულატურა ისე იხრწნებოდა, როგორც მკვდარი მცენარის დამპალი ფესვები ჭაობში და თან დერგში ნახევარი წლით დავინყებული შინაური ყველის მოტკბო სუნს ავრცელებდა ირგვლივ. წყლით გაუღენთილმა და საკუთარი წონით დაწნეხილმა ქალალდმა ბუნებრივი ფერი დაკარგა, მონაცრისფრო თუ მოჩალისფრო დაედო და დაძველებული პურივით დამძიმდა. დაღამებამდე ვმუშაობდი და გამოსაფხიზლებლად დროდადრო სავენტილაციო ჭაში ვძვრებოდი, საიდანაც ახალგაზრდა კანტივით ხუთსართულიანი სახლის სიმაღლის სავენტილაციო მილით ვარსკვლავებიანი ცის ნაგლეჯს ვუყურებდი, მერე კი ცარიელი ლუდის დოქით ხელში სამზე დამდგარი უკანა გასასვლელით გარეთ გამოვფოფხდი და ბარბაც-ბარბაცით ლუდის მოსატანად წავედი, მალე დავბრუნდი და ისევ სამზე დამდგარი სარდაფები ისე ჩავფოფხდი, თითქოს მისადგმელი კიბით ჩავდოოდი. ნათურის შუქში მაგიდაზე გადაშლილი „ცის თეორია“ მოჩანდა, უკვე გამზადებული შეკვრები კი ლიფტთან იყო ჩამნერივებული; დღეს წყლით გაუღენთილი ვინსენტ ვან გოგის ასობით დიდი რეპროდუქციის წესა დავინყე, ამიტომ ყოველი შეკვრის გვერდები ცისფერ ფონზე დახატული ოქროსფერი და ნარინჯისფერი მზესუმზირებით ბრნყინავდა, რაც ოდნავ არბილებდა დაწნეხილი თაგვების, შათო ბუდეებისა და დამპალი ქალალდის სუნს; წესის კედელი წინ და უკან მოძრაობდა, იმის მიხედვით, მწვანე ლილაკს ვაჭერდი თითს თუ წითელს, შეუალედებში ლუდს ვსვამდი და იმანუელ კანტის „ცის თეორიას“ ვკითხულობდი იმის შესახებ, როგორ ლაპარაკობს უკვდა-ები სული სიჩუმეში, ლამის ყოვლისმომცველ სიჩუმეში, როდესაც ყველა გრძნობას სძინავს, უცნობ ენაზე იმ ცნებების შესახებ, რომელთა

გაგებაც შესაძლებელია, მაგრამ შეუძლებელია აღწერა... და წაკითხულმა ისე შემძრა, რომ დროდადრო სავენტილაციო ჭისკენ გავრბოდი და მაღლა, ვარსკვლავებიანი ცისკენ ვიყურებოდი, მერე ვბრუნდებოდი და ისევ იმ გულისამრევ ქაღალდს ვყრიდი წნებში, თან ბამბაში თუ აბურდულ ძაფში გახვეულ თაგვის ოჯახებს ვაყოლებდი. ასეა, ის, ვინც ძველ ქაღალდს წნებს, ჰუმანური ვერ იქნება, ისევე როგორც ზეცა არ არის ჰუმანური, რასაც მე ვაკეთებდი, ხომ ნამდვილი ყრმათა ულეტა იყო, რაც პიტერ ბრეიგელმაც მშვენიერად დახატა, წინა კვირას ზუსტად ამ წახატის რეპროდუქციებით ვფუთავდი მაკულატურის შეკვრებს, მაგრამ დღეს ოქროსფერი და ყვითელი ბადროები მინათებდნენ სარდაფს, ანუ ვან გოგის „მზესუმზირები“, რომლებიც მხოლოდ ტრაგიკულობის შეგრძნებას მიმდაფრებდნენ. მოკლედ, ვმუშაობდი და თან თაგვების საფლავებს ვამკობდი, დროგამოშვებით სამუშაოს „ცის თეორიის“ წასაკითხად ვწყდებოდი, ჰაშლერეკასავით⁹ მოვიქცევდი ხოლმე პირში ერთ წინადადებას და შემდეგ მთელი მუშაობის განმავლობაში რაღაც უკიდეგანოდ დიდი, უსასრულოდ ბევრი და წარმოუდგენლად ლამაზი მავსებდა, ეს ყველაფერი ყოველი მხრიდან მეყრებოდა თავზე, ვარსკვლავებიანი ცასავენტილაციო ჭის ხვრელიდან, დედაქალაქ პრაღის ყველა კლოაკა-სა და საკანალიზაციო არხში ვირთხების ორი კლანის ომი, ლიფტისკენ მიმავალ გზაზე მატარებლის ოცი ვაგონივით ჩამნკრივებული მაკულატურის ოცი შეკვრა და ყოველი შეკვრის ჩემკენ მოტრიალებული გვერდი, რომელიც „მზესუმზირებით“ კაშკაშებდა. წნების სავსე კალათას ჰორიზონტალური ხრახნი აწვება და ჭყლეტს თაგვებს, რომლებიც კრინტისაც კი არ ძრავენ, ისევე, როგორც მაშინ, როცა დაუნდობელი კატა იჭერს და ეთამაშება, მონყალე ბუნებამ თავზარდამცემი შიში მოიგონა, მდგომარეობა, როცა მცველები გამოირთვება და ჭეშმარიტების უამს ტკივილზე ძლიერი შიში მოიცავს იმას, ვისაც ეწვევა. ეს ყველაფერი აღმაფრთოვანებდა, მოულოდნელად

⁹ ჰაშლერეკა – მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩეხეთში გავრცელებული ხველების სანინაალმდეგო საწუნი კანფეტი.

გავსხივოსნდი და საკუთარი თავი ლამაზად მომეჩვენა, რადგან იმის ძალა აღმომაჩნდა, რომ არ გავგიუებულიყავი იმ ყველაფრისგან, რაც ჩემს მეტისმეტად ხმაურიან მარტოობაში დავინახე და სხეულითა და სულით განვიცადე; გამაოგნებელი ცოდნის გამტარად ვიქეცი, ცოდნისა, რომელიც ამ სამუშაოს შესრულების წყალობით ყოვლისშემძლეობის უკიდეგანო სივრცეში მაქცევდა. მაგიდის თავზე ნათურა ანათებდა, წითელი და მწვანე ლილაკები წინ და უკან ამოძრავებდნენ წნების კედელს, მე კი ბოლოს და ბოლოს სარდაფის ფსკერამდე ჩავალნიე, მინის მუშასავით, რომელიც თხრილიდან ნიჩბით მინას ისერის, მუხლით ვაწვებოდი ნიჩბის ტარს, რათა რეინის პირით იატაკში ქვასავით ჩაზრდილი ქალალდი ამეფხიკა, და აი ნიჩბის ბოლო მოსმით სველი და წებოვანი მასის ბოლო ულუფას ჩავუძახე წნებში, თითქოს პრალის მიწისქვეშეთის ერთ-ერთი მიტოვებული კლოაკის ფსკერს ვწმუნდდი. მაკულატურის უკანასკნელ შეკვრას გადაშლილი „ცის თეორია“ ჩავაყოლე. როცა ამ შეკვრას მავთული შემოვარტყი და წითელმა ლილაკმა წნეხა შეწყვიტა, ურიკაზე გადმოვიტანე, დანარჩენ ოცდაერთს მივუდე გვერდით და იქვე კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი, მუხლებიდან გადმოკიდებული ხელები კი ცემენტის იატაკს ეხებოდა. პირქუში სარდაფის სიბნელეს ოცდაორი მზესუმზირა არღვევდა, იქვე რამდენიმე თაგვი შევნიშნე, რომლებიც სიცივისგან ძაგძაგებდნენ, რადგან სამალავები ალარ ჰერონდათ, ერთ-ერთი ჯერ ზომიახლოვდა, შემდეგ კი შემომიტია, პატარა თაგვი უკანა თათებზე დახტოდა და ცდილობდა, ჩემთვის ეკბინა ან იქნებ სულაც ჩემს ძირს დაგდებას და რამის ტკენას ცდილობდა, მთელი თავისი ციცქნა სხეულით იწეოდა და ჩემი ფეხსაცმლის სველ ლანჩას კბენდა, რამდენჯერმე ფრთხილად მოვიშორე თავიდან, მაგრამ თაგვი ბრუნდებოდა და ჩემს ლანჩასთან ბრძოლას აგრძელებდა, ბოლოს კი სრულიად ძალაგამოცლილი კუთხეში დაჯდა და ყურება დამიწყო, თვალებში მიყურებდა, მე კი კანკალმა ამიტანა, რადგან ვხედავდი, რომ იმნამს თაგვის თვალებში რაღაც იმაზე მეტი ანათებდა, ვიდრე ვარსკელავებიანი ცაა ჩემ ზევით და მორალური კანონი ჩემში. მეხის გავარდნასავით დამატყდა უცებ არტურ შოპენპაუერის სიტყვები,

რომ უმაღლესი კანონი სიყვარულია, სიყვარული კი თანაგრძნობაა და უცებ მივხვდი, რატომ ვერ იტანდა შოპენჰაუერი დიდ ჰეგელს და მიხაროდა, რომ ჰეგელი და შოპენჰაუერი არ იყვნენ დაპირისპირებული არმიების მთავარსარდლები, რადგან ზუსტად ისე იომებდნენ ერთმანეთში, როგორც ვირთხების ორი კლანი ომობს პრალის მიწის-ქვეშეთის ყველა კლოაკასა და წყალსადენ არხში. ლამით საზიზლრად ვგრძნობდი თავს, საწოლზე გარდიგარდმო ვინექი და ბალდახინს ავყურებდი, სადაც ფიცრებზე ორი ტონა წიგნი ეწყო, ოდნავ განათებული ქუჩიდან შემომავალ სუსტ სინათლეზე ფიცრებს შორის ლრეჩოებში წიგნების ყუებს ვხედავდი, და უცებ, როცა სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ლრლნის ხმა მომესმა, მესმოდა, როგორ მუშაობდნენ ჩემი საწოლის ცაში თაგვის პატარა კბილები, რამდენიმე წიგნიდან მოისმოდა ეს საშინელი ხმა, რომელიც თავზარს მცემდა, თითქოს წიგნებს შორის ბომბის წამმზომი წიკნიკებსო, იმიტომ რომ სადაც რამდენიმე თაგვია, იქ მათი ბულეც უნდა იყოს და იქ, სადაც თაგვებს ბულე აქვთ, სულ რამდენიმე თვეში მთელი დასახლება გაჩნდება და კიდევ ნახევარ წელიწადში – თაგვების სოფელი, რომელიც გეომეტრიული პროგრესით გაიზრდება და დასახლოებით ერთ წელიწადში ქალაქად გადაიქცევა, რომელსაც შეუძლია ისე დალრლნას საწოლის ცის ფიცრები, რომ ერთხელაც, და დიდი დრო ამას არ დასჭირდება, ხმამაღლა რამეს ვიტყვი ან გაუფრთხილებლად ხელს გავიქნევ და მთელი ეს ოცი ცენტნერი წიგნი თავზე დამეყრება, აი ასეთ სამაგიეროს მიმზადებენ მთელი იმ მაკულატურის შეკვრებისათვის, რომლებშიც თაგვები მიწნებია. აი ასე, თაგვების ლრლნის ხმით დათრგუნული ნახევრად მძინარე ვინექი საწოლზე და როგორც ყოველთვის ასეთ დროს, ჩავთვლიმე თუ არა, ირმის ნახტომის სახით პატარა ბოშა გოგონა გამომეცხადა, ჩემი ახალგაზრდობის სიყვარული, გულუბრყვილო და ჩუმი ბოშა, ლუდხანის წინ რომ მელოდებოდა, ერთი ფეხი ისე ჰქონდა ხოლმე გვერდზე გადგმული, როგორც საწყის პოზიციაში მდგომ ბალერინებს ბალეტის სკოლაში, ჩემი ახალგაზრდობის მზეთუნახავი, რომელიც უკვე დიდი ხანია დამავიწყდა. კანი ყოველთვის ოფლითა და ცხიმით ჰქონდა დაფარული, თან

მუშებისა და პომადის სუნი ასდიოდა, როცა არ უნდა მოვთერებოდი, თითებზე ცხიმი მრჩებოდა, ირმის ქონის სუნი ჰქონდა და სუპებითა და სოუსებით დალაქავებული ერთი იაფთასიანი კაბა ეცვა ყოველ-თვის, ზურგზე კი მის ტანსაცმელს კირისა და გამოფიტული ხის ლაქები აჩნდა, ალბათ, იმ ფიცრებისა და კოჭების კვალი იყო, რომ-ლებსაც სახლების ნანგრევებიდან მიათრევდა. მახსენდება, როგორ გავიცანი ეს ბომა გოგო, ომის დასასრული იყო მოახლოებული, ლუდხანიდან ვბრუნდებოდი და მოულოდნელად გზად შემომიერ-თდა, ლაპარაკისას თავის მიბრუნება მიხდებოდა, იმიტომ რომ ოდ-ნავ ჩემ უკან მოაბიჯებდა, არც მასწრებდა და არც მაცდევინებდა და უხმო ნაბიჯებით მომყვებოდა, ზუსტად ასე იყო, გამოვუხვიე ჰორკიხიდან და გზაჯვარედინზე ვეუბნები, აბა, მშვიდობით, ჩემს გზას უნდა გავუყვე-მეთქი, მან კი მითხრა, მეც მაგ მხარეს მოვდი-ვარო, და ასე მივედით ლიუდმილას ქუჩამდე, ქუჩის ბოლოს კი ვეუბნები, აბა, მშვიდობით, სახლში მივდივარ-მეთქი, მან კი მიპასუ-ხა, მეც მაგ მხარეს მოვდივარო, მე კი სპეციალურად უერტვამდე ვიარე, ჩასახვევთან ვუთხარი, ქვევით ჩავდივარ-მეთქი და გამოსამ-შვიდობებლად ხელი გავუწოდე, მან კი ისევ იგივე მითხრა, ჰოდა, ასე ვიარეთ ბოლომდე, ნა ჰრაზი ვეჩინოსტიმდე, რომ ჩავედით, ვუთ-ხარი, უკვე სახლთან ვარ და უნდა დაგემშვიდობო-მეთქი, მან კი მიპასუხა, რომ იქით მიდის, საითაც მე, და როცა ჩვენი სახლის წინ დაყენებულ გაზის ლამპიონს მივუახლოვდი, მივუტრიალდი და ვუთ-ხარი, აბა, მშვიდობით, მე უკვე ჩემი სახლის წინ ვდგავარ-მეთქი, მან კი მიპასუხა, მეც ამ სახლში ვცხოვრობო, გავალე შესასვლელი კარი და გზა დავუთმე, მან კი ჩაბნელებულ სადარბაზოში პირველმა შეს-ელა არ მოინდომა, მომინია, პირველი შევსულიყავი, ჩვენთან კიდევ სამი მდგმური ცხოვრობდა, ჰოდა, კიბით ეზოში ავედი, გავალე ჩემი ბინის კარი, მივუბრუნდი და ვეუბნები, მშვიდობით, მე უკვე შინ ვარ-ზეთქი, მან კი მიპასუხა, მეც უკვე შინ ვარო, შემოვიდა ჩემს ბინაში და ჩემთან ერთად დაიძინა და რომ გავიღვიძე, უკვე წასული დამხვდა, მაგრამ მის მხარეს ლოგინი ჯერ კიდევ თბილი იყო. იქიდან ზოყოლებული, სპეციალურად გვიან ვბრუნდებოდი ხოლმე შინ და

მიუხედავად ამისა, ავიცლიდი თუ არა სახლის კიბეს, კარის ნინ სა-ფეხურზე ჩამომჯდარს ვხედავდი, იქვე ფანჯრის ქვეშ კი თეთრი ფიცრები და ნანგრევებიდან წამოლებული დახერხილი კოჭები ენყო და როცა კარს ვაღებდი, დგებოდა და ჩემს პატარა ოთახში კატასა-ვით შედიოდა, შემდეგ კი მხოლოდ სიჩუმე იყო, ხმას არ ვიღებდით. ერთხელაც დიდი დოქით ლუდზე წავედი, ხუთი ლიტრი მოვიტანე, ბოშა გოგონამ კი მანამდე ლუმელი დაანთო, თუჯის ლუმელი მქონ-და, რომელშიც შემა ყოველთვის გუგუნით იწვოდა, მაშინაც კი, როცა ლუმლის კარი გამოლებული იყო, იმიტომ რომ თავის დროზე ჩემს ოთახში სამჭედლო იყო თავისი სავაჭრო დახლით და დიდი საკ-ვამურით; ბოშა ისევ ცხენის ძეხვისა და კარტოფილის გულიაშს ამ-ზადებდა, იჯდა ლუმლის გამოლებული კარის ნინ და შემას უკეთებ-და ცეცხლს, კალთებზე ყვითელი სინათლე ეცემოდა ლუმლიდან, მელავებზე, კისერზე და მოძრავ პროფილზე ოქროსფერ ზოლად ოფლი ჩამოსდომდა, ეტყობა, ძალიან სცხელოდა, მე კი ჩაცმული ვინეჟი ლოგინზე და მხოლოდ დოქიდან ლუდის დასალევად ვდგებო-დი ხოლმე დროდადრო, მოვყლუპავდი ლუდს და მერე ბოშას ვან-ვდიდი, ორივე ხელით იჭერდა იმ ვეებერთელა დოქს და რომ სვამდა, მესმოდა, მისი ყელი როგორ მოძრაობდა და ჩუმ ხმებს როგორ გა-მოსცემდა, თითქოს სადღაც შორს წყლის ტუმბო მუშაობსო; თავი-დან მეგონა, შემას მხოლოდ ჩემი კეთილგანნებულის მოსაპოვებლად უკეთებს ლუმელს-მეთქი, მერე კი მივხვდი, რომ საქმე თვით მასში იყო, რომ ცეცხლი მასში ენთო და უცეცხლოდ, ალბათ, ცხოვრება არ შეეძლო. აი ასე ვცხოვრობდი იმ ბოშასთან ერთად, მისი სახელი(კ კი არ ვიცოდი, არც მას სჭირდებოდა, არ უნდოდა და არ აინტერი-სებდა ჩემი სახელი, ასე ჩუმად და უსიტყვოდ ვატარებდით ერთად სალამოებს, არასდროს არ მიმიცია მისთვის გასაღები, ყოველთვის კარის ნინ ჩამომჯდარი მელოდებოდა; ისეც მომხდარა, რომ მის გა-მოსაცდელად სპეციალურად შინ ნაშუალამევს დავბრუნებულვარ ყა-მანც, ოთახის კარს რომ ვაღებდი, ვხედავდი, როგორ სხლტებოდა ნაცნობი ჩრდილი კარში და ვხვდებოდი, რომ ბოშა უკვე ოთახში იყო და სადაცაა ასანთს გააჩხაუნებდა, ცეცხლს წაუკიდებდა ქალალები

და სულ მალე ცეცხლი ლუმელშიც აგიზგიზდებოდა, აგუგუნდებოდა და შეშის ნთქმას დაიწყებდა, რომლის მთელი თვის მარაგი მომით-რია და დამინყო ფანჯრის ქვეშ. და კიდევ, როცა სიჩუმეში საჭმელს შევექცეოდით, სინათლის ანთებისას ვხედავდი, როგორ იტეხდა პურს, თითქოს ზიარებას იღებსო: პურს იტეხდა, მერე კაბის კალთი-დან ნამცეცებს აგროვებდა და, თითქოს საკრალური მსხვერპლშე-ნირვააო, ცეცხლში ყრიდა. მერე კი ზურგზე ვინექით და ჭერს შევ-ჭურებდით, სადაც ათინათები და ხავერდოვანი ჩრდილები მოძრაობ-დნენ, ნათურა უკვე დიდი ხნის ჩამქრალი იყო და ჩრდილები ისე იგრაგნებოდნენ, რომ, როცა მაგიდაზე დატოვებული ლუდის დოქის-თვის ნამოვდექი, მეგონა, ნყალმცენარეებით სავსე აკვარიუმში ვიყა-ვი, ან მთვარიან ლამეს დაბურულ ტყეში მივაბიჯებდი; როცა დოქი ზქონდა მოყუდებული, თავს ვატრიალებდი და შიშველ ბოშა გოგო-ნის ვუყურებდი, ინვა და მე მომჩერებოდა, თვალების თეთრი გარსი ანათებდა, სიბნელეში იმაზე უკეთ ვხედავდით ერთმანეთს, ვიდრე კაშაშა სინათლეში დავინახავდით და საერთოდ, მიყვარდა ბინდი, შხოლოდ ბინდში მიჩნდებოდა იმის შეგრძნება, რომ შეიძლება რამე განსაკუთრებული მოხდეს; მოსალამოვების შემდეგ, ბინდში, ყველა-ზერი უფრო ლამაზად გამოიყურება, ყველა ქუჩა, ყველა მოედანი, სალამოობით ხომ ყოველი ადამიანი, აი თავისთვის რომ მისეირნობს, ისავით ლამაზია, მეტიც, სიბნელეში ისეთი შეგრძნება მიჩნდებოდა, რომ მეც ახალგაზრდა და ლამაზი ვარ, სიბნელეში სარკეშიც სია-წევნებით ვიხედებოდი, მიყვარდა, ვიტრინებში რომ ვიყურებოდი და ეხედავდი, ქუჩაში როგორ მივაბიჯებ; მეტიც, სიბნელეში საკუთარ სახეს თუ ვეხებოდი თითებით, ვხედავდი, რომ ერთი ნაოჭიც კი აღარ მქონდა, არც პირის ირგვლივ და აღარც შუბლზე და რომ და-სახლდებასთან ერთად ცხოვრებაში ის დრო დგებოდა, რომელსაც შეენიერების დრო ენოდება. ლუმლის გამოლებულ კარში გაღვივე-ასეთი ნაკვერჩხლები გიზგიზებდნენ, შიშველი ბოშა ისევ ნამოდგა და რაიფა რთაბში დააბიჯებდა, ვხედავდი, რომ ყვითელზოლშემოვლე-ასეთი მთელი მისი სხეული კარლოსის მოედნის ეკლესიის ფასადზე ა. შეანდაკებულ იგნატიუს ლოიოლასავით ნათებას გამოსცემდა.

ლუდი რომ მოსვა, ისევ გაიარ-გამოიარა და ბოლოს ზევიდან გადა-
მანვა, თავი ისე შეატრიალა, რომ პროფილში დაუენახე და თითს
აყოლებდა ჩემს ცხვირსა და ტუჩებს; თითქმის არასდროს უკოცნია
ჩემთვის და არც მე ვკოცნიდი ხოლმე, ჩვენ ყველაფერს ხელებით
ვეუბნებოდით ერთმანეთს, შემდეგ კი ვინექით და ვუყურებდით თუ-
ჯის ლუმელში მოგიზგიზე ცეცხლის ათინათისა და ჩრდილების თა-
მაშს, ხის სიკვდილით წარმოშობილი სინათლის ცეკვას. სხვა არაფე-
რი გვინდოდა, გარდა მუდამ და დაუსრულებულად ასე ცხოვრებისა,
თითქოს უკვე დიდი ხანია ყველაფერი ვუთხარით ერთმანეთს, თით-
ქოს ერთად ვიყავით დაბადებულები და არასდროს დავშორებივართ
ერთმანეთს. მეორე მსოფლიო ომის ბოლოსნინა წლის შემოდგომა
რომ დადგა, ცისფერი შესაფუთი ქალალდი, ძაფი, კანაფი და ნებო
ვიყიდე და მთელი კვირის განმავლობაში, სანამ ბოშა ლუდის მოსა-
ტანად დადიოდა, იატაკზე ფრანს ვაწყობდი, ძაფს სიმძიმეც გამოვა-
ბი, რომ შვეულად, პირდაპირ ცაში ასულიყო, შემდეგ კი გრძელი
კუდი გავუკეთე, რომელზეც, როგორც ვასნავლე, ბოშამ ქალალდის
მტრედები დაამაგრა, ბოლოს კი ოკროუპლიკზე¹⁰ გავედით და როცა
ფრანი ჰაერში ავუშვი, ჯერ ძაფები შევასუსტე, მერე კი კანაფი მაგ-
რად ჩავიჭირე და კარგად მოვჭიმე, რათა ფრანი შვეულად აფრენი-
ლიყო და ოდნავ დახრილი უმოძრაოდ გამოეიდებულიყო ცაში, თა-
ვისუფლად მოფრიალე კუდით კი ჰაერში ასო S მოხაზა, ბოშამ კი
ამ დროს სახეზე ხელები აიფარა და მხოლოდ მისი ფართოდ გახე-
ლილი თვალები მოჩანდა თითებს ზევიდან... მერე ჩამოვსხედით, მე
ძაფი მოვუშვი და ცაში აშვებული ფრანი ბოშას დავაჭერინე, გოგი
კი ყვიროდა, რომ ფრანი ცაში აიტაცებს და რომ ქალწული მარიაში-
ვით უკვე ცაში ადის, მხრებში ჩავჭიდე ხელები, იმის ნიშნად, უკუ-
აფრენაა, ერთად ავთრინდეთ-მეთქი, მაგრამ ბოშამ კანაფის გორგა-
ლი უკან შემომაჩეჩა და თავი მხარზე მომაყრდნო. ერთხანს ასე კის-
ხედით, მერე კი აზრად მომივიდა, რომ ფრანით სურვილები გამეჩ-
ზავნა ცაში, ნუთით ბოშა გოგონას გადავაბარე ფრანი, მაგრამ მისი

¹⁰ ოკროუპლიკი (Okrouhilik) – ბუნებრივი ნაკრძალი პრაღის ცენტრში.

ისევ შეეძინდა, რომ ფრანი ცაში წაიღებდა და ველარასდროს მნახავდა, ამიტომ ჯოხი, რომელზეც კანაფი მქონდა დახვეული, მინაში ჩავარჭვე, რვეულიდან ფურცელი ამოვხიე, რაღაც დავწერე, კანაფს მივამაგრე და ისევ ავიღე კანაფის გორგალი, ბოშა ყვიროდა და ბარათისაკენ იშვერდა ხელებს, რომელიც წყვეტილი მოძრაობებით ზევით-ზევით მიუყვებოდა კანაფს, თითებით ვგრძნობდი, როგორ მექაჩებოდა ფრანი და მაღლა, ცაში, ქარის ყოველი დაბერვა თითების გავლით მთელ სხეულში გადმომდიოდა, როცა ფურცელზე დაწერილმა სურვილებმა ფრანის სიმძიმეს მიაღწია, დაჯახება ვიგრძენი და მთელი სხეულით ავეკალდი, უეცრად ფრანი ღმერთად მომეჩვენა, მე ძე ღვთისა ვიყავი, კანაფი – კი სულინმინდა, რომლითაც ადამიანი ღმერთს უკავშირდება, ნდობით აღსავსე ურთიერთობას ამყარებს და ელაპარაკება ღმერთს. კიდევ რამდენჯერმე გავუშვით ფრანი, ბოლოს ბოშაც გათამამდა, თვითონაც იჭერდა ხოლმე ფრანს და თან ჩემსავით მთელი სხეულით კანკალებდა, იმისგან კანკალებდა, რომ ცაში ქარის დარტყმები ფრანს არხევდა, ეჭირა ფრანის კანაფი და სიხარულით ყვიროდა... ერთხელაც, საღამოს შინ რომ დავბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ ბოშა სახლთან არ მელოდებოდა, სინათლე ავანთე, რამდენჯერმე გავედი გარეთ, მაგრამ ბოშა არ ჩანდა, არც მეორე დღეს გამოჩენილა და საურთოდ, აღარასდროს მოსულა. ვეძებდი, მაგრამ ველარსად ვერ მივაკვლიე პატარა და ბავშვურ ბოშა გოგონას, გაუთლელ ხესავით უბრალოს, ბოშას, რომელიც სულინმინდის მობერვას ჰგავდა, ბოშას, რომელსაც სხვა არა-ყირი უნდოდა, გარდა ღუმელში შეშის შეეკეთებისა – საკუთარი ზურგით მოპერნდა მძიმე კოჭები და ფიცრები დანგრეული სახლებიდან, ჯვარივით მძიმე ფიცრები, მართლაც სხვა არაფერი უნდოდა, ჩორდა იმისა, რომ კარტოფილისა და ცხენის ძეხვის გულიაში ემზა-ფებინა, ღუმელში შეშა შეეკეთებინა და შემოდგომაზე ფრანი გაეშვა (ჭაში). მოგეიანებით გავიგე, რომ სხვა ბოშებთან ერთად გესტაპოს ფულტერია და საკონცენტრაციო ბანაკში გადაუყვანია, საიდანაც ბოში ჭოგონა აღარ დაბრუნებულა, მაიდანეებში თუ ოსვენციმში წაიყვა-ისა და საკრემაციო ღუმელში დაწვეს. ზეცა პუმანური არ არის,

თუმცა მე თვითონ მაშინ ჯერ ეიდევ ჰუმანური ვიყავი. ჰოდა, როცა ბოშა ომის დამთავრების შემდეგაც ალარ დაბრუნდა, ფრანი ეზოში გავიტანე და დავწევი თავის ძაფებიანად და გრძელებუდიანად, რომელსაც ქალალდის მტრედები პატარა ბოშა გოგონამ გამოაბა. ომის დამთავრების შემდეგ, ორმოცდაათიან წლებში, სარდაფი გავსებული მქონდა ხოლმე ნაცისტური ლიტერატურით და ჩემი პატარა ბოშას ლამაზი სონატის პანგების თანხლებით დიდი სიამოვნებით ვწნებდი ცენტნერობით ბროშურებსა და წიგნებს, რომლებიც ყოველთვის ერთსა და იმავეს ეძღვნებოდა, ასიათასობით გვერდს ვწნებდი, მათზე გამოსახული აღტყინებული კაცებით, ქალებითა და ბავშვებით, აღტყინებული მოხუცებით, აღტყინებული მუშებით, აღტყინებული გლეხებით, აღტყინებული ესესელებით, აღტყინებული სამხედროებით, სიამოვნებით ვყრიდი ჩემი წნების კალათში ფოტოებს, რომლებზეც გამოსახული იყო, როგორ შედის ჰიტლერი თავის მხლებლებთან ერთად განთავისუფლებულ დანციგში, როგორ შედის ჰიტლერი განთავისუფლებულ ვარშავაში, როგორ შედის ჰიტლერი განთავისუფლებულ პრალაში, როგორ შედის ჰიტლერი განთავისუფლებულ პარიზში, ან გამოსახული იყო ჰიტლერი საკუთარ სახლში, ჰიტლერი მოსაკლის ალების დღესასწაულზე, ჰიტლერი ერთგულ ნაგაზთან ერთად, ჰიტლერი ფრონტის მებრძოლებთან ერთად, ჰიტლერი ატლანტიკის დაცვის ხაზზე, ჰიტლერი, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთში დაპყრობილი ქალაქებისკენ მიემგზავრება, სამხედრო რუკებზე მომუშავე ჰიტლერი და რაც მეტ ჰიტლერსა და აღტყინებულ კაცებს, ქალებსა და ბავშვებს ვწნებდი, მით მეტს ვფიქრობდი ჩემს პატარა ბოშაზე, რომელიც არასდროს არ ყოფილა აღტყინებული, რომელსაც სხვა არაფერი უნდოდა, გარდა იმისა, რომ ლუმელში შემა შეეკეთებინა და კარტოფილისა და ცხენის ძეხვის გულიაში ემზადებინა და დიდი დოქით ლუდის მოსატანად ევლო, სხვა არაფერი უნდოდა, გარდა იმისა, რომ პური ისე მოეტეხა, როგორც ამას ევება. რისტიის დროს აკეთებენ და შემდეგ ლუმლის ლია კარში ცეცხლის ნათებისათვის ეყურებინა, ცეცხლის მელოდიური გუგუნი მოესმინა,

ცეცხლის სიმღერა, რომელსაც ბავშვობიდან იცნობდა და რომელიც საკრალურად იყო დაკავშირებული მის ტომთან, ცეცხლი, რომელიც წვავდა ყოველგვარ სევდას და სახეზე მელანქოლიურ ლიმილს ხატავდა, რომელიც ანარეკელი იყო ბოძას წარმოდგენისა სრულყოფილი ბედნიერების შესახებ... საწოლზე გარდიგარდმო ვწევარ და ციფრან მკერდზე მოულოდნელად პატარა თაგვი დამეცა, ჩაცურდა და სანოლის ქვეშ შეძვრა, ალბათ, რამდენიმე თაგვი პორტფელით ან პალტოს ჯიბით ჩემი სარდაფიდან გამოვიყოლე, ეზოდან ტუალეტის სუნი ამოდის, ეტყობა, უნდა განვიმდეს, ზურგზე დაწოლილს ხელფეხის განძრევა არ შემიძლია, ისეთი განადგურებული ვარ ლუდის სმითა და მუშაობით – ორ დღეში მთელი სარდაფი გამოვწინდე და ზედ ასობით თაგვი, ეს პატარა და მორჩილი ცხოველი, მივაყოლე, რომლებსაც სხვა არაფერი უნდოდათ, გარდა იმისა, რომ წიგნები ეღრღნათ და მაკულატურაში გაკეთებულ სოროებში ეცხოვრათ, ეშვათ შვილები და გამოეკვებათ თავიანთი წრუნუნები, რომლებიც გორგლებად იკუნტებოდნენ, ზუსტად ისე, როგორც ჩემი ბოძა გოგო იკუნტებოდა და მეკვროდა ცივ ამინდში. არა, არ არის ზეცა ჰუმანური, მაგრამ, ეტყობა, მასზე რაღაც უფრო დიდიც არსებობს, ეს სიყვარული და თანაგრძნობაა, რომელთა დავიწყებას დიდხანს უცდილობდი და ბოლოს დამავიწყდა.

ოცდათხუთმეტი წელია, ჰიდრავლიკური წნებით მაკულატურას ვწერ, ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში მეგონა, რომ მაკულატურისა და სხვა ნაგვის წნება მხოლოდ ისე ხდება, როგორც მე ვაკეთებ ამას, მაგრამ ახლახან გავიგე, რომ ბუბნიში¹¹ გიგანტური წნები დადგეს, რომელიც ოცი ცალი ჩემი წნების მაგივრობას სწევს და როცა უშუალო მნახველებმა მითხრეს, რომ ის გიგანტი სამ- და ოთხცენტნერიან შეკვრებს აკეთებს, რომლებსაც მატარებელში აქ- წებით ტვირთავენ, საკუთარ თავს ვუთხარი: უნდა წახვიდე, ჰანტა, უნდა წახვიდე და ნახო, ზრდილობისთვის მაინც უნდა მოინახულო იქაურობა. და როცა უკვე ბუბნიში ვიდექი და ვუყურებდი უზარმა- ზარ შემინულ ნაგებობას, რომელიც თითქმის უილსონის სადგურისა- ხელა იყო და მომესმა იმ გიგანტური წნების გრუბუნი, ავკანკალყა- და თავი ვერ ვაიძულე, რომ იმ მანქანისთვის შემეხედა, ცოტა ხასია- გაშეშებული ვიდექი და გვერდზე ვიყურებოდი, მერე დავიკუზე ყა- ზონრების შეკვრა დავიწყე, ვერ ვახერხებდი იმ მანქანისთვის თუა.

¹¹ ბუბნი (Bubny) - პრალის ერთ-ერთი ქუჩისა და ამ ქუჩაზე განლაგებული სარწყა- ნიგზო სადგურის სახელწოდება.

ლებში ჩახედვას. ასეთი ვარ, სულ ასე ვიქცეოდი, მაკულატურის გროვაში იშვიათი ნიგნის ყდას, ან ყუას თუ დავინახავდი, პირდაპირ კი არ ვწვდებოდი ხოლმე, არა, ჯაგრისს ვიღებდი და წნების ლერძის წმენდას ვიწყებდი და მხოლოდ ამის შემდეგ ვაგრძელებდი მაკულატურის გროვის თვალიერებას, თან საკუთარ ძალებს ვაფასებდი – მაქვს თუ არა აღებისა და გადაშლისათვის საქმარისი ძალ-ლონე, და როცა ყველაფერი შემონმებული მქონდა, მხოლოდ მერე ვიღებდი მაკულატურის გროვიდან ნიგნს, რომელიც ისე მიკანკალებდა ხელებში, როგორც საკურთხევლის წინ მდგომ პატარძალს უკანკალებს თაიგული. ყოველთვის ასეთი ვიყავი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი სოფლის საფეხბურთო გუნდში ვთამაშობდი, ვიცოდი, რომ გუნდის შემადგენლობას ხუთშაბათს გამოაკრავდნენ ლუდქანასთან დაგმულ ვიტრინაში, მაგრამ მე გულის ფანცქალით ოთხშაბათს მივთოდი სანახავად, ვიტრინის წინ ვდგებოდი, ველოსიპედი განზედადგმულ ფეხებს შორის მეჭირა, მაგრამ სიაში ჩახედვას ვერ ვძედევდი, ვიტრინის კლიტეს ვსწავლობდი მზერით, სხვადასხვა განცხადებას ვათვალიერებდი, ბოლოს ჩვენი გუნდის სახელწოდებას ვკითხულობდი დაკვირვებით და მხოლოდ ამის შემდეგ ვეცნობოდი გუნდის შემადგენლობას, მაგრამ ოთხშაბათობით წინა კვირიდან შემორჩენილი ძველი შემადგენლობა იყო გამოკრული, ამიტომ ვჯდებოდი ფილოსიპედზე და გზას ვაგრძელებდი, რათა ხუთშაბათს ისევ ისე, ჩაშლილ ფეხებს შორის ჩაჭერილი ველოსიპედით ვმდგარიყავი ვიტრინის წინ და მეთვალიერებინა სხვადასხვა განცხადება, მაგრამ არა გუნდის შემადგენლობა, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც յარგად დავწყნარდებოდი, ნელა ვიწყებდი გუნდის ძირითადი შემადგენლობის კოსტევას, მერე სათადარიგო შემადგენლობაზე გადავდიოდი და ბოროს ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობასაც ვათვალიერებდი, ყაზარცული ბედნიერებას ვგრძნობდი. ახლაც მაშინდელივით ვიდექი ჩოგანტური წნების წინ ბუბნიში და როცა ლელვამ გამიარა, შევუძახე საკუთარ თავს და გავხედე წნებს, რომელიც შემინულ ჭერს სწვდე-

ბოდა ისე, როგორც უზარმაზარი საკურთხეველი სტრანას¹² წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. წნების ზომებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, კონვეიერის ლენტი ისეთივე გრძელი და განიერი იყო, როგორიც პოლეშოვიცის ელექტროსაფგურის ლენტი, რომელსაც ზანტად მიჰქონდა ნახშირი ლუმლისკენ, ეს კონვეიერი კი თეთრ ქალალდსა და ნიგნებს მიაზოზინებდა, ნიგნებს ახალგაზრდა კაცები და ქალები აწყობდნენ ზედ, თან ისე კი არ ეცვათ, როგორც მე ან მაკულატურის სხვა მნიხეავებს, არა, ნარინჯისფერი და ლია ცისფერი ხელთათმანები ჰქონდათ და თავზე ყვითელი ფერის ამერიკული კეპები ეხურათ, წინ დვრილებამდე ამოსდიოდათ შარვლები, მხრებზე გადადებული ბრეტელები ზურგზე იყო გადაჯვარედინებული და ფერადი სვიტრების გამოჩენის საშუალებას იძლეოდა, და ერთი ნათურაც კი არ ენთო არსად, შემინული კედლებიდან და ჭერიდან შემომავალი მზის სხივები ავსებდა იქაურობას, ჭერში კი ვენტილაცია იყო გაყვანილი. მუშების ფერადი ხელთათმანები კიდევ უფრო დამამცირებელი იყო ჩემთვის, რადგან მე ყოველთვის შიშველი ხელებით ვმუშაობდი, ქალალდი ხომ საკუთარი თითებით უნდა შემეგრძნო, აქ კი არავის სჭირდებოდა დაძველებული ქალალდის განუმეორებელი ჯადოს ფიზიკურად შეგრძნება, და აჰეთ და აჰეთ კონვეიერს თეთრი ქალალდი სადღაც ზევით, როგორც ესკალატორს აჰყავს ხალხი ვაცლავაკის¹³ მინისქვეშა გადასასვლელებიდან ქუჩებისაკენ, შემდეგ კი ეს ქალალდი უზარმაზარ ქვაბში იყრებოდა, ისეთსავე გიგანტურ ქვაბში, როგორიც სმიხოვის¹⁴ ლუდსახარშში აქვთ ლუდის მოსახარშად, და როცა წნების ქვაბი ივსებოდა, კონვეიერს აჩერებდნენ და ჭერიდან ნელ-ნელა უზარმაზარი ხრახნი ეშვებოდა, რომელიც წარმოუდგენელი ძალით წნებდა ქალალდს, შემდეგ მანქანა კეთილხმოვან ხვეშას უშვებდა და ხრახნი ისევ ჭერისკენ იწევდა, კოსვეიერიც იძვროდა, წყვეტილი მოძრაობებით ქალალდი უზარმაზარი

¹² მალაა სტრანა (Malá Strana) – პრაღის ცენტრალური უბანი.

¹³ პრაღის წმინდა ვაცლავის მოედანს ჩეხები შემოკლებით ვაცლავაკს ეძახიას.

¹⁴ სმიხოვი (Smíchov) – პრაღის ერთ-ერთი უბანი.

კალათისაკენ მიჰქონდა და ყველაფერს ზუსტად იმ ოვალურ კალათში ყრიდა, რომელიც ისევე დიდი იყო, როგორც კარლაკის¹⁵ აუზი. ბოლოს და ბოლოს, დავმშვიდდი და ისიც შევამჩნიე, რომ წნები ახალთახალი წიგნების მთელ ტირაუებს წნებს და კრავს, შემინული კედლების იქით სატვირთო მანქანებს ვხედავდი, რომლებსაც წიგნები მოჰქონდათ, კოხტად დაწყობილი შეკვრები ძარის კიდეებს სცდებოდა და მთელი ეს ტირაუები პირდაპირ წნების კალათში ისე ჩაედინებოდა, რომ ერთი ადამიანის მზერაც კი არასდროს შეხებიათ, ერთი ადამიანის თვალზე, გულსა და ტვინშიც კი არ დაუტოვებიათ კვალი. ქალი და კაცი მუშები, რომლებიც კონვეიერის დასაწყისში იდგნენ, შეკვრებს შესაფერთ ქალალდს აცლიდნენ და იქიდან გადმოცვენილ ახალთახალ წიგნებს ყდებს აგლეჯდნენ, ლენტზე კი მხოლოდ წიგნის შიგთავსს ყრიდნენ, გადაყრილ წიგნებს ფურცლები უფრიალებდათ ჰაერში და გადაშლილები ეცემოდნენ, გადაშლილ გვერდებს კი არავინ არ უყურებდა, კაცმა რომ თქვას, ეს შეუძლებელიც იყო, რადგან კონვეიერი განუწყვეტილივ დატვირთული უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა მისი გაჩერება ისე, როგორც მე ვაკეთებდი ამას ჩემს წნებთან მუშაობისას, აი, ასეთი არა ადამიანური იყო აქაური სამუშაო პირობები, რაც უზარმაზარ თევზისაჭერ გემს მაგონებდა, ბადეები რომ ამოაქვთ კიჩოზე და მეთევზეები დიდ და ჰატარა თევზებს აცალკევებენ, რომლებსაც შემდეგ გემის სიღრმეში საკონსერვო ქარხნისკენ უშვებენ კონვეიერით, ერთ თევზს მეორის მიყოლებით, წიგნს – წიგნის მიყოლებით. ბოლოს გამბედაობა მოვიკრიბე და წნების ოვალური კალათის ირგვლივ გაკეთებულ ბაქანზე ავედი, რომელზეც ისე დავსეირნობდი, როგორც სმიხოვის ლუდსახარშის ქვაბის ირგვლივ გაკეთებულ ბაქანზე, იმ ქვაბში ერთ მოხარშვაზე ხუთასი ჰექტოლიტრი ლუდი იხარშებოდა, ბაქნის მოაჯირიდან გადმოხრილი ქვევით ვიყურებოდი და თავი ერთსართულიანი სახლის კიდელთან მიდგმულ ხარაჩოზე მეგონა, მართვის პულტზე კი ყველა შესაძლებელი ფერის ნათურა ციმციმებდა, ზუსტად ისე, როგორც

¹⁵ პრალის კარლოს IV-ს მოედანს ჩეხები შემოელებით კარლაკს ეძახიან.

ელექტროსადგურებშია, ამ დროს ხრახნი ისე ანვებოდა და წნეხდა კალათის შიგთავსა, როგორც ჩაფიქრებული ადამიანი ჭმუჭნის ხოლმე თითებს შორის ავტობუსის ბილეთს, მე კი შეშინებული ვიყურებოდი აქეთ-იქით და ქვევით მომუშავე ქალებსა და კაცებს დავცეკეროდი, რომლებსაც შენობის გვერდითა კედლიდან მზის სხივები ეცემოდათ, რის გამოც მათი სამუშაო ჭანსაცმელი, სვიტრები და კეპები ირგვლივ ფერად ათინათებს ისროდა და თვალებს მიჭრელებდა, უცხო ქვეყნებიდან მოფრენილ ჩიტებს ჰგავდნენ მუშები, ალეუნებს, ჰოლანდიურ სტვენიებსა და თუთიყუშებს, მაგრამ ეს არ იყო ჩემი შიშის მიზეზი, მე იმის შეგნებამ შემაშინა, რომ ეს გიგანტური წნეხი სასიკვდილო დარტყმაა ყველა პატარა წნეხისთვის, მივხვდი, რომ ის, რასაც ახლა ვხედავ, ახალი ეპოქის დასაწყისია ჩემს საქმიანობაში, რომ ეს სულ სხვა ხალხია და მუშაობის სულ სხვა მეთოდი. გავაცნობიერე, რომ ამით დასრულდა პატარ-პატარა სიხარულის ეპოქა, რომელიც დაუდევრობით გადაყრილი წიგნებისა და ბულეტების სახით აღნევდა მაკულატურის მიმღებ პატარა პუნქტებში, რომ ის, რასაც ახლა ვხედავ, აზროვნების ახალი სტილია, იმიტომ რომ, მართალია, ყოველმა მუშამ ყოველი გამოცემიდან, შეიძლება, თითო წიგნი აიღოს, მეტიც, შეიძლება, ნაიერთხოს კიდეც ეს წიგნი, მაგრამ ეს ყველა მომცრო მიმღები პუნქტისა და, მათ შორის, ჩემი დასასრულიცაა, რადგან ჩვენ, ყველანი, ქალალდის წნეხაში დაბერებული მუშები, ჩვენდა უნებურად განათლებულები ვიყავით, ჩვენდა უნებურად ყოველ ჩვენგანს მაკულატურაში ნაპოვნი წიგნებისაგან შედგენილი რიგიანი ბიბლიოთეკა ჰქონდა შინ და რაც მთავარია, ჩვენ ამ წიგნებს იმ ნეტარი იდეით შეპყრობილები ვკითხულობდის, რომ ერთხელაც რაღაც ისეთს ამოვიურთხავდით, რაც არსებითად შეგვცელიდა. მაგრამ ყველაზე დიდი დარტყმა მაშინ მივიღე, როგორ დავინახე, როგორ სვამდნენ ახალგაზრდა მუშები სრულიად მოურიდებლად რძესა და ლიმონათ „პომოს“, ფეხები განზე ჰქონდას გადგმული, ცალი ხელით დოინჯი ჰქონდათ შემორტყმული და პირ-დაპირ ბოთლიდან სვამდნენ, ვხედავდი ამას და მესმოდა, რომ ეს ძველი დროის დასასრულია, რომ დამთავრდა ეპოქა, როცა კაჯა

შუხლებზე ედო სამუშაო, როცა ხელისგულებითა და თითებით ერქინებოდა საქმეს, თითქოს ეჭიდავება და ბეჭებზე აწვენსო, ძველი ყაიდის მუშები, ასეთი საქმიანობით ღონემიხდილები, მასში მთლიანად ამოვლებულები იყვნენ ხოლმე, რადგან სამუშაოს შიგნით, საკუთარ სხეულში უშვებდნენ. მაგრამ აქ ახალი ეპოქა იწყებოდა, მუშაობის ახალი მეთოდებითა და ახალი ხალხით, ახალი ეპოქა, რომელიც მუშაობის დროს რძეს სვამს, თუნდაც ვირმაც კი იცოდეს, რომ რძის დალევას წყურვილით ფეხების გაფშევა სჯობს. არ შემეძლო ამის ყურება, შემოვუარე წნებს და ბოლოში მისი პიდრავლიკური ზემოქმედების შედეგიც დამხვდა – უზარმაზარი შეკვრა, რომელიც მოძრავი ვაგონეტებიდან პირდაპირ ერთ-ერთზე გადმოსუჟდა, ვაგონეტები, რომლებიც ხვლიერით წყვეტილ-წყვეტილი მოძრაობებით მიიკლავნებოდნენ, შემობრუნდნენ და ოლშანის სასაფლაოზე შეძლებულ ოჯახებს რომ ქანდაკებები ედგათ, იმხელა შეკვრები პირდაპირ ბაქანზე გაიტანეს, შეკვრები, რომლებიც ფირმა „ვერტჰაიმის“ ცეცხლგამძლე სეიფებივით დიდი იყო. ხელები თვალებთან მივიტანე, ადამიანის ჭუჭყიანი ხელები, მუშაობისგან ქანდახეთქილი თითები ვაზის დანაოჭებულ ლერწებს ჰგავდა, კარგად დავაკვირდი, ზიზღით ჩამოვუშვი და უცებ ხელები ამიკანკალდა, დილის შესვენება ზუსტად ამ ღროს დაინყო, კონვეიერი გაჩერდა და ქალი და კაცი მუშები კიდლის გაზეთის ქვეშ ჩამოსხდნენ, უფრო სწორად, იქ დიდი დაფა ეკიდა, რომელზეც უამრავი ცნობა, განცხადება და ნაჯღაბნი იყო ზიერული, ამოილეს და წინ დაიდეს თავ-თავიანთი რძე, გახსნეს თავ-თავიანთი სამხარი, რომელიც დიდი კალათით ჩამოატარა მებუფეტებ და წყნარად შეუდგნენ ჭამას, ძეხვს, ყველს და კარაქიან ფუნთუშებს პომოსა და რძეს აყოლებდნენ, იცინოდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, და მათი საუბრის ნაწყვეტები რომ მოვისმინე, მოაჯირს ღონივრად ჩავებლაუჭე, რადგან, როგორც გავიგე, ეს ახალგაზრდები სოციალისტური შრომის ბრიგადა ყოფილა და თურმე ყოველ პარასკევს სამსახურის ავტობუსს ისინი სახელმწიფო აგარაკზე ზისყავდა კრეონოშში. ჭამას რომ მორჩნენ, სიგარეტსაც მოუკიდეს და შეეიტყვე, რომ გასულ წელს იტალიასა და საფრანგეთში იმოგ-

ზაურეს და რომ წელს ბულგარეთსა და საბერძნეთში აპირებენ წას-
ვლას, და როცა ვუყურებდი, როგორ სიამტკბილობდნენ და ცდილო-
ბდნენ ერთმანეთის დაყოლიებას, რომ საბერძნეთში ყველანი ერთად
წასულიყვნენ, სრულებითაც აღარ გამჟვირვებია, რომ, როცა მზე
უკვე კარგა მაღლა იყო ცაზე, წელს ზევით გაშიშვლდნენ და მზეს
მიეფიცხნენ, თან იმაზე ლაპარაკობდნენ, რა სჯობია, ნაშუადლევს
ყვითელ აუზზე წავიდნენ საცურაოდ თუ მოდრუანში ფეხბურთის ან
ხელბურთის სათამაშოდ. საბერძნეთში შვებულებამ ხომ სულმთლად
მომილო ბოლო, ძველ საბერძნეთში მხოლოდ ჰერდერისა და ჰეგე-
ლის კითხვისა და ნიცხეს წიგნებში სამყაროს დიონისური გაგების
წყალობით აღმოვჩენილვარ და საერთოდ, შვებულებაშიც არასდროს
არ ვყოფილვარ, თითქმის მთელი შვებულება უნებლიერ გაცდენილი
სამუშაო დღეების ანაზღაურებას მიჰქონდა, რადგან შეფი ერთ გაც-
დენილ დღეს შვებულების ორ დღედ მითვლიდა და თუ რამე მომრჩე-
ბოდა ხოლმე შვებულებიდან, ფულს ვახდევინებდი და იმ დღეებსაც
სამუშაოში ვატარებდი, იმიტომ რომ სულ ჩამორჩენა მქონდა, ეზოსა
და სარდაფში ყოველთვის მაკულატურის მოზღვავება იყო, იმაზე
მეტი მოჰქონდათ, რამდენთან გამკლავებაც შემეძლო, ასე რომ ოკ-
დათხუთმეტი წელი განუწყვეტლივ სიზიფეს კომპლექსით შეპყრობი-
ლი ვცხოვრობდი, როგორც ბატონმა სარტრმა და მასზე უკეთესად
ბატონმა კამიუმ აღნერეს, სატვირთო მანქანებს რაც უფრო მეტი
დაწნეხილი ქალალდი გაჰქონდათ ჩემი ეზოდან, მით მეტი მაკულა-
ტურა იყრებოდა ჩემს სარდაფში და ბოლო არ უჩანდა ამ ყველაზ
ფერს, მაშინ, როცა ბუბნიში მომუშავე სოციალისტური შრომის ბრი...
გადას ყოველთვის ყველაფერი იდეალურ წესრიგში ჰქონდა, ყველაზ
ერთად მუშაობდნენ და გარუჯულებიც იყვნენ, მუშაობისას მზე შათ
ბერძნულ ტორსებს უფრო მუქ ფერს სძენდა და სრულებით არ
აფორიაქებდათ, რომ შვებულებას ელადაში გაატარებდნენ, რადგან
არაფერი იცოდნენ არისტოტელეს, პლატონისა და ანტიკური საბერ-
ძნეთიდან ჩვენს დღეებამდე გამონვდილი ხელის, გოეთეს შესახებ,
მშვიდად აგრძელებდნენ მუშაობას, წიგნებს ყდებს აგლეჯდნენ ყო
შემდეგ სასონარკეთილ, შეშინებულ გვერდებს კონვეირზე ყრიში

ნენ, თან ისე წყნარად და გულგრილად, რომ ცხადი იყო, არც კი იცოდნენ, რას წარმოადგენს ერთი ასეთი წიგნი, ეს წიგნი ხომ ვინმეს უნდა დაეწერა, მეორეს წაეკითხა და გაესწორებინა, ვიღაცას ილუსტრაციები შეექმნა, ვიღაცას დასაბეჭდი შრიფტი აეწყო, ვიღაცას კორექტურა უნდა გაეკეთებინა და ვიღაცას შეცდომით აერეფილი ადგილები გადაეწყო, შემდევ კიდევ ერთხელ უნდა წაეკითხათ და კიდევ ერთხელ გადაეწყოთ შრიფტი, ვიღაცას საბეჭდ დაზგაში უნდა ჩაედო, ვიღაცას ფორმებად აკინძული ტექსტი კიდევ ერთხელ და ამჯერად საბოლოოდ უნდა წაეკითხა, ვიღაცას ისევ უნდა ჩაედო საბეჭდ მოწყობილობაში და ერთიმეორის მიყოლებით ჩაეშვა ფორმები სპეციალურ დაზგაში, რომელიც მათ წიგნებად აკინძავდა, ვიღაცას მზა წიგნები უნდა აელო და შეკვრებად შეეფუთა, ვიღაცას მთელი ჩატარებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა შეედგინა, ვიღაცას უნდა დაედგინა, რომ ეს წიგნი წასაკითხად არ გამოდგება, ვიღაცას წიგნების განადგურების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო და მთელი ტირაჟის წნებში ჩაეშვების ბრძანება გაეცა, ერთ მუშას წიგნები საწყობში უნდა გადაეტანა და მეორეს სატვირთო მანქანაზე დაეწყო, შილოლს აქამდე უნდა მოეტანა ეს შეკვრები, სადაც ქალი და კაცი შუშები წითელი, ცისფერი, ყვითელი და ნარინჯისფერი ხელთათმანებით გლეჯდნენ ამ წიგნებს ყდებიდან და კონვეიერზე ყრიდნენ, კონვეიერს დაგლეჯილი წიგნები ყრუ გრუხუნითა და წყვეტილი მოძრაობებით გიგანტური წნებისკენ მიჰქონდა, რომელიც მათ შეკვრებად დაწნებს, შეკვრებს ქალალდის ფაბრიკაში წაიღებენ და ისევ ქაღალდება აქცევენ, უცოდველ, შრიფტით შეულახავ თეთრ ქალალდად, რათა ამ ქალალდზე ახალი წიგნები დაბეჭდონ... მე კი, მოაჯირის დაყრდნობილი, ამ ადამიანების შრომას ზევიდან ვაკვირდებოდი, მაგრინახე, რომ მზით განათებულ დარბაზში მასწავლებელმა სკოლის ჩამსწავლეების ჯგუფი მოიყვანა, თავიდან გავითიქრე, ექსკურსიაა, ჩაეშვებს უნდათ აჩვენონ, როგორ ხდება მაულატურის გადამუშავება-შეთქი, მაგრამ მოულოდნელად მასწავლებელმა ერთი წიგნი მაღალა აწია, ბავშვების ყურადღება მიაპყრო და ყველას აჩვენა, როგორ უმა ამოიგლიჯოს წიგნი ყდიდან, ბავშვებსაც მეტი რა უნდოდათ,

ერთიმეორის მიყოლებით იღებდნენ წიგნებს, ახევდნენ ყდებს, ცდი-ლობდნენ, თავიანთი პატარა თითებით ფურცლებიც ამოეგლიჯათ და დაეხიათ, მართალია, წიგნები მათ უძალიანდებოდნენ, მაგრამ ბავშვების პატარა ხელები უფრო ლონიერი აღმოჩნდა, პატარებს სახეები გაუნათდათ, იმიტომ რომ საქმე ისევე კარგად გამოსდიოდათ, როგორც ახალგაზრდა მუშებს – ქალებსა და კაცებს – რომლებიც ბავშვებს თავის ქნევით აგულიანებდნენ... დაახლოებით ასე იყო ყველაფერი ბუბნიში და იმას მაგონებდა, რაც ლიბუშიში მეფრინველეობის ფერმაში ექსკურსისას ვნახე, როგორც პატარა ბავშვები გლეჯდნენ შიგნეულობას წიგნის ყდებიდან, ისე გლეჯდნენ ახალგაზრდა მუშა ქალები კონვეიერზე ცოცხლად ჩამოკიდებულ ვარიებს დახელოვნებული მოძრაობით თირკმლებს, ფილტვებსა და გულებს დიდ ჯამებში ყრიდნენ, ვუყურებდი, როგორ მიჰქონდა კონვეიერს წყვეტილი მოძრაობებით ვარიები სხვა ოპერაციების ჩასატარებლად, ლიბუშელი გოგონები ამ დროს ხუმრობდნენ და მხიარულობდნენ, გალიებში კი ათასობით ცოცხალი ან ცოცხალმკვდარი ვარია იყო დამწყვდეული, ზოგიერთი ფრინველი, რომელსაც მავთულის გალიოსთვის რაღაცნაირად თავი დაელნია, საჭვირთო მანქანის ძარაზე აფრენილიყო, ზოგიც იქვე რაღაცას კენკავდა აუღელვებლად და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ კონვეიერის კაუჭებს გაჰქიმდნენ, რომლებზეც გოგონები კისრებით კიდებდნენ გალიებში ათ-ათად დამწყვდეულ ვარიებს... ზევიდან ვუყურებდი, როგორ ითვისებდნენ პატარა ბავშვები წიგნების დახევას, ვხედავდი, რომ უკვე კარგად გამოსდიოდათ საქმე, ისე გაქაფულები მუშაობდნენ, რომ მაისურებისა და სვიტრების გახდაც კი მოუხდათ, მაგრამ მოულოდნელად რამდენიმე წიგნმა შეთქმულება მოაწყო, ენინაალმდეგებოდნენ ბაჟოშვების ხელებს, ერთმა გოგონამ და ერთმა ბიჭმა თითებიც კი იღია რძეს აჯანყებული წიგნების განსაკუთრებით მყარი ყდებიდან ამორლევის მცდელობაში, მაგრამ მუშებმა ბავშვებს გამოართვეს დაუშვათავრებელი საქმე, ხელის ერთი სწრაფი მოძრაობით ამოაკალის წიგნებს შიგნეულობა და დაჭმუჭნილი ფურცლები კონვეიერში მოისროლეს, მასნავლებელმა კი ამასობაში დაშავებული თითები შეა.

დაუხვია ბავშვებს. არა, არ არის ზეცა ჰუმანური, მეყოფა ამ ყველაფრის ყურება-მეთქი, გავიფიქრე, მივტრიალდი, ქვევით ჩავედი და დარბაზიდან რომ გავდიოდი, ვილაცამ გამომძახა: „ჰანტა, შე ბებერო მაჩვო, რას იტყვი ამ ყველაფერზე?“. მივბრუნდი და იქვე მოაჯირთან მზეზე მდგომი ახალგაზრდა დავინახე, ნარინჯისფერი ამერიკული კეპი ეხურა, რძით სავსე ბოთლი თეატრალურად მაღლა ჰქონდა ანული, ზუსტად ნიუ-იორკის მისადგომებთან აღმართულ ჩირალდანაწედილ თავისუფლების ქანდაკებას ჰგავდა, იცინოდა და ხელში ბოთლი უთამაშებდა, და ვხედავდი, რომ დანარჩენი ქალი და კაცი მუშებიც მასავით იცინოდნენ, ალბათ, ვუყვარდი, რაյი მიცნობდნენ და თვალყურს მადევნებდნენ მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც იქაურობას ვათვალიერებდი და განცვიფრებას ვეძლეოდი, და ერთობოდნენ იმის შემხედვარენი, როგორ გამაოგნა გიგანტურმა წნება... იცინოდნენ და ყვითელ და ნარინჯისფერ ხელთათმანებს მიქნევდნენ, თავზე ვიტაცე ხელები და დერეფანს გაუუყევი, დარბაზიდან კი ყველა შესაძლებელი ტონალობის სიცილი მესმოდა, რომელსაც გრძელი დერეფნით გავურბოდი, დერეფნის კედლების გასწვრივ წიგნების შეკვრები ენყო, ხელუხლებელი გამოცემების აღლუმი, რომელიც ისეთივე სისწრაფით მიქროდა უკან, როგორითაც მე მივრბოჲ წინ. ცნობისმოყვარეობას ვერ გავუძელი და შევჩერდი გრძელი ფერეფნის ბოლოში, ერთ-ერთ შეკვრას ქალალდი შემოვახიე და ალენერინე, რომ წიგნი, რომელსაც ბავშვები ისე ხევდნენ, რომ თითებულ კი დაიზიანეს, „კაია მარუიკი“¹⁶ ყოფილა, გამოვაძერინე შეკვრიან ერთი ცალი, ბოლო გვერდზე გადავთურცლე და ამოვიკითხე, რომ ტირაჲი ოთხმოცდახუთი ათასი ეგზემპლარი ყოფილა, თან სამი სანილი გამოუციათ, ანუ ბავშვების პატარა თითებს მეოთხედი მიმოხინო განწირული კაია მარუიკი უძალიანდებოდათ... დამშვიდებულმა, სხვა დერეფნებშიც გავიარე, ყველგან წიგნის შეკვრები ენყო,

¹⁶ კაია მარუიკი (Kaja Marik) – ჩეხი მწერლის მარია ჩერნას 1926 წელს გამოცემული საბეჭდო წიგნის გმირი. ნანარმოებში ამჟარადაა გამოხატული რელიგიის მიმართ უფლის პოზიტიური დამოკიდებულება, რის გამოც კომუნისტური რეჟიმის დროს საყვარებელი მოქადალა.

ეწყო, ჩუმი და დაუცველი წიგნები, ზუსტად ისე, როგორც ვარიები ლიბუშის ფრინველების სასაკლაოზე. ისინი, რომლებმაც უცაბედად გალიებიდან გამოალნიეს, კონვეიერის ირგვლივ დასეირნობდნენ და განუწყვეტლივ რაღაცას კენკავდნენ, სანამ რომელიმე მუშა გოგოს ხელი არ სწვდებოდა, ცოცხლად არ ჩამოჟიდებდა კონვეიერის კაუჭ-ზე და დანით ყელს არ გამოჭრიდა. ეს ფრინველები ჯერ წესიერად განვითარებულებიც კი არ იყვნენ, ცხოვრებას მხოლოდ იწყებდნენ და ამ შენობაში დაწყობილი წიგნებივით მათაც ნაადრევი სიკვდილი ელოდათ. აი მე რომ მიწევდეს საბერძნეთში წასვლა, გავიფიქრე, სტაგირაში წავიდოდი, იქ, სადაც არისტოტელე დაიბადა, საბერძნეთში რომ მოვხვედრილიყავი, თუნდაც გრძელ კალსონებში გამონ-ყობილი, აუცილებლად შემოვურბენდი სტადიონს, ტერფებზე მოხ-ტუნავე ზონრებით საპატიო წრეს დავარტყამდი ყველა ოლიმპიადის ყველა გამარჯვებულის პატივსაცემად, ეჰ, საბერძნეთში რომ მოვ-ხვედრილიყავი. ამ სოციალისტური შრომის ბრიგადასთან ერთად სა-ბერძნეთში გამგზავრება რომ შემძლებოდა, მთელი იქ მომხდარი თვითმეცნიელობების შესახებ ლექციას ჩავუტარებდი ახალგაზ-რდებს, დემოსთენზე, პლატონზე, სოკრატეზე მოვუყვებოდი, ეჰ, სოციალისტური შრომის ბრიგადასთან ერთად საბერძნეთში გამ-გზავრება რომ შემძლებოდა... მაგრამ ახალ ეპოქაში ვართ, ახალ სამყაროში, რომელშიც ეს ახალგაზრდები იდაყვებით გაიკვლევეს გზას, ეტყობა, ამქვეყნად ყველაფერი შეიცვალა და ყველაფერი სხვაგვარადაა. ასეთ ფიქრებში გართული ჩემს სარდაფში უკანა ჩა-სასვლელიდან ჩავედი და მბუუტავი ნათურით განათებულ სიბრძეები. სა და ყროლში ალმოვჩნდი, ხელი გადავუსვი ჩემი წნების ხის კალა-თის გადახეხილ გვერდებს, რომელსაც დრომ თავისი კვალი დაატყოვა, ასე ვიდექი სარდაფში, რომ მოულოდნელად ყვირილი შემომესამა, მიუტრიალდი და ჩემი შეფი შემრჩა, თვალები სისხლით ჰქონდა საკ-სე, ჩემი ხანგრძლივი გაუჩინარებით გამნარებული ჭერის აპუვირობებდა და იქაურობას აგანგაშებდა, ლრიალებდა, ეზო და სარდაფი მაკულა. ტურითაა სავსეო, ვერ ვიგებდი, რას დამჩხაოდა თავზე, მაგრამ მიწა ხვდი, იმას მსაყველურობდა, რომ აუტანელი ადამიანი ვარ და რომ

ამის გაძლება უკვე შეუძლებელია, და რამდენჯერმე გაიმეორა სიტყვა, რომელიც ჯერ არავის შემოუკადრებია ჩემთვის, მითხრა, უქნარა, უქნარა, უქნარა ხარო. ბუბნის გიგანტური წნები თავისი სოციალისტური შრომის ახალგაზრდული ბრიგადით და მე – ეს ხომ მორალური დაპირისპირებაა და მაინც, მე უქნარა ვარ, იმაზე უვარგისი, ვიდრე ეს ჩემი ციცქა წნები, ბრიგადას – ელადაში გასეირნება, მე კი უქნარა ვარ. მთელი ნაშუადლევის განმავლობაში ტემპის შეუცვლელად ვმუშაობდი, ფინლით წნების კალათაში ისე ვყრიდი წიგნებს, თითქოს ბუბნიში ვმუშაობო, მართალია, წიგნების პრიალა ყდები მეკეულუცებოდნენ, მაგრამ თავს ვიკავებდი და თან გაუთავებლად ვიმეორებდი: არ გაბედო, ერთ წიგნშიც კი არ გაბედო ჩახედვა, შენ კორეელი ჯალათივით გულგრილი უნდა იყო. ერთი სიტყვით, ისე ვმუშაობდი, თითქოს ნიჩბით უსულო მინის გროვებს ვიღებდი, მანქანაც გადარეულივით მუშაობდა, ახველებდა და აძაგძაგებდა, ძრავა უხურდებოდა, ასეთ ტემპს ნამდვილად არ იყო ჩვეული, სარდაფის ჰაერმა, ეტყობა, გააცივა და რევმატიზმი დამართა, რომ მომწყურდა, მაღაზიაში გავედი და უკანა გზაზე რძის ლიტრიანი ბოთლით გადმოვირბინე ეზო, როცა ეს რძე დავლიე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყელში ეკლიანი მავთული გამიტარესო, ზაგრამ არ შევშინებულვარ, უბრალოდ ჰატარ-ჰატარა ყლუპებით ესვამდი, ჰატარაობაში კოვზით თევზის ქონს რომ მასმევდნენ, ისეთივე საზიზლრობა იყო ეს რძეც, მაგრამ მაინც მოვახერხე და ქაღალდი ჭერს აღარ სწვდებოდა და ისევ გამოჩნდა ეზოში გამავალი ხერელი. იმ დღეს ხუთშაბათი იყო და მოხდა ის, რაც ყოველ ხუთშაბათს ხდებოდა და რასაც ყოველთვის გულის ფანცქალით ველოდებოდი, კომენსაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი მოდიოდა ხოლმე ბიბლიოთეკიდან გადაყრილი წიგნებით სავსე ჩანთით, იმ დღესაც შევიდა, დადგა ხერელის ნაპირას და პირდაპირ ჩემს ფეხებთან გადშევალა ფილოსოფიური ნაშრომებით სავსე ჩანთა, მაგრამ მე ეს წიგნები პირდაპირ წნების კალათში ჩავყარე, მხოლოდ ერთ წიგნზე შეეჩინდი, ეს რომ არ მექნა, გული გამისკდებოდა, „ზნეობის მეტაურიზიკა“ ერქვა, ბოლოს ისიც ფინალზე დავდე და ისე მოვისროლე

յալատში, როგორც լամპոռնեბის ძირში დადგმული ლითონის სანაგვის შიგთავსი, ვმუშაობდი და ვმუშაობდი, ერთ შეკვრას მეორეს ვაყოლებდი, თანამედროვე და ძველი მხატვრების რეპროდუქციების გარეშე ვკრავდი ყველაფერს, ერთი შეკვრა მეორეს ჰგავდა, მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რისთვისაც ფულს მიხდიდნენ, არავითარი ხელოვნება, შემოქმედება და სილამაზის ძიება, აი ასე, მხოლოდ სამუშაოს ვასრულებდი და თანდათან ვხვდებოდი, სულ ასე რომ მემუშავა, მე თვითონ ვიქნებოდი მთელი სოციალისტური შრომის ბრიგადა, შევძლებდი საკუთარი თავისთვის მიმეცა პირობა, რომ შრომის პროდუქტიულობას ორმოცდაათი პროცენტით გავზრდიდი და ასე არა მარტო სახელმწიფო სანატორიუმში მოვხვდებოდი, არამედ სანატორელ საბერძნეთშიც, სადაც გრძელი კალსონებით ოლიმპიის სტადიონს შემოვურბენდი და პატივს მივაგებდი არისტოტელეს სამშობლოს, სტაგირას. აი ასე, პირდაპირ ბოთლიდან ვყლუპავდი რძეს და იმაზე ვფიქრობდი, რომ უქნარა არ ვარ, ირგვლივ ვეღარაფერს ვამჩნევდი და არაადამიანური ტემპით ვმუშაობდი ისე, როგორც ბუბნის გიგანტურ წერტიან მუშაობდნენ და სალამოს, როცა მუშაობას მოვრჩი და დავამტკიცე, რომ უქნარა არ ვარ, შეფინა, რომელიც თავისი კაბინეტის გვერდით საშხაპეში ბანაობდა, მოჩხრიალე წყლიდან გამომძახა, რომ აღარ სურს ჩემთან ლაპარაკი, რომ ჩემი საბუთები უფროსობას გადასცა და ამიერიდან სულერთია, სად გავაგრძელებ მაჟულატურის წერტიას. ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ იმშრალებდა ხაოიანი პირასახოცით, მისი ჭალარა ბანჯგვლების ხმა მესმოდა და ამ დროს მოულოდნელად ჩემი მანჩინა მომენატრა, რომელმაც რაშ-დენჯერმე მომწერა, რომ ახლა კლანოვიცეში ცხოვრობს და უნდა, რომ მოვინახულო. ჭუჭყიან ფეხებზე წინდები ამოვიცვი და გარეთ გავედი, ავტობუსზე მეჩქარებოდა, უკვე შებინდებული იყო, როგორ ტყეში ნამოზრდილ პატარა ქალაქში ჩავალნიე, ხალხში მანჩინას შესამართი გავიკითხე და უკვე თითქმის ბრელოდა, როცა ტყეში ხამომართული მომცრო ვილის წინ აღმოვჩნდი, მზე უკვე ჩადიოდა, ჭიშკარი გავალე და ეზოში შევედი, არავინ შემომგებებია, არც დერეფახი ში დამხვდა ვინმე და არც სამზარეულოსა და სხვა ოთახებში, მაშის

გალებული კარით ბალში გავედი და დანახულმა იმაზე უფრო ძლიერად შემაშინა, ვიდრე დილით ბუბნიში. დიდი ფიჭვებისა და ქარვის-ფერი ჰორიზონტის ფონზე, სადაც მზე ნელ-ნელა ჩადიოდა, ანგელოზის უზარმაზარი ქანდაკება აღმართულიყო, ისეთივე უზარმაზარი, როგორიც ვინოპრადში ჩეხის ქანდაკება ჩეხის ბალში. ქანდაკებაზე კიბე იყო მიდგმული, ზედ მოხუცი კაცი იდგა, რომელსაც ლია ცისფერი ხალათი და თეთრი შარვალი ეცვა, ფეხსაცმელიც თეთრი ჰქონდა, და ხელში ჩაქუჩი ეჭირა, რომლითაც ქვაში ლამაზი ქალის სახეს თლიდა, არა, ეს არც ქალის სახე იყო და არც კაცის, უფრო ციდან ჩამოსული ანდროგინული ანგელოზის სახეს ჰგავდა, რომელსაც ალარ ატყვია სქესის ნიშნები და ამდენად, არც დაქორწინებულია, ვხედავდი, როგორ იყურებოდა მოხუცი ყოველ წამს ქვევით, იქით, სადაც სავარძელში მანჩინა იჯდა, რომელსაც ვარდი ეჭირა და ამ ვარდის არომატით ტკბებოდა, მოხუცი კი ყოველ მის ნაკვთს დაკურვებით სწავლობდა და საჭრეთელზე ჩაქუჩის მსუბუქი დარტყმებით ქვაში გადაპქონდა ისინი. მიუხედავად ჭალარისა, მანჩინკას თმა გამოსასწორებელი სახლის გოგონასავით ჰქონდა შეჭრილი, როგორც სულიერებით აღსავსე ათლეტის, ერთგვარი ბიჭური ვარცხნილობა, როგორიც სპორტსმენებს აქვთ, თან ერთი თვალი მეორეზე ოდნავ დაბლა ჰქონდა, რაც დიდებულებას სძენდა მის გარეგნობას, მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მანჩინკა ცალ თვალს ოდნავ აელმებდა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ეს თვალის ნაკლი არ იყო, რომ უბრალოდ დახარა და გაეყინა მზერა და გამუდმებით უსასრულობის ზღურბლს იქით, ტოლგვერდა სამკუთხედის ცენტრს ჩაჟურებს, თვით ყოფის გულს, რომ მისი ელამი თვალი შეხსენებაა ბრილიანტში არსებული ხინჯისა, როგორც ერთმა კათოლიკე ეგზისტენციალისტმა თქვა მოხდენილად. აი ასე მეხდაცემული ვიდექი, ჩაგრამ ყველაზე უფრო ქანდაკების ორი უზარმაზარი თეთრი ფრთა ჩაჟირვებდა, თეთრი კარადებივით დიდი ფრთები, ისე ჩანდა, რომ ყრითები მოძრაობდნენ, თითქოს აფრენას აპირებენ ან ეს-ესაა ციდან ჩანაზე დაეშვნენო და ვხედავდი, რომ მანჩინკამ, რომელსაც ამქვეყნებულაზე უფრო წიგნის კითხვის ეშინოდა, რომელსაც ერთი რი-

გიანი წიგნიც კი არასდროს წაუკითხავს და თუ რამე წაუკითხავს, მხოლოდ ძილის მოსაგვრელად, ცხოვრების გზის ბოლოს წმინდანობას მიაღწია... დაღამდა, სიბნელე ჩამოწვა, მოხუცი მოქანდაკე კი ისევ იმ თეთრ კიბეზე იდგა, მისი თეთრი შარვალი და თეთრი ფეხსაცმელი სიბნელეს ანათებდა, გეგონებოდა, ცაშია გამოკიდებულიო, მანჩინჯამ გრილი ხელი გამომიწოდა, კისერზე ჩამომეუიდა და მითხრა, რომ ეს მოხუცი ბატონი მისი უკანასკნელი საყვარელია, რომ უკანასკნელი რგოლია იმ კაცების ჯაჭვეში, რომლებთანაც ოდესმე რამე საერთო ჰქონია, რომ ეს მისი საყვარელია, რომელსაც იგი უკვე მხოლოდ და მხოლოდ სულით უყვარს, სამაგიეროდ კი მის ქანდაკებას თლის, რომლითაც სიცოცხლეშივე დატებება ამ ბალში და რომ ეს ანგელოზი მისი გარდაცვალების შემდეგ მის საფლავზე დაიდგმება და კუბოს პრესპაპიესავით დააწვება. და სანამ მოხუცი ხელოვანი ბადრი მთვარის შუქში, რომელიც ცაზე ამოგორებულიყო და მოქანდაკის საჭრეთელს გზას უნათებდა, სახის ზუსტი გამომეტყველებისთვის იბრძოდა, მანჩინჯამ მთელი თავისი ვილა მომატარა, სარდაფიდან სხვენამდე დამათვალიერებინა და თან ჩუმი ხმით მიყვებოდა, როგორ გამოეცხადა ანგელოზი, რომელსაც დაუჯერა, უკანასკნელი ფულით ტყეში ნაკვეთი იყიდა და მიწის მთხელი მოხიბლა, რომელმაც სახლის საძირკველი გაუთხარა და კარავში ერთად ეძინათ ხოლმე, მერე მას ზურგი აქცია და კალატოზი მოხიბლა, კალატოზსაც ეძინა მასთან კარავში, სიყვარულს ეძლეოდნენ და მას სახლის კედლები ამოუყვანა, შემდეგ მანჩინჯამ ხურო მოხიბლა, რომელმაც ახალაშენებულ სახლში ხის სამუშაო შეასრულა და ლამლა-მობით ქალი მასთან ერთად იწვა ოთახში, მერე მასაც აქცია ზურგი მანჩინამ და მეთუნუქე მოხიბლა, და იმასაც იმავე საწოლში ეძინა, რომელშიც ხურო იწვა ხოლმე და მეთუნუქემ მთელი სამუშაო შეასრულა, რათა შემდეგ ქალს მისთვისაც ექცია ზურგი და სახურავის მხურავი მოეხიბლა, რომელიც მის საწოლში იწვა და თან სახლი ში. ფერით გადაუხურა, მერე მანჩინჯამ მასაც აქცია ზურგი და მებათო ქაშე მოხიბლა, რომელმაც კედლები და ჭერი შეუბათქაშა, სანაცვლოდ კი ერთად ეძინათ, მერე კი მასაც აქცია მანჩინამ ზურგი და დურგა.

ლი მოხიბლა, რომელმაც ავეჯი დაუმზადა, და აი ასე, ლოგინში სიყვარულობით მიზანდასახულად აიშენა მანჩინკამ ეს ვილა და ბოლოს ხელოვანი მოხიბლა, რომელსაც იგი პლატონურად უყვარდა და ღმერთის მაგივრად თვითონ აქანდაკებდა მანჩინას ანგელოზად. აი ასე დავბრუნდით იმავე ადგილას, საიდანაც დავიწყეთ, ნრე შემოვუარეთ მანჩინას ცხოვრებას და დავინახეთ, რომ თეთრი ფეხსაცმელი და თეთრი შარვალი კიბიდან ჩამოდიოდა, ლია ცისფერი ხალათი კი ამ დროს მთვარით განათებულ ღამეს ერწყმოდა, თითქოს ციდან დაეშვაო, ისე შეეხო თეთრი ფეხსაცმელი მიწას, ჭალარა კაცმა ხელი გამომინოდა და მითხრა, რომ მანჩინა მას ყველაფერს მოუყვა ჩემ შესახებ, რომ მანჩინა მისი მუზაა, რომ მანჩინამ ის ნაყოფიერი გახადა და ამიტომაა, რომ უზენაესი ძალების შემწეობით ახლა შეუძლია, მანჩინა გიგანტური ნაზი ანგელოზივით გამოაქანდაკოს... კლანოვიცედან უკანასკნელ მატარებელს გამოვყევი, უგონოდ მთვრალი გაუხდელად დავწერი ლოგინზე, ბალდახინის ქვეშ, რომელზეც ორი ტონა წიგნები იყო შემოწყობილი, ვინეჟი და ვხედავდი, რომ მანჩინა თავისდა უნებურად იქცა იმად, ვინც არც კი დასიზმრებია ცხოვრებაში, რომ მანჩინამ ყველაზე მეტს მიაღწია იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც როდისმე შევხვედრივარ, მაშინ როცა ჩემ წინააღმდეგ, რომელიც განუწყვეტლივ ვკითხულობდი და წიგნებში ლვთაებრივ მინიშნებებს ვეძებდი, წიგნებმა შეთქმულება მოაწყვეს და ერთი პატარა მინიშნებაც კი არ მიმიღია მაღლიდან, მანჩინკა კი, რომელიც უერ იტანდა წიგნებს, იქცა იმად, რაც ისედაც იყო, იქცა ისეთად, როგორებზეც წიგნებს წერენ, მეტიც – ცაში აიჭრა თავისი ქვის ფრთებით და ჩემი წამოსვლის წინ მთვარის შუქმოფენილი ფრთები ამპირის სტილის სასახლის ფანჯრებივით ანათებდნენ ღამეში და ამ ფრთებით მანჩინამ შორს მოიტოვა ჩვენი Iove Istony თავისი ბაფთებით, ლენტებითა და განავლით, რომელიც ოქროს მწვერვალის ფერთობიდან წამოიღო და სასტუმრო „რენერის“ დამსვენებლებს ჩამოუტარა წინ თხილამურებით.

ოცდათხუთმეტი წელი ვწნებდი ძველ ქალალდს ჰიდრავლიკური წნებით, ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში მეგონა, რომ სულ ისე ვიმუშავებდი, როგორც ახლა ვმუშაობ, რომ ეს წნები ჩემთან ერთად გავიდოდა პენსიაზე და მიუხედავად ამისა, ბუბნის წნების ნახვიდან მესამე დღეს რეალობად იქცა ის, რაც სრულიად განსხვავდებოდა ჩემი ოცნებებისგან. სამსახურში რომ მივედი, იქ თრი ახალგაზრდა დამხვდა, ვიცანი, სოციალისტური შრომის ბრიგადიდან იყვნენ, ბეისბოლის მოთამაშეებივით ნარინჯისფერი ხელთათმანები ეცვათ, ნარინჯისფერი ამერიკული კეპები ეხურათ და სამუშაო შარვლები მწვანე სვიტრებზე გადატარებული ბრეტელებით მეტადამდე ჰქონდათ ამონეული. შეფრთხებული გამომეტყველებით ისინი სარდაფები ჩაიყვანა, ჩემი წნები აჩვენა და ახალგაზრდებმაც მყისვე ისე იგრძნეს თავი, როგორც საკუთარ სახლში, მაგიდას სუფთა ქალალდი გადააფარეს და რძის ბოთლები შემოდგეს ზედ, მე კი ამ დროს, მორჩილი და განადგურებული, იქ ვე ვიდექი, გაბრუებული ვიყავი და მთელი სხეულითა და სულით ვგრძნობდი, რომ ველარასდროს შევძლებდი შეგუებას, რომ იმავე სიტუაციაში აღმოვჩნდი, როგორშიც ზოგიერთი მონასტრის ბერი, როცა შეიტყო, რომ კოპერნიკმა საყოველთაოდ მიღებულისგას

განსხვავებული ახალი კოსმოსური კანონები აღმოაჩინა, რომ ყველაფერი პირიქითაა და დედამიწა. არ არის სამყაროს ცენტრი, ჰოდა, იმ ბერებმა ჯგუფური თვითმევლელობით დაასრულეს სიცოცხლე, რადგან არ შეეძლოთ იმისგან განსხვავებული სამყაროს ნარმოდგენა, რომელიც და რომლითაც აქამდე ცხოვრობდნენ. მე კი შეფრთხოების დამავალა, ეზოში ქალალდი მომენტებით ან ბრიგადას მივხმარებოდი, ან სულაც შემეძლო არაფერი მეკეთებინა, რადგან შემდეგი კვირიდან გამომცემლობა „მელანტრიხში“ გადავდიოდი და იქ ჩემი ერთადერთი საქმე სუფთა ქალალდის შეფუთვა იქნებოდა. ამის გაგონებაზე თვალები ამიჭრელდა, გამოდიოდა, რომ მე, რომელიც ოცდათხუთმეტი წელია, მუყაოსა და ძველ ქალალდს ვწნებ, მე, რომელსაც არ შემეძლო ცხოვრება იმ სიურპრიზისა და ჯილდოს მოლოდინის გარეშე, რომ საზიზლარი მაკულატურიდან ყოველ წამს შეიძლება მშვენიერმა წიგნმა ამოყვინთოს, უნდა წავსულიყავი და არაადამიანურად თეთრი ქალალდი მეფუთა. ამ ცნობისგან ფეხები მომეკვეთა, დამდუღრულივით ვიყავი, სარდაფის კიბის პირველ საფეხურზე დავეშვი, მუხლებზე დაყრდნობილი ხელები უძლურად დამეკიდა ჰაერში, გაოგნებული ლიმილით ვუყურებდი იმ თრ ახალგაზრდას, რომლებსაც არავითარი ბრალი არ მიუძლოდათ მომხდარში, მათ სპალენას ქუჩაზე მაკულატურის დასაწეხად გამოცხადება დაავალეს, ჰოდა, თავის საქმეს აკეთებდნენ, ეს მათი ლუკმაპური იყო, მათი სამსახური, ვუყურებდი, როგორ ყრიდნენ ფინლებით ქალალდს წნეხის კალათში, როგორ აჭერდნენ თითებს წითელ და მწვანე ლილაკებს და თავს იმ სულელური იმედით ვიტყუებდი, რომ ჩემი წნეხი გაფიცვას გამოაცხადებდა, ავადმყოფობას მოიმიზეზებდა, მოაჩვენებდა, თითქოს ბორბლები გაეჭედა და ამძრავები გაუფუჭდა, მაგრამ არა, ჰიდრავლიკამაც მიღალატა, სულ სხეაგვარად მუშაობდა, ისე მუშაობდა, როგორც ახალგაზრდობისას, მთელი თავისი ძალების მოქრებით გუგუნებდა, მეტიც, როცა ჸირველი შეკვრის დაწნეხას მორჩა, ზარიც აანკრიალა და ამ პირველი შეკვრიდან მოყოლებული ყოველ ჯერზე რეკავდა ზარს, თითქოს დამცინოდა, თითქოს იმის ჩვენება უნდოდა, რომ მხოლოდ

ახლა, სოციალისტური შრომის ბრიგადის გვერდით მოახერხა მთელი თავისი შესაძლებლობებისა და ნიჭის გამოვლენა. და მეც ვალიარებდი, რომ ახალგაზრდები მშვენივრად აუდიოდნენ საქმეს, იმ ორი საათის განმავლობაში, რაც სარდაფში იმყოფებოდნენ, ისე ააწყვეს საქმე, გეგონებოდა, უკვე წლებია, აქ მუშაობენო, გაინანილეს სამუშაო, ერთ-ერთი ჭერამდე აკოკოლავებულ ქალალდის, გროვაზე აძვრა და კაუჭიანი ჯობით პირდაპირ წნების კალათში ყრიდა ქალალდს, ერთ საათში ხუთი ახალი შეკვრის გაეთება მოასწრეს, შეფი კი წამდაუნუმ უახლოვდებოდა ეზოში გაეთებულ ხერელს, ჩვენკენ იხრებოდა და თავისი მსუქანი თათებით თეატრალურად უკრავდა ჭაშს, გამომხედავდა ხოლმე და დაიძახებდა: „ბრავო, ბრავისიმო, ყოჩალ!“. მე კი ამ დროს თვალებს ვხუჭავდი და იქიდან წამოსვლა მინდებოდა, მაგრამ ფეხებს ვეღარ ვგრძნობდი, დამბლა დამეცა სირცხვილისაგან და არც წნებმა დამინდო იმ თავისი ზარის საზიზლარი წერიალით, რომელიც იტყობინებოდა, რომ მალე წნევა მაქსიმუმს მიაღწევდა და მანქანა მუშაობას დაასრულებდა. ისევ აბრჭყვიალდა ჰაერში ფინლები და თვალი მოვკარი, როგორ მოისროლეს წნების კალათში წიგნი, ავდექი, ამოვილე წიგნი, პერანგზე შევიწმინდე, გულში ჩავიკარი და წამით შევყოვნდი ამ პოზაში, მართალია, წიგნი ცივი იყო, მაგრამ მათბობდა, ისე ვიხუჭებდი, როგორც დედა – შვილს, როგორც იან ჰუსი, რომლის ქანდაკებაც კიოლნის მოედანზე იდგა, იხუჭებს ბიბლიას ისეთი ძალით, რომ წიგნი ნახევრად სხეულში აქვს შეჭრილი, ვუყურებდი იმ ორ ახალგაზრდას, რომლებიც ვერც კი მამჩნევდნენ და მათენ გავიშვირე წიგნი, იქნებ შეამჩნიონ-მეთქი, მათ კი ისე შეხედეს, კი თომც არაფერიაო, ბოლოს მოვიკრიბე ძალა და წიგნის ყდას დაუხედე. მართლაც, არაჩვეულებრივი წიგნი აღმოჩნდა, ჩარლზ ლის-დბერგის წიგნი იყო იმაზე, როგორ გადაიფრინა მთელი ოკეანი პირველმა და მაშინვე გამახსენდა ფრანტიშეკ შტურმი, წმინდა სამების ეკლესიის დარაჯი, რომელიც საპაერო ნაოსნობის შესახებ წიგნებსა და უურნალებს აგროვებდა, რადგან სწამდა, რომ იესოს წინამორბედი იკაროსი იყო, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ იკარო.

სი ციდან გააძევეს და ზღვაში ჩაუძახეს, იესო კი ას ოთხმოცი ტო-
ნა გამწევი ძალის მქონე რაკეტა „ატლასის“ საშუალებით დედამი-
წის ახლო ორბიტაზე გაიყვანეს, სადაც დღემდე სუფევს. დღეს
უკანასკნელად წავუღებ ფრანგიშეეს მის მიერობიოტიურ კაბი-
ნეტში წიგნს იმის შესახებ, როგორ გადაიფრინა ლინდბერგმა ოკეა-
ნე და ჩემი პატარ-პატარა სიხარულებიც ამით დასრულდება-მეთ-
ქი, გავიფიქრე. გამოვლასლასდი ეზოში, იქ კი შეფი ახალგაზრდა
გამყიდველ ჰედვიჩიას სასწორზე წონიდა, როგორც ყოველთვის,
ჰედვიჩიას ჯერ დაწნეხილ შეკვრასთან ერთად წონიდა, შემდეგ კი
მარტოს, ასეთი იყო შეფი, როგორც მე მიყვარდა წიგნები, ისე უყ-
ვარდა შეფი ახალგაზრდა გოგონები, ყველას, ზუსტად ისე, რო-
გორც ჰედვიჩიას, ჯერ მაკულატურის შეკვრასთან ერთად წონიდა,
შემდეგ კი მარტოს, ყოველი გოგონას შესახებ ჩანაწერებს ანარ-
მოებდა, მათ წონას იწერდა და თან ისე ეხვანცალებოდა, რომ ირ-
გვლივ ვერავის ველარ ამჩნევდა, ნელზე ხვევდა ხელს და სასწორზე
ისე აყენებდა, გეგონებოდა, ფოტო უნდა გადაულოსო, და ყოველ
მათგანს სათითაოდ უხსნიდა ფირმა „ბერკელის“ სასწორის მუშაო-
ბის პრინციპს და ამ დროს ხან თეძოზე ადებდა ხელს, ხან მკერდზე
და როცა ციფერბლატს უჩვენებდა გოგონებს, ყოველთვის ისე
დგებოდა, როგორც ახლა დადგა ჰედვიჩიასთან ერთად, ხელები
თეძოებზე დააწყო, უკნიდან მოექცა და თავი მის კულულებში ჩარ-
გო, ყნოსავდა და ტკბებოდა, ნიკაპი გოგონას მხარზე ჩამოედო და
ისე უთითებდა ციფერბლატზე, შემდეგ ძირს ჩამოხტა, სასწორის
სახელური გადასწია და სიხარულით მიულოცა ჰედვიჩიას, რომ მას
წონაში არ მოუმატებია და ბლოკნოტში ჩაინერა მისი ზუსტი წონა,
შემდეგ კი ორივე ხელით ეხმარებოდა სასწორიდან ჩამოსვლაში,
ნელზე ხვევდა ხელებს და ყვიროდა: „პოპლაააა!“, ისე ეხმარებოდა,
ზეგონებოდა, მისადგმელი კიბიდან ჩამოხსნაო, თან მისი მკერდის-
კენ ხრიდა თავს და ყნოსავდა და ბოლოს მოითხოვა, რომ ახლა,
პირიქით, ჰედვიჩიას აენონა შეფი და სასწორზე შემდგარი პატივ-
უმული შეფი სიხარულით სახლის სახურავებს აჰყვიროდა და ალ-
ფრთოვანებით ღრიალებდა, როგორც ბებერი ირემი, რომელმაც

ახალგაზრდა ფურირემი შენიშნა, ჰედვიჩიას კი მისი წონა იმ კარის ჩარჩოზე უნდა დაენერა, რომელსაც არსად არ მივყავდით. ეზო გადავიარე და თაღიდან პირდაპირ მზეზე გავედი, მაგრამ ჩემთვის დღეს ყველგან მოლრუბლული იყო; როცა ეკლესიას მოვუახლოვდი, ფრანტა შტურმი ქეჩით საკურთხევლის გვერდითა ნაწილს ისე წმენდდა, როგორც რაღაც მოწყობილობას და სრულებითაც არ მალავდა, რომ ფიქრებით სადღაც სხვაგან დაფრინავდა. ცხოვრებაშ მასაც კარგად გაუმრუდა ბედი. ფრანტიშეე შტურმის გატაცება გაზეთები იყო, წერდა პატარა საგაზეთო სტატიებს მოტეხილი ფეხების შესახებ და განსაკუთრებით უყვარდა ორშაბათის ნომრისთვის წერა იმ ჩხუბებისა და სკანდალების შესახებ, რომლებიც თეთრი ციებ-ცხელებით და მოჩხუბარის საავადმყოფოში ან პოლიციის გამოსაფხიზლებელში წაყვანით დასრულდა, სტატიებს „ჩეხეთის სიტყვაში“ და „ვეჩერნიჩექში“ წერდა და ამ ჩხუბებზე წერის გარდა სხვა არაფრის კეთება არ უნდოდა. მამამისი ეკლესიის დარაჯი იყო და როცა ის გარდაიცვალა, ფრანტამ გააგრძელა მისი საქმიანობა, დარაჯად მუშაობდა, მაგრამ მთელი გულით მხოლოდ მაშინ ხარობდა, როცა სტარეე მესტოში და ნოვეე მესტოში მოხდარი ლოთების ჩხუბებზე წერდა და როგორც კი ცოტა დროს მოიხელთებდა, მღვდლის სახლში მისთვის გამოყოფილ ოთახში გარბოდა, ხისგან გამოთლილ ეპისკოპოსის სავარძელში ჯდებოდა, იღებდა წიგნს ავიაციის შესახებ და შთაგონებით კითხულობდა უახლეს თვითმფრინავებსა და მათ კონსტრუქტორებზე. ავიაციის შესახებ ორასზე მეტი წიგნი ექნებოდა და როცა ჩემს სარდაფში ნაპოვნ წიგნს ვაძლევდი, ფრანტიშეკმა ხელები გაიწმინდა და თან ისე იღიმებოდა, რომ მივხვდი – ეს წიგნი თავის მიკრობიოტიკურ ბიბლიოთეკაში არ ჰქონდა, ისე შემომხედა, ვიგრძენი, მზერით გულში როგორ ჩამიხუტა, თვალებიც კი აუცრემლიანდა გულაჩუ-ყებულს, მე კი იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩემი სარდაფიდან მომდინარე პატარ-პატარა სიხარულების მშვენიერი ხანა დასრულდა და ფრანტიშეე შტურმს ამის მერე ველარ გავახარებდი. ასე ვიდექით გვერდითა საკურთხევლის თავზე ჯაჭვით ჩამოეიდებული ორი

უზარმაზარი ანგელოზის ფრთების ქვეშ, რომ კარი უხმოდ გაიღო და ჩუმი ნაბიჯით მღვდელი მოგვიახლოვდა, რომელმაც ფრანგი-შეკა თვიციალური ტონით შეახსენა, რომ მინისტრანტის კაბა ჩაეცვა და საზიარებლად წასულიყვნენ. მე კი დილის მზით განათებულ ქუჩაში გავედი, წმინდა თადეოსის ქანდაკების წინ სალოცავ სკამთან ცოტა ხნით შევყოვნდი და უცებ საკუთარი თავი დავინახე, დავინახე, როგორ ვლოცულობდი ოდესლაც აქ, თადეოსს ვეხვენებოდი ხოლმე, მალლა ცაში მოლაპარაკებოდა, რომ საზიზლარი მანქანები, რომლებსაც სასაკლაოებიდან და ხორცის მაღაზიებიდან სისხლიანი ქალალდი მოჰქონდათ ჩემს სარდაფუში, იმ თავის ტვირთიანად გზიდან პირდაპირ ვლტავაში გადაფრენილიყვნენ, მერე ისიც გამახსენდა, რომ ახალგაზრდობაში, როცა ჯერ კიდევ მართობდა მსგავსი ანცობა, სარდაფუში ნაპოვნ ვარსკვლავებს ვიბნევდი ქუდზე და ისე ვიჩოქებდი, თან მესმოდა, როგორ ჩამივლიდნენ ხოლმე სახლების ყოფილი მეპატრონები და ხმამალლა ამბობდნენ: „იმასაც მოვესწარით, რომ მუშებიც კი ჯვარცმისკენ იწევენ...“. ასე ვიდექი თვალებზე ჩამოფხატული შლაპით და უცებ აზრი დამებადა, გადავწყვიტე დამეჩოქა, უკანასენელად მეცადა, მელოცა და წმინდა თადეოსისათვის სასწაული გამომეთხოვა, მხოლოდ სასწაული თუ დამებმარებოდა და დამაბრუნებდა ჩემს წნეხთან, ჩემს სარდაფთან და ჩემს წიგნებთან, რომელთა გარეშეც ცხოვრება არ შემეძლო, და უკვე უნდა დამეჩოქა, რომ მოულოდნელად ესთეტიკის პროფესორი დამეჯახა, მისი სათვალის მინები დიდი საფერფლებივით ლაპლაპებდნენ მზეზე, თავგზააბნეული იდგა, როგორც ყოველთვის, პორტფელი ეჭირა ხელში და როგორც ყოველთვის, როცა შლაპით მხედავდა, მეითხა: „ახალგაზრდა იქ არის?“. დავუიქრდი და ვუპასუხე, არა-მეთქი. „ღმერთო, ავად ხომ არ გახდა?“ - შეეშინდა პროფესორს. არა, ავად არ არის, ვუპასუხე, მაგრამ მოდი გულახდილად გეტყვით, მორჩა რუტის სტატიები, დასრულდა ენგელმიულერის რეცენზიები... ვუთხარი ეს და შლაპა მოვიხადე, ესთეტიკის პროფესორი ისე შეშინდა, რომ ცოტაც და მუხლები მოეკვეთებოდა, თითო გამოიშვირა ჩემკენ და ნამოიძახა: „თქვენ

ხართ ის ბებერი და ის ახალგაზრდაც თქვენ ხართ, არა?". შლაპა დავიხურე, თვალებზე ჩამოვიფხატე და მნარედ ჩავილაპარაკე: „კი, მე ვარ და მორჩა, აღარ იქნება ძველი „ეროვნული პოლიტიკა“ და „ეროვნული გაზეთი“, გამომაგდეს სარდაფიდან, გესმით?“ და გავუყევი ქუჩას ჩვენი ეზოს შესასვლელისკენ, სადაც ოცდათხუთმეტი წელი დავდიოდი. პროფესორი ჩემ გარშემო დარბოდა, სახელოზე მექაჩებოდა და ხელში ათკრონიანს მიდებდა, მერე კი ხუთკრინიანიც დამიმატა, შევხედე იმ ფულს და გამნარებულმა ვუთხარი: „უკეთ რომ ვეძებო, არა?“. პროფესორმა მხარში ჩამავლო ხელი, ათი წომერი სათვალიდან თვალები ცხენივით დიდი მოუჩანდა, თავს აქიცინებდა და ბურტყუნებდა: „ჰო, უკეთ რომ ეძებოთ“. „უკეთ რომ ვეძებო, მაგრამ რა?“ – ვკითხე, ის კი საბოლოოდ დაიბნა: „რაღაც სხვა ბედნიერება...“ – ჩაიჩურჩულა, თავი დამიკრა, უკან-უკან დაიხია, ბოლოს შეტრიალდა და როგორც უბედური შემთხვევის ადგილს, ისე გამეცალა. როცა შესასვლელისკენ შევუხვიე და გავიგონე, რა მხიარულად ანკარუნებდა ზარს ჩემი ჰიდრავლიკური წნეხი, როგორც ქორწილიდან მომავალი შეზარხოშებული სტუმრებით სავსე მარხილი, გზის გაგრძელება ველარ შევძელი, ჩემი წნეხის დანახვა აღარ შემეძლო, შევტრიალდი და ტროტუარზე ავედი, მზე თვალებს მჭრიდა, მე კი ვიდექი და არ ვიცოდი, საით წავსულიყავი, ამ მღელვარებაში ერთი იმ წიგნთაგანიც კი ვერ დამეხმარა, რომლებსაც ერთგულებას ვეფიცებოდი, ერთხანს ასე ვიდექი, მერე კი წმინდა თადეოსისკენ წავბოდიალდი, დავენარცხე სალოცავ სკამზე, თავი ხელებში ჩავრგე და მგონი, ჩამეძინა, შესაძლოა, ვყვინთავდი, შესაძლოა, ზმანება იყო და უბრალოდ შევიძალა იმ უსამართლობისგან, რომლის მსხვერპლიც აღმოვჩნდი, ხელებს თვალებზე ვიჭერდი და ვხედავდი, რომ ჩემი წნეხი ყველაზე გიგანტურ წნეხად იქცა, ვხედავდი, იმხელა იყო, რომ თავის ოთხ კედელს შორის მთელ უზარმაზარ პრალას იტევდა, ვხედავდი, რომ თითო დავაჭირე მწვანე ღილაკს და გვერდითი კედლები ამოძრავდა, წყალსაცავის კაშხალივით დიდი კედლები, ვხედავდი, როგორ მოიცელა პირველი სახლები, წნეხის კედლები კი ჩემი სარდაფის თაგ-

ვებივით თამაშ-თამაშით მიიჩნევდნენ ნინ, მიიჩნევდნენ და მიითრევ-დნენ ყველაფერს, რაც გზად ხედებოდათ, ზევიდან დავყურებდი და ვხედავდი, რომ სანამ პრალის ცენტრში ცხოვრება თავისი ჩვეული რიტმით გრძელდებოდა, ჩემი გიგანტური წერტილი კედლები ანგრევ-დნენ და აცამტვერებდნენ ქალაქის გარეუბნებს, კედლების ერ-თდროული მოძრაობით გამოწვეული ნგრევის ჭალა ქალაქის ცენტრისკენ მიიჩნევდა, ვხედავდი სტადიონებს, ეკლესიებს, დანესე-ბულებებს, ვხედავდი, როგორ ცამტვერდებოდა პატარა თუ დიდი ქუჩები, ჩემი წერტილი კედლებს ერთი პატარა თაგვიც კი ვერ გაურ-ბოდა, ვხედავდი, როგორ ინგრეოდა პრადი და როგორ იშლებოდა ეროვნული მუზეუმის ოქროს გუმბათი, როგორ ზეირთდებოდა ვლტავის წყალი, მაგრამ წერტილი პიდრავლიკის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ვერაფერი უწევდა ჩემს სარდაფში ეზოდან ჩამოყრილ მაკულატურაზე მეტ წინააღმდეგობას, ვხედავდი, როგორ აჩქარ-დნენ წერტილი კედლები და ყველაფერი, რაც უკვე დაანგრიეს, ნინ გაათრიეს, ვხედავდი საკუთარ თავს, როგორ მეცემოდა წმინდა სა-მების ეკლესიის ნანგრევები, ვხედავდი, რომ უკვე ველარაფერს ვხედავ, ვხედავდი, რომ გაჭყლეტილი ვარ და აგურებთან, ხის კო-ჭყლებთან და სალოცავ სკამთან ერთ მთლიან მასას ვემნი და ამის შემდეგ მხოლოდ ხმებილა მესმოდა, მესმოდა ტრამვაისა და მანქა-ნების ლითონის ლრჭიალი, წერტილი კედლები კი სულ უფრო უახ-ლოვდებოდა ერთმანეთს, მათ შორის ჯერ კიდევ საკმარისად იყო თავისუფალი ადგილი, ნანგრევების სიბნელეში საკმარისად იყო ჰაერი, რომელიც გიგანტური წერტილი კედლებით ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრული, ხალხის ვაებას შერეული სტვენით ზევით მი-ინევდა, თვალები გავახილე და მოტიტვლებული უდაბნოს შუა-გულში უზარმაზარი შეკვრა დავინახე, ხუთასმეტრიანი ან იქნებ უფრო დიდი წინაების მქონე დაწნებილი კუბი, მთელ პრალას კუ-ბად დაწნებილს ვხედავდი, დაწნებილს ჩემთან, მთელ ჩემს აზრებ-თან და იმ ტექსტებთან ერთად, რომლებიც ოდესმე წამიკითხავს, შთელ ჩემს ცხოვრებასთან ერთად დაწნებილს, და ეს ყველაფერი იმ პატარა თაგვისოდენა იყო, რომელსაც სოციალისტური შრომის

ბრიგადის ორი მუშა მაკულატურასთან ერთად წნებდა ჩემს სარდაფში... გაკვირვებულმა გავახილე თვალები, ისევ წმინდა თადეოსის ქანდაკების ქვეშ სალოცავ სკამზე ვიყავი დაჩოქილი, ნამით გაშტერებული ვუყურებდი რაღაც ნაჩხაპნს საყრდენზე, შემდეგ წამოვდექი და ტრამვაის წითელ ზოლებსა და მანქანებს დავუწყე თვალიერება, გამვლელების უნყვეტ ნაკადს ვუყურებდი, სპალენას ქუჩაზე ხალხის ნაკადი ხომ არასდროს არ წყდებოდა, ან ეროვნული გამზირიდან კარლაკისკენ მიიჩქაროდნენ, ან საწინააღმდეგო მიმართულებით, ტროტუარები კი ვიწრო იყო და ამიტომაც არ ჩერდებოდნენ, თან მეჯახებოდნენ სიჩქარეში, მღვდლის სახლს მიყრდნობილი ვიდექი და გაშტერებული ვიყურებოდი ირგვლივ, ამ დროს სახლიდან ფრანტიშეკ შტურმი გამოვიდა, ოფიციალურად იყო გამოწყობილი, ჰალსტუხიც კი ეკეთა, საზეიმოდ ჩამოიარა კიბე, ალბათ, როგორც ყოველთვის, სარდაფისკენ წავიდოდა, მაგრამ ამ დროს დამინახა, მომიახლოვდა, როგორც ყოველთვის, თავი დამიკრა და მკითხა: „ბატონი ჰანტა ბრძანდებით?“. მეც, როგორც ყოველთვის, სარდაფში იქნებოდა ეს თუ ეზოში, ვუპასუხე: „გახლავართ“. ფრანტიშეკ შტურმმა კონვერტი გადმომცა, თავი დამიკრა და მღვდლის სახლში შებრუნდა, ტანსაცმელი უნდა გამოეცვალა სასწრაფოდ, იმიტომ რომ დღეს ისევე, როგორც ყოველთვის, როცა მისი ბიბლიოთეკისათვის რამე საინტერესო წიგნი მიმქონდა, ფრანტიშეკ შტურმი რედინგოტში გამოწყობილი გამომეცხადა, კაუჩუკის საყელოზე კომბოსტოს ფოთლის მსგავსი ჰალსტუხი ეკეთა, რათა, როგორც ყოველთვის, ბარათის გადმოცემის სადლესასწაულო ცერემონია ჩაეტარებინა. ბარათს იქვე ვხსნიდი ხოლმე, ამჯერადაც თეთრ ქალალდზე გამოყვანილი წარწერა „ფრანტიშეკ შტურმის მიკრობიოტიკის კაბინეტი“ მხატვრულად იყო გაფორმებული, შემდეგ კი ტექსტი მოსდევდა: „პატივცემულო ბატონო, მიკრობიოტიკის კაბინეტის სახელით გვინდა გამოხატოთ დიდი მადლიერება ჩარლზ ლინდბერგის წიგნისათვის „როგორ გადავიფრინე ოქეანე“. ეს წიგნი უდავოდ გაამდიდრებს ჩვენს ბიბლიოთეკას და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც ვისარგებლებთ თქვენი კეთილ-

განწყობით. მიურობიოტიკის კაბინეტი... ფრანტიშექ შტურმი..." და მრგვალი ბეჭედი, ანუ წრიულად დაწერილი: „ფრანტიშექ შტურმის მიურობიოტიკის კაბინეტი“. ჩაფიქრებული მივაბიჯებდი კარლაკზე, როგორც ყოველთვის, დავხიე ეს ბარათი, ეს მადლიერების გამოხატულება, რომელიც, ვიცოდი, უკანასკნელი იყო, იმიტომ რომ პატარ-პატარა სიხარულების დასასრული სარდაფიდან ზარის წერიალით მაუნყა ჩემმა წნეხმა, ჩემმა განთქმულმა წნეხმა, რომელმაც მიღალატა. უმნეოდ ვიდექი კარლაკზე და ეკლესიის ფასადზე აღმართულ იგნატიუს ლოიოლას გაბრნყინებულ ქანდაკებას ვუყურებდი, მთელი სხეულიდან ნათებას აფრქვევდა, საკუთარი ეკლესიის ფასადზე იდგა და მთელი მისი ფიგურა მბრნყინავი ოქროს საყვირებით იყო გარშემორტყმული... თუმცა მე ნათების მაგივრად აყუდებულ ოქროს აბაზანას ვხედავდი, რომელშიც, ფეხზე მდგომი, იწვა სენეკა მას შემდეგ, რაც დანით გადაიხსნა ვენები თავისი აზრების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, რომ ტყუილად არ დაუწერია წიგნი, რომელიც ასე მიყვარდა... „სულიერი სიმშვიდის შესახებ“.

..

ავტომატ¹⁷ „შავი ლუდსახარშის“ დახლს მიყრდნობილი ჩემს საყვარელ პოპოვიცეს „ათიანს“¹⁸ ვსვამდი, თან საკუთარ თავს ვეუბნებოდი, მეგობარო, ახლა ყველაფერს თვითონ უნდა მიხედო, ხალხში გასვლაც თვითონ უნდა დააძალო თავს, თეატრალური წარმოდგენებიც შენვე უნდა უმართო საკუთარ თავს და იმდენ ხანს იყო სცენაზე, სანამ დარბაზს არ დატოვებ, რადგან აქედან მოყოლებული ცხოვრება მელანქოლიურ წრეებს შემონერს და ნინ რომ ნახვალ, იმავე დროს უკან დაბრუნდები, ჰო, progressus ad originem regressum ad futurum-ია, შენი ტვინი სხვა არაფერია, თუ არა ჰიდრავლიკური წნებით დაწნებილი აზრები. მზეს მიფიცხებული ჩემს „ათიანს“ ვსვამდი და კარლაკზე მოსიარულე ხალხს ვუყურებდი, სულ ახალგაზრდები და სტუდენტები დადიოდნენ, ყოველი ახალგაზრდა შუბლზე ახალგაზრდა ვარსკვლავს დაატა-

¹⁷ ავტომატი – ჩეხურ უარგონზე ყველაზე იაფთასიანი ლუდხანა, რომელშიც შხოლოდ დასადგომი ადგილებია და ძირითადად ლოთები ან უსახლეაროები დაიღრებიან.

¹⁸ პოპოვიცეს ათიანი – პოპოვიცეში მოხარმული ლუდი, რომლის სიმკერივის მაჩვენებელიც არის 10%. ლუდის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია მისი სიმკერივე, ამიტომ მასზე საუბრისას ხშირად აქცენტს ამ მახასიათებელზე აკეთებენ და არა ლუდის დასახელებაზე.

რებდა, როგორც ნიშანს იმისა, რომ თითოეულში გენიოსის ჩანა-
სახია, ვხედავდი, როგორ იფრქვევა მათი თვალებიდან ძალა, ის
ძალა, რომელსაც მეც ვაფრქვევდი იმ წუთამდე, სანამ შეფრთმა არ
მითხვა, უქნარა ხარო. დახლს მიყრდნობილი ვიდექი, ტრამვაები
ზევით-ქვევით დაქროდნენ, მსიამოვნებდა ამ წითელი გაელვებე-
ბის ყურება, დრო საკმარისად მქონდა, შემეძლო საავადმყოფო
„ნა ფრანტიშქუ“ მომენახულებინა, გაგონილი მქონდა, თითქოს
საავადმყოფოს პირველ სართულზე ამავალი კიბე იმ კოჭებისა და
ფიცრებისგან ააგეს, რომლებისგანაც სტარომესტსკეე ნამნესტი-
ზე ჩეხი პანების სიკედილით დასასჯელად¹⁹ ეშაფოტი იყო ნამოჭი-
მული და რომელიც შემდეგ ფრანცისკელებმა შეისყიდეს, არა,
მირჩევნია, სადმე სმიხოვისკენ გავიარო, იქ არისტოკრატების
ბალში ერთი პავილიონია, რომლის იატაკშიც ღილაკია დატანებუ-
ლი და ღილაკს რომ დააბიჯებ, კედელი ინევა და ცვილის ფიგურა
გამოდის იქიდან, პეტროგრადის კუნსტკამერის მსგავსად, როცა
იქ ერთმა ექვსთითა გონჯმა მთვარიან ღამეს ასეთ ღილაკს დაა-
ბიჯა ფეხი, კედლიდან ცვილის მეფე გამოვიდა და გონჯს დაემუქ-
რა, როგორც იური ტინიანოვმა აღწერა ეს მშვენივრად თავის ნა-
წარმოებში „ცვილის ფიგურა“, მაგრამ, ალბათ, მაინც არსად არ
წავალ, საკმარისია, თვალები დავხუჭო და ყველაფერი იმაზე უფ-
რო რეალურად წარმომიდგება ხოლმე თვალწინ, ვიდრე სინამდვი-
ლეშია, მირჩევნია, ვუყურო გამვლელებს, რომლებსაც სახეები ია-
უშუნას ბუჩქებს მიუგავთ, ახალგაზრდა რომ ვიყავი, მეც დიდი
წარმოდგენა მქონდა საკუთარ თავზე, ერთ დროს იმისაც კი მჯე-
როდა, რომ გავლამაზდებოდი, თუ ქრისტუშკებს, ამ ტყავის ზონ-
რებით შეკერილ და პატარა აბზინდებით განცობილ, მოდაში ახ-
ლად შემოსულ სანდლებს ვიყიდდი და იმ იასამნისფერ წინდებს
ჩავიცვამდი, დედამ რომ მომიქსოვა, და როდესაც ქვედა ლუდხა-

¹⁹ ჩეხი პანების სიკედილით დასჯა – ჰაბსბურგების ბატონობის წინააღმდეგ მიმარ-
თული აჯანყების შემდეგ პრაღაში 1621 წლის 21 ივნისს სიკედილით დასაჯეს ამ-
ბოხების 27 მონაწილე: სამი დიდგვაროვანი, შეიდი რაინდი და ჩვიდმეტი მეშჩანი.

ნასთან პაემანი დავთქვი და ეს ჩემი ქრისტუშები პირველად ჩა-
ვიცვი, მიუხედავად იმისა, რომ სამშაბათი იყო, გადავწყვიტე, შე-
მემონმებინა, ვიტრინაში ჩვენი საფეხბურთო გუნდის ახალი შე-
მადგენლობა ხომ არ გამოაკრეს. ჰოდა, გავჩერდი ვიტრინასთან,
ჯერ გასაღების ნახვრეტის ირგვლივ ლითონის ფირფიტა დავათ-
ვალიერე და მხოლოდ ამის შემდეგ მივუახლოვდი ვიტრინას და
ნინა კვირის შემადგენლობა ნავიკითხე, მერე კიდევ ერთხელ გა-
დავიკითხე, რადგან ვიგრძენი, როგორ ჩავაბიჯე იასამნისფერი
წინდითა და მარჯვენა სანდლით რაღაც დიდსა და სველში, ქვე-
ვით დასახედად ძალა რომ მომეკრიბა, კიდევ ერთხელ გადავხედე
შემადგენლობას, რომლის ბოლოშიც ჩემი გვარი ენერა და მიუხე-
დავად ამისა, როცა დაბლა დავიხედე, აღმოვაჩინე, რომ ძალლის
უზარმაზარ განავალში ვიდექი, რომელსაც ტყავის ზონრებით შე-
კერილი და პატარა აბზინდებით განყობილი სანდალი მთლიანად
დაეფარა, ჰოდა, ვიდექი და კიდევ ერთხელ ვკითხულობდი აფი-
შას, ამჯერად ძალიან ნელა, ვკითხულობდი გვარებს ერთიმეორის
მიყოლებით, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების თერთმეტივე მოთა-
მაშე ნავიკითხე, სათადარიგოებში ჩანერილი საკუთარი გვარიც
მივაყოლე, მაგრამ დაბლა რომ დავიხედე, ისევ იმ საზიზლარ ძალ-
ლის განავალში ვიდექი, ფარდულს რომ გავხედე, ჭიშკარი გაიღო
და იქიდან ჩემი გოგონა გამოვიდა, სასწრაფოდ გავიხსენი სან-
დლის შესაკრავი, ამოვაძვრინე ფეხი იასამნისფერი წინდიდან და
ეს ყველაფერი თავის თაიგულიანად ჩვენი საფეხბურთო გუნდის
ვიტრინის ქვეშ დავტოვე, მე კი სოფლის იქით მინდვრისკენ გავი-
ქიცი და იქ დავფიქრდი, შეიძლება, ეს ბედის გაფრთხილებაა-მეთ-
ქი, იმიტომ რომ უკვე მაშინ მინდოდა მაკულატურის მნენხავი
გავმხდარიყავი და ამ გზით წიგნებს დავახლოვებოდი. ლუდის ჩა-
მოსასხმელიდან მომქონდა და მომქონდა სავსე კათხები და ავტო-
მატის ლია კართან დახლს მიყრდნობილი ვსვამდი, მზეზენ თვა-
ლები მქონდა მოჭუტული და თან ვფიქრობდი, რა იქნება, კლარო-
ვი რომ მოვინახულო, იქაურ ეკლესიაში მთავარანგელოზ გაბრიე-
ლის მარმარილოს დიდებული ქანდაკება დგას, თან ზღაპრულ

სააღმსარებლოსაც ვნახავ, როგორ ცნობილია, იმ ყუთის ფიცრებისა და ძელაკებისგან ააგო ადგილობრივმა მღვდელმა, რომლითაც მთავარანგელოზ გაბრიელის მარმარილოს ქანდაკება ჩამოიტანეს იტალიიდან. ტკბილად დავხუჭე თვალები და არსადაც აღარ წავსულვარ, ვსვამდი ლუდს და საკუთარ თავს ვხედავდი, როგორ მივაბიჯებ იასამნისფერი წინდისა და სანდლების უბედური შემთხვევიდან ოცი წლის შემდეგ შტეტინის ქუჩებში, ძველმანების ბაზარს მივაღწიე და როცა ღატაკი გამყიდველების დახლებს ბოლომდე ჩავუყევი, დავინახე ადამიანი, რომელიც მარჯვენა სანდალსა და მარჯვენა იასამნისფერ წინდას ჰყიდდა, დავიფიცებდი, რომ ეს ჩემი ოცი წლის წინანდელი ქრისტუშა და იასამნისფერი წინდა იყო, თვალით განვსაზღვრე, რომ ზომაც ჩემი იყო, ორმოცდაერთი. თავგზააბნეული ვიდექი და როგორც გამოცხადებას, ისე ვუყურებდი ამ ყველაფერს, აღფრთოვანებაში მოვყავდი გამყიდველის რწმენას, რომ მოვა ვიღაც ცალფეხა და ცალ სანდალს იყიდის ცალი იასამნისფერი წინდით, გამყიდველს სჯეროდა, რომ სადღაც არსებობს ცალფეხა ინვალიდი მხოლოდ მარჯვენა ფეხით, ორმოცდაერთი ზომით, რომელიც თავისი ცალი ფეხით შტეტინში ჩამოვა იმ სანდლისა და წინდის საყიდლად, რომელიც გაალამაზებს. ამ საოცარი გამყიდველის გვერდით ქალი იდგა, რომელსაც ორი ცალი დაფნის ფოთოლი ეჭირა და ყიდდა, მე კი იქაურობას გაკვირვებული ვტოვებდი – ჩემმა სანდალმა და იასამნისფერმა წინდამ მთელი ქვეყანა შემოიარა და ცხოვრების გზაზე ისე გამომეცხადა, როგორც საყვედური. ცარიელი კათხა დავაბრუნე, ლიანდაგი გადავიარე და პარკში შევედი, ქვიშა გაყინული თოვლივით ღრჭიალებდა და ხრაშუნებდა ფეხქვეშ, ხეების ტოტებში ბელურები და ნიბლიები ჭიქიუებდნენ, საბავშვო ეტლებსა და დედებს ვუყურებდი, მზით განათებულ სეამებზე ისხდნენ და თავგადანეულები სახეებს მეურნალ სხივებს უშეერდნენ, დიდხანს ვიდექი ოვალურ აუზთან, რომელშიც ტიტლიკანა ბავშვები ბანაობდნენ, ვხედავდი მათ პატარა ლიპებს, რომლებზეც ტრუსებისა და შარვლებისგან დატოვებული ზოლები ემჩნეოდათ.

გალიციელი ებრაელები, ხასიდები, ქამრებს ატარებდნენ, რომლებიც სხეულს თვალსაჩინოდ ყოფდა ორ ნაწილად: უკეთეს ნაწილად, რომელსაც გული, ფილტვები, თირკმლები და თავი ეჯუთვნოდა და ნაწლავებიან და სასქესო ორგანოებიან ნაწილად, რომლის არსებობასაც ადამიანი უბრალოდ უნდა შეგუებოდა და ამდენად, მნიშვნელოვანი არ იყო. კათოლიკე მღვდლებმა ეს ზოლი უფრო მაღლა ასწიეს: თეთრი საყელო კისერზე ადვილად შესამჩნევი ნიშანია, რომელიც მხოლოდ თავს გამოყოფს, როგორც ჭურჭელს, რომელშიც თვით ღმერთი ისველებს თითებს, ჰოდა, ვუყურებდი მობანავე ბავშვების შიშველ სხეულებზე ტრუსებისა და შარვლებისგან დამჩნეულ ზოლებს და ვხედავდი რიგით მონაზვნებს, რომლებმაც დაუნდობელი ზოლით თავისგან მხოლოდ სახე გამოჭრეს, გახამებული თავსაბურავების ჯავშნიდან მათ მხოლოდ სახეები მოუჩანთ, როგორც „ფორმულა 1-ის“ პილოტებს, ვუყურებდი მოჭყუმპალავე მოუსვენარ ბავშვებს და ვხედავდი, რომ მათ არაფერი იციან სქესობრივი ცხოვრების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ სქესი ჩუმი სრულყოფილებითაა მათში გამოკვეთილი, როგორც ლაო-ძიმ მასნავლა, წარმოვიდგენ მღვდლებისა და რიგითი მონაზვნების ზოლებს, ხასიდების ქამრებს და ვფიქრობ, რომ ადამიანის სხეული ქვიშის საათივითაა, რაც ქვევითაა, იგივეა ზევით, რაც ზევითაა, იგივეა ქვევით, ერთმანეთში ჩამჯდარი ორი სამკუთხედივით, მეფე სოლომონის ბეჭდის ნიშანივით, პროპორცია მისი ახალგაზრდობის წიგნს „ქებათა ქებასა“ და უკვე მოხუცი ბრძენის შეხედულებებს შორის „ეკლესიასტედან“, ამაოება ამაოებათა. უცებ მზერა იგნატიუს ლოიოლას ეკლესიისკენ გამექცა, საყვირების ოქროს შარავანდედი აბრჭყვიალდა, გასაოცარია, ჩვენი ლიტერატურის თითქმის ყველა გიგანტის ქანდაკება ბორბლებიან სავარძელში ჩამჯდარ დავრდომილს გვიჩვენებს, იუნგმანი, შაფარუიკი, სავარძელში გაშემებულად მჯდომი პალაცკი, პეტრუსინზე მახაც ბოძსაა მიყრდნობილი, კათოლიკური ქანდაკებები კი ათლეტებივით მოძრაობით აღსავსენი არიან, გეგონება, ხელებაპყრობილები, ფრენბურთის ბადესთან ბურთს

ანოდებენო, გეგონება, ეს-ესაა ასმეტრიანი დისტანცია გაირბინეს, ან ქარბორბალასავით დაბზრიალდნენ და სადღაც შორს მოისროლეს დისკო, გეგონება, ორივე ხელით მაღალი ღმერთისგან ძლვენს იღებენო, ქვიშაქვისგან გამოქანდაკებულ ქრისტიან წმინდანებს იმ ხელებანეული და გახარებული ფეხბურთელის გამომეტყველება აქვთ, რომელმაც ეს-ესაა ბურთი ბადეში გაგზავნა, იაროსლავ ვრხელიცკის ქანდაკებები კი ყოველთვის ბორბლებიან სავარძლებში სხედან. მოასფალტებული გზა გადავიარე და მზიანი ქუჩიდან რესტორან „ჩიუიკებში“ შევაბიჯე, შესასვლელში ისე ბნელოდა, რომ სტუმრების სახეები საკარნავალო ნილბებივით ანათებდა, მათი სხეულები კი ჩრდილს ჰქონდა შთანთქმული, კიბით რესტორანში ჩავედი და ერთ-ერთი სტუმრის უკან კედელზე შემდეგი წარწერა დავინახე: „აქ იყო სახლი, რომელშიც კარლ ჰინკე მახამ თავისი „მაისი“ დაწერა“, ჩამოვჯექი და ჭერში რომ ავიხედე, შემეშინდა, რადგან ნათურები დავინახე და ამ ნათურების ქვეშ თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სარდაფში, საჩქაროდ გარეთ გავედი და ერთ ძველ მეგობარს შევეჯახე იქვე, ოდნავ ნასვამი იყო და დამინახა თუ არა, საფულე ამოილო და იმდენ ხანს იქექებოდა საფულეში ჩაწყობილ ფურცლებში, სანამ არ იპოვა და არ მომანოდა ის, რასაც ასე გამნარებით ეძებდა, ანუ ცნობა გამოსაფხიზლებლიდან, რომელიც იუწყებოდა, რომ აღნიშნულ ჰირს სისხლში წვეთი ალკოჰოლიც კი არ აღმოაჩნდა, რის დასტურსაც წარმოადგენს ეს ცნობა. დავკეცე ცნობა და მეგობარს დავუბრუნე, ვერაფრით ვერ ვიხსენებ ახლა მის სახელს, ის კი მიყვებოდა, რომ ახალი ცხოვრების დაწყება გადაწყვიტა და ამიტომ ორი დღის განმავლობაში მხოლოდ რძეს სვამდა, რის გამოც დილიდან ისე აქანავებდა, რომ შეფრთხილი სახლში გააბრუნა და ლოთობისათვის შვებულებიდან ორი დღე გამოუქვითა, მაგრამ ჩემი მეგობარი ჰირდაპირ გამოსაფხიზლებელში წავიდა და როდესაც ექიმები დარწმუნდნენ იმაში, რაც შემდეგ ცნობაშიც ჩაუნერეს, რომ სისხლში წვეთი ალკოჰოლიც კი არ ჰქონდა, აიღეს ტელეფონის ყურმილი და მშრომელ ადამიანზე მორალური ზენოლისათვის

რიგიანად გალანძლეს მისი შეფი, ჰოდა, გახარებული, რაკილა ცნობა ჰქონდა იმის შესახებ, რომ სისხლში წვეთი ალკოჰოლიც კი არ აღმოაჩნდა, დილიდან სმას შეუდგა და მე რომ დამინახა, გადაწყვიტა, რომ ერთად უნდა გვეცადა გიგანტური სლალომის დაძლევა, რომელსაც წლების წინ, როგორც წესი, ვერ ვძლევდით ხოლმე, მხოლოდ ერთხელ მოვახერხეთ ყველა კარის გავლა. მაგრამ მე უკვე დავიწყებული მქონდა გიგანტური სლალომი, ანუ ერთი კარის გახსენებაც კი აღარ შემეძლო, ამიტომ ეს ჩემი მეგობარი, რომლის სახელსაც ვერ ვიხსენებ, შთაგონებული თხრობით ცდილობდა ჩემ დაყოლიებას, მეუბნებოდა, ყველაფერს თითო ლუდით დავიწყებთ „პოფმანთანო“, მერე „ვლახოვეს“ კარის ჩავლით ლუდხანა „კუთხეში“ შევალთ, საიდანაც ქვევით დავეშვებით პირდაპირ „გაუჩინარებული ყარაულისკენ“, გავივლით კარს „მილერთან“, შემდეგ კარს „გერბთან“ და ყველგან მხოლოდ ერთ დიდ კათხა ლუდს დავლევთ, რათა „იაროლიმეასთან“ კარის გასავლელად საკმარისი დრო დაგვრჩეს, შემდეგ ერთი ლუდხანაში „ლადიასთან“, საიდანაც პირდაპირ „კარლოს მეოთხისკენ“ ჩავუხვევდით, იქიდან სირბილით ავტომატ „სამყაროსკენ“, საიდანაც უკვე შენელებული ტემპით გავივლიდით კარს „პუსმანთან“ და „ლუდსახარშთან“ და ტრამვაის ხაზის იქით „მეფე ვაცლავთან“, შემდეგ უნდა გაგვევლო კარი „პუდილთან“ ან „კროფტთან“, მერე კი შეგვეძლო გაგვევლო „სალამურთან“ და „მერკურისთან“, საიდანაც უკვე ფინიშის სწორზე გავიდოდით „პალმასთან“ ან ავტომატ „შოლერთან“ და თუ დრო დაგერჩებოდა, მთელი ეს სლალომი უნდა დაგვემთავრებინა ან „ცხელთან“ ან „ქალაქ როკიცანთან“... მიყვებოდა ამ ყველაფერს და თან მხარზე მეტიდებოდა, მე კი ზურგი ვაქციე მის ამ აღფრთოვანებას, მივატოვე ლოთები ლუდხანა „ჩიუიკებში“ და ადამიანური სახეების მქონე კარლაკის ზღაპრულ იაუუუნებზე გადავერთე, მზის მოყვარულები ამასობაში ჩრდილში მოცეცეული სკამებიდან ჩამავალი მზით განათებულ სკამებზე გადასხდნენ, მე კი ისევ „შავ ლუდსახარშში“ აღმოვჩნდი,

ჯერ ერთი ჭიქა „პორუჩაკი“²⁰ დავლიე და მერე ერთი კათხა ლუ-დი, რომელსაც ზედ ისევ ერთი „პორუჩაკი“ მივაყოლე – როცა განადგურებულები ვართ, მაშინ ვუჩვენებთ ხოლმე საუკეთესო შედეგს. ბნელი ცის ფონზე ხის ტოტებს შორის ნოვეე მესტოს რა-ტუშის ნეონით განათებული საათი მოჩანდა. როცა პატარა ვიყა-ვი, იმაზე ვოცნებობდი, რომ მილიონერი გავხდებოდი და ყველა ქალაქს ფოსტორიან ისრებსა და ციფერბლატებს ვუყიდდი. ჩანე-ხილი ნიგნები უკანასკნელად ცდილობდნენ მაკულატურის შეკ-ვრისა და შესივებულსახიანი მამაკაცის პორტრეტის გახევას, კარლაკზე კი ვლტავის მხრიდან ქარი უბერავდა, მიყვარდა ეს ნიავი, სალამოობით მთავარი პროსპექტის გავლით მივსეირნობდი ხოლმე ლეტნასკენ²¹, მდინარიდან სასიამოვნო სუნი მოჰქონდა ნიავს, პარკიდან კი მინდვრისა და ფოთლების სუნი მომდიოდა, ახლაც ვლტავის სუნი შორს აღნევდა ქუჩებში, მალე ლუდხანა „ბუბენიჩკებში“ აღმოვჩნდი, ჩამოვჯექი და მექნიკურად ლუდი შე-ვუკვეთე, მძინარე თავს ზემოთ ჭერამდე აკოკოლავებულა ნიგნე-ბის ორტონიანი გროვა, დამოკლეს მახვილი მელოდება ყოველ-დღე, რომელიც თვითონ გამოვკიდე ჰაერში, პატარა ბიჭი ვიყავი, რომელსაც შინ ცუდი ნიმნები მიჰქონდა, გაზის ბუშტუკები ზევით მიიწევდნენ, როგორც *ignis fatuus*²² ჭაობში, იქვე კუთხეში სამი ახალგაზრდა ჩუმად უკრავდა გიტარაზე და თან მღეროდა, ყოვე-ლივე ცოცხალს თავისი მტერი უნდა ჰყავდეს, მარადიული მშე-ნებლობის მელანქოლია, დიდებული ელინიზმი, როგორც მაგალი-თი და მიზანი, კლასიკური გიმნაზია და პუმანიტარული უნივერ-სიტეტები, დედაქალაქ პრაღის კლოაებსა და არხებში კი ვირ-თხების ორ კლანს შორის გააფთრებული ომი მიმდინარეობს, შარ-ვლის მარჯვენა ტოტი მუხლზე ოდნავ გადახეხილია, ფირუზის-

²⁰ პორუჩაკი – ხილის ლვინო, შეზავებული დარიჩინით, მიხაკით, ქინინით, კოჭათი და სხვა სანელებლებით.

²¹ ლეტნა – მდინარე ვლტავის ნაპირზე, პრაღის ცენტრის ჩრდილოეთით, მდებარე გორაკისა და პრაღის მიმდებარე რაიონის სახელწოდება.

²² ცოომილი ალები.

ფერ-მწვანე და ატლასისებრ-ნითელი ქვედატანები, უძლურად ჩამოშვებული ხელები, როგორც მოტეხილი ფრთები, სოფლის საყასბოში ჩამოკიდებული უზარმაზარი შებოლილი კანჭი... და ვუს-მენდი საკანალიზაციო ნელის ჩხრიალს. ქუჩის კარი გაიღო და ლუდხანაში გოლიათი შემოვიდა, რომელსაც მდინარის სუნი შე-მოჰყვა, სანამ ხალხი გამოერკვა, გოლიათმა სკამი აიღო, დაამ-ტვრია და დაფეხებული სტუმრები სკამის ფეხებით კუთხეში მი-რეკა, სამი ახალგაზრდა ფეხზე ნამომდგარიყო და შეშინებულები კედელს ეკვროდნენ, როგორც იაუუუნები წვიმაში, და როცა გო-ლიათმა სკამის ფეხი აიქნია და ის-ის იყო, ყველა უნდა დაეხოცა, მოულოდნელად სკამის ნატეხებით დირიუორობა დაიწყო და ჩუმი ხმით ამლერდა: „ცისფერო მტრედო, სად იყავი?...“ აი ასე, ჩუმად მლეროდა, თან დირიუორობდა და სიმღერას რომ მორჩა, სკამის ნამტვრევები ძირს დაყარა, გადაიხადა გატეხილი სკამის საფასუ-რი, გასვლისას მოტრიალდა და შეშინებულ სტუმრებს მიმართა: „ბატონებო, მე ჯალათის შეგირდი ვარ...“ და უბედური და ოცნე-ბებში ჩაფლული გარეთ გავიდა, შესაძლოა, ეს სწორედ ის ადამია-ნი იყო, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ ჰოლეშოვიცეს სასაკლაოსთან ფინური დანით დამემუქრა და კუთხეში რომ მი-მიმწყვდია, ქალალდი ამოილო და რუიჩანის ბუნების სილამაზეზე მშვენიერი ლექსი ნამიკითხა, შემდეგ კი ბოდიში მომიხადა და მითხრა, ჯერ ვერ მოვიფიქრე სხვა ხერხი, როგორ მივაწოდო ჩემი ლექსები ხალხსო. გადავიხადე ლუდისა და სამი ჭიქა რომის ფული და ქარიან ქუჩაში გავედი, კარლაკზე დავბრუნდი, ნოვეე მესტოს რატუშის განათებული საათი ჩემთვის ყოვლად უსარგებლო დროს უჩვენებდა, არსად არ მიმეჩეარებოდა, სივრცეში ვიყავი გამოკი-დებული, ლაზარეს ქუჩა გავიარე და პატარა შესახვევში შევედი, ჩაფიქრებულმა ჩვენი სარდაფის უკანა კარი გავაღე, ხელის ცეცი-ბით გავუყევი კედელს, სანამ სინათლის ჩასართველს არ მივაგენი და როცა იქაურობა გავანათე, დავინახე ჩემი სარდაფი, რომელ-შიც ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ვწნებდი მაჟულატურას ჰიდრავლიკური წნეხით, შუაში ახლად მოტანილი ქალალდის მთა

ახორებულიყო, რომელიც ჭერში გაჭრილი ოთხკუთხა ნახერეტით ეზოში გადიოდა, რატომ ამბობდა ლაო-ძი, რომ დაბადება გამოსვლაა, სიკვდილი კი შესვლა? ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი და მით უფრო ძლიერი გაკვირვებით, ერთ-ერთი ლამის მოციმციმე სინათლეა... მართლაც, ამ სამუშაოს შესასრულებლად ლვთის-მეტყველი უნდა ვყოფილიყავი, ეს ყველაფერი მაოცებს, მწვანე ლილაკი ჩავრთე, მერე წნები გავაჩერე, მაკულატურა ავიღე და წნების კალათში ჩავაფინე, თაგვის თვალებში რაღაც იმაზე მეტი ანათებდა, ვიდრე ვარსკვლავებიანი ცაა ჩემ ზევით, ნახევრად მძინარეს პატარა ბოშა გოგო გამომეცხადა და სანამ წნები ზანტად მიინევდა წინ, როგორც ჰელიკონკა²³ მეგარმონის ხელებში, გვერდზე გავნიე იერონიმე ბოსხის რეპროდუქციებიანი ყუთი და წმინდანების სურათებით მოფენილ ყუთში ჩანყობილ წიგნებში დავიწყე ქექვა, ერთ-ერთ წიგნში ის გვერდი ავირჩიე, სადაც პრუსის დედოფალი სოფია შარლოტა თავის სეფექალს ეუბნება: „ნუ ტირი, მე იქ წავალ, რათა დავიკმაყოფილო ჩემი ცნობისმოყვარეობა, რათა ვნახო ის, რაზეც თვით ლაიბნიცმაც კი ვერაფერი მითხრა, ყოფნისა და არაფრის საზღვარს გადავლახავ“. წნებმა დაინკარუნა და წითელი ნათურის ნათებით უკან დაბრუნდა, გვერდზე მოვისროლე წიგნი და მაკულატურით ავავსე წნების კალათა, რომელსაც ზედაპირი ზეთით ჰქონდა დაფარული და ამიტომ შემდნარი ყინულივით ალერსიანი იყო, ბუბნის გიგანტური წნები, მე რომ მაქვს, ათ ისეთ წნებს ჩაანაცვლებდა, როგორც ბატონმა სარტომა და მასზე უკეთესად ბატონმა კამიუმ დაწერეს, წიგნების მობრჭყვიალე ყუები მეკეკლუცებოდნენ, მისადგმელ კიბეზე მოხუცი კაცი იდგა, რომელსაც ლია ცისფერი ლაბადა და თეთრი შარვალი ეცვა, ფრთების სწრაფმა მოძრაობაშ მტვერი აიტაცა ჰაერში, ლინდბერგმა ოქეანე გადაიფრინა. გამოვრთე მწვანე ლილაკი და კალათში ჩაყრილ ქალალდში ბუდე მოვიწყე, ისე-

²³ ჰელიკონკა (ან ჰელიგონკა) – ჩეხეთსა და სლოვაკეთში გავრცელებული გარმონის ტიპის მუსიკალური ინსტრუმენტი.

თივე ყოჩალი ვარ, როგორც ყოველთვის, რის უნდა მრცხვენოდეს, შემიძლია კმაყოფილი ვიყო საკუთარი თავით ისე, როგორც სენეკა, როდესაც აბაზანაში შეაბიჯა, გადავიტანე ერთი ფეხი იქით მხარეს და ცოტა მოვიცადე, მეორე ფეხიც გადმოვიტანე და მოვიკუნტე, უბრალოდ ბუდე მოვიზომე, მერე გადავიხარე, მწვანე ლილაკს მივაჭირე თითი და წნეხის კალათში, მაკულატურასა და რამდენიმე წიგნს შორის მოწყობილ ბუდეში მოვენყვე, ხელში ჩემი საყვარელი ნოვალისი მეჭირა და თითი იმ წინადადებაზე მედო, რომელსაც ყოველთვის ალფროვანებაში მოვყავდი, კმაყოფილებით ვიღიმებოდი, რადგან მანჩინას და მის ანგელოზს ვემსგავსებოდი და იმ სამყაროს ვუახლოვდებოდი, სადაც არასდროს ვყოფილვარ, ჩაბლუჯული მქონდა წიგნი, რომლის ერთ-ერთ გვერდზეც ენერა: „ყოველი საყვარელი საგანი სამოთხის ბალის ცენტრია...“ და მე, იმის მაგივრად, რომ „მელანტრიხის“ სარდაფში ხელუხლებელი ქათქათა ქალალდი ვფუთო, ისევე, როგორც სენეკა, ისევე, როგორც სოერატე, საკუთარ წნეხში, საკუთარ სარდაფში დაცემას ვირჩევ, რაც ამავდროულად ამალლებაცაა, და მიუხედავად იმისა, რომ წნეხის კედელშა მუხლები უკვე წიკაპთან მომიტანა და სულ უფრო და უფრო მანვება, ვერავის გავაგდებინებ თავს ჩემი სამოთხიდან, მე ჩემს სარდაფში ვარ, საიდანაც ამის მერე ვეღარავინ გამაგდებს, ვერ გადამიყვანენ სხვაგან, წიგნის კუთხე წერის ქვეშ გამერჩო და წამოვიყვირე, თითქოს საბოლოო ჭეშმარიტება საკუთარი წამების გზით უნდა გამეგო, რადგან, როცა წნეხის ძალით საკუთარ სხეულში ჩავიკეცე, როგორც საბავშვო ჯაყვა იკეცება, ჭეშმარიტების ამ მომენტში, პატარა ბოშა გოგონა გამომეცხადა, ვდგავარ ოკროუპლიკზე და ცაში ჩვენი ფრანი დაფრინავს, ლონივრად მიჭირავს ფრანის ძაფები და ბოშა გოგო ხელიდან მართმევს კანაფის გორგალს, მარტოა და განზე გადგმული ფეხებით მყარად დგას მიწაზე, რათა ცაში არ აფრინდეს, კანაფით ბარათს აგზავნის ფრანისენ ცაში და ბოლო მომენტში ვამჩნევ, რომ იმ ფურცელზე ჩემი სახეა გამოხატული. წამოვიყვირე და თვალები გავახილე, საკუთარ მუხლებს ვუყუ-

რებდი, ორივე ხელით მეტირა ფესვებიანად ამოგლეჯილი იაუუ-
შუნების ბლუჯა, კალთა კი მიწით მქონდა ავსებული, გაშტერებუ-
ლი ვუყურებდი მიწას და ზევით რომ ავიხედე, ნატრიუმის ნათუ-
რის სინათლეში ფირუზისფერ-მნვანე და ატლასისებრ-წითელი
ქვედატანები მომხვდა თვალში, თავი რომ მივაბრუნე, ის ჩემი
ორი ბოშა ქალი დავინახე, გადაპრანჭულად ეცვათ, მათ უკან კი
ნოვეე მესტოს რატუშის საათის ისრისა და ციფერბლატის ნეონის
ნათება მოჩანდა, ფირუზისფერ-მნვანე მაჯანჯლარებდა და მიყვი-
როდა: „ღმერთო ჩემო, მოწყალეო იესო, რას სჩადიხართ?“. გრძელ
სკამზე ვიჯექი, გულუბრყვილოდ ვიღიმებოდი, არაფერი მახსოვ-
და, არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვხედავდი, ალბათ, იმიტომ,
რომ უკვე სამოთხის ბალის შუაგულში ვიმყოფებოდი. ამიტომ არც
დამინახავს და არც გამიგონია, როგორ გადაირბინეს ორ მამაკაც
ბოშაზე ჩამოკიდებულმა იმ ჩემმა ბოშებმა პოლეის საცეკვაო ნა-
ბიჯით კარლაკის პარკი მარცხნიდან მარჯვნივ და ქვიშით მოკირ-
ნყლული ბილიკის მოსახვევში, ბუჩქების იქით გაუჩინარდნენ.

ივლისი, 1976